გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№19 (775) 20 - 21 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**20 გვერდი 40 თეთრი**

# გიგი უგულავას გადაყენება, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია!



გვ. 3

„მერს თბილისის საკრებულო იმპიჩმენტს ვერ მოუწყობს, სამაგიეროდ, უგულავას შეუძლია, პრეზიდენტს საკრებულოს დათხოვნის ინიციატივით მიმართოს"!



გვ. 2

## პროკურატურამ დასავლეთთან უგულავასა და სააკაშვილის დაჭერა შეათანხმა

რა ფაქტები გააცნეს პროკურატურის წარმომადგენლებმა დიპლომატებს



## ზვიად ქიქიბური

„კობა დავითაშვილი ცდილობს, კრიტიკით ყურადღება მიიქციოს და ამით ხელისუფლებაში არსებული განლაგების რევიზია მოახდინოს!"

გვ. 5

## კუდ-ის თანამშრომლებმა ბიზნესმენს ტომარა ჩამოაცვეს და ბლაგვი საგნით სცემეს

ვინ არის კობა ჯანაშია და რატომ დაუპირისპირდა ის სააკაშვილის მამის ბიზნესპარტნიორ ვასილ წერეთელს

## სასტუმრო „აფხაზეთის" ყოფილი მფლობელი უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს



გვ. 10

## ქორნების ტბის რეაბილიტაციის მრავალმილიონიანი პროექტი – „ნაცმოძრაობის" ბლეფი!

## რომის პაპს გილიოტინის ეშინია!



ბენედიქტ XVI-ის „ნაცისტური" წარსული და საზედისწერო შეცდომა

გვ. 15

ეკა სეხნიაშვილი

**კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსისა და ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებული შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნის, ირაკლი ფირცხალავას მიერ გამოქვეყნებულმა ახალმა კადრებმა რობაქიძის საქმის გამოძიება თავდაყირა დააყენა. არადა, წულუკიანის უწყება და მთავარი პროკურატურა ამტკიცებდნენ, რომ ბუტა რობაქიძის საქმე გახსნილია და იქ შსს-ს მაღალჩინოსნებმა ბიჭებს იარაღი ჩაუდეს. ფირცხალავას მიერ პროკურატურაში მიტანილმა დაუმონტაჟებელმა კადრებმა კი ცხადყო, რომ პატრულის მისვლისთანავე, იქ მყოფ რამდენიმე ახალგაზრდას იარაღი ჰქონდა. ირაკლი ფირცხალავამ კადრები პროკურატურას გადასცა, ხოლო ასლი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტს მიაწოდა იმ მოტივით, რომ იგი კბილაშვილის უწყებას არ ენდობა. როგორც გურამ დონაძის ადვოკატი დავით ხაჟალია „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, „პროკურატურამ უნდა დაიწყოს, უპირველესად, ამ კადრების ნამდვილობის ექსპერტიზა, 2 წუთში ვითარდება ყველაფერი და ელემენტარულად, იარაღის ჩადება ამ ქრონომეტრაჟში ვერ მოხდებოდა. გამოძიება კი ამტკიცებს, რომ იარაღი შემდგომ იქნა ჩადებული. პატრულის თანამშრომლებმა უნდა ახსნან, პირველად მისულებმა ან თავად ჩაუდეს იარაღი ან იყო რეალურად ადგილზე იარაღი და უნდა ახსნან ისიც, რატომ მისცეს ჩვენება, თითქოს დონაძემ და სხვებმა ჩაუდეს იარაღი. საქმე ის გახლავთ, რომ გურამ დონაძის ჩვენება და ეს კადრები ერთი ერთზე ემთხვევა გავრცელებულ კადრებს“. „ვერსია“ ბრალდებულ გურამ დონაძეს დაუკავშირდა და რამდენიმე დეტალის გარკვევა სცადა.**

# „თუ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, ხელს ვადებ გამოძიებასა და საპატრულო დეპარტამენტის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამ კადრებშია!“

## გურამ დონაძე „ვერსიასთან“ საუბრისას საგანგებო განცხადებას აკეთებს და გირგვლიანის საქმეზე მასალების გამოქვეყნებას აანონსებს



— დღეს საქმეს ფარდა აეხადა. სად არის გურამ დონაძის მიერ მიტანილი იარაღი? სად არის ჩემი სცენარით დადგმული ჩადებული იარაღები? მე კითხვებს დავსვამ და მიპასუხოს ყველამ. პირველივე წუთებიდან, რაც ეს დაუმონტაჟებელი კადრები გავრცელდა ტელევიზიით, სად არის აქ ჩემი აქტიურობა, ჩემს მიერ ჩადებული იარაღები? რა სცენარს ვწერდი, იქნებ მაჩვენოს ვინმემ, გასროლის წუთიდან? პროკურატურამ, რომელმაც განაცხადა, რომ საქმე გაიხსნა, ზარზეიმით რომ აცნობეს ხალხს, საქმე გახსნილია და იქ იარაღი არავის ჰქონიაო, მე გთხოვთ, გამოითხოვეთ სისხლის სამართლის საქმე და ნახავთ, ვის რა უწერია იქ და ჩვენებები გამოითხოვეთ, საპატრულოს თანამშრომლები რას წერენ იქ, ვინც შემთხვევის ადგილზე იმ წუთიდან იყვნენ.

**— ანუ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მას შემდეგ შეცვალეს ჩვენება, რაც ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო საქმის ხელახალი ძიება?**

— გამოდის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იტყუებიან და ეს საქმე, ვითომცდა პროკურატურის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილი, არის ყალბი.

**— წულუკიანის უწყების მიერ გამოძიებული?**

— მე დაზუსტებით ვერავის დავადებ ხელს, ვის ინტერესშია, მაგრამ ფაქტია, რაღაც იცვლებოდა. ამ კადრებმა კი ცხადყო, სად არის სიმართლე.

**— ბუტა რობაქიძის მამა აცხადებს, რომ ეს კადრები ფალსიფიცირებულია... ასევე აპროტესტებენ ამ კადრებს რობაქიძის მეგობრები და დედაც, ვახო კომახიძემ კი, საერთოდ, უარყო ამ კადრებთან კავშირი. არადა, ამ საქმეზე არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა... ამ ხნის მანძილზე, რატომ არ გაირკვა სიმართლე?**

— 9 წლის განმავლობაში, მამამისი, ბატონი სილიბისტრო რობაქიძე გურამ დონაძეს აბრალებდა საქმის გაყალბებას, იარაღის ჩადებას, მაბრალებდა, პირადად გურამ დონაძემ მოკლაო... დღესაც შენახული მაქვს ის გაზეთი, სადაც ამას ბეჭდავდა და ინტერვიუს აძლევდა, არაერთი ბრალდება და ლეგენდა იყო ჩემზე.. თითქოს ჩემი იარაღი გამოვიყენე და ისე მოვკალი და ა.შ. მე არაერთგზის ვისმენდი ამ ცილისწამებებს ტელევიზიით, პრესით და ჩუმად ვიყავი, არ ვცემდი პასუხს, რადგან შევდიოდი მათი ოჯახის მდგომარეობაში და მესმოდა, რამდენად მძიმე იყო ერთადერთი შვილის დაღუპვა სრულიად შემთხვევით. ამ კადრებიდან ჩანს და პროკურატურამ უნდა დაინახოს ფაქტი — ეს ბიჭები ხელებშებორკილები არ ყოფილან, რომ გურამ დონაძეს იქ არავითარი იარაღი არ მიუტანია.

**— პროკურატურა აღიარებს შეცდომას და დაიწყებს ხელახალ გამოძიებას?**

— მე არ ვარ პროფესიით იურისტი, არ შემიძლია იმის განმარტება, რას მოიმოქმედებს პროკურატურა, თუმცა ფაქტია, გურამ დონაძე 9 წლის განმავლობაში ძალიან ბევრ რამეში ისვრებოდა მიზანმიმართულად და ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. ეს შეეხებოდა ბუტა რობაქიძეს, გირგვლიანსა თუ სხვა გახმაურებულ, უაზრო და ბინძურ თემებს. გირგვლიანის საქმეზეც მალე გაირკვევა ყველაფერი. სუფრასთან ჯდომა ან სტუმრად ყოფნა ნიშნავს თუ არა მკვლელობას და მაგასაც მე დავადასტურებ, როგორ არ ვარ მკვლელი! რაც შეეხება იმ ადამიანებს, ჟურნალისტებს და ა.შ., რომელიც ამონტაჟებდა და ავრცელებდა ამ შეთითხნილ მასალებს, გადაადებდა ხმას და ა.შ. როცა ისინი ამით საზოგადოებასატყუებდნენ და მათ შორის გარდაცვლილის ოჯახებსაც, ამას როგორ იყენებდნენ პოლიტიკურად, ამასაც მალე შეიტყობს საზოგადოება. ამ მასალების შეგროვებასაც მალე დავასრულებ და გამოვაქვეყნებ.

**— პროკურატურა ამ კადრების გავრცელების შემდეგ დაგიკავშირდათ?**

— არა. ეს მათი კომპეტენციაა. ბევრი მასალა წავიკითხე საქმის ირგვლივ, 7 ტომია. დამნაშავე გამოჰყავთ რამდენიმე ადამიანი: ირაკლი ფირცხალავა, გურამ დონაძე, დათო იაშვილი, ირაკლი გვაზავა, ზურა ბაქრაძე და კიდევ რამდენიმე. ამ ჩვენებებში ზურა მიქაძე წერს, რომ იქ მისულს დაუნახავს, თურმე იარაღი არ ყოფილა და მერე მიუტანიათ. ამ დროს კადრებში პირველივე წუთებიდან ჩანს ზურა მიქაძე ადგილზე, რომელიც მშვენივრად ხედავს იარაღსაც და რეალობასაც. ასევე არის საპატრულო დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომლის ჩვენება..

**— ალბათ დადგება საპატრულოს იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ამ საქმეზე ჩვენება მისცა, არა?**

— ალბათ, უნდა დადგეს, ამაზე ჩემი ადვოკატები იმუშავებენ ინტენსიურად. აქვე ერთ განცხადებას გავაკეთებ — თუ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, ხელს ვადებ გამოძიებასა და საპატრულო დეპარტამენტის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამ კადრებშია და ირაკლი ფირცხალავამ გამოაჩინა, ასევე დაზარალებულ მხარეს. მესმის, გამწარებულია მხარე, მაგრამ ამ მტკიცებულებების მერე კიდევ ერთხელ მათი ოჯახის მხრიდან იმის მტკიცება, რომ მე გავაყალბე მტკიცებულებები და კიდევ ერთხელ, მოვკალი ბუტა რობაქიძე, მკვდარი გავაცოცხლე და დავდგი, ცოტა სირცხვილია და ვთხოვ, ამას ნუღარ დამაბრალებენ.

**— მოკლული რობაქიძის მამა აცხადებს, თუ გამოძიება არ დაიჭერს რამდენიმე ადამიანს, მაშინ ჩემი ხელით აღვასრულებ სამართალსო. გვარები დასახელდა და თქვენც მოიაზრებით..**

— სილიბისტრო რობაქიძე ხელით როგორ გამისწორდება, მისი საქმეა, ვერანაირ განცხადებას მე მისი მისამართით ვერ გავაჟღერებ, რადგან არც სურვილი მაქვს და არც იმ ადამიანურ ჩარჩოში ვჯდები, მსგავსი ვილაპარაკო. ღმერთი ზემოდან იყურება, ყველას თავისი მიეზღვება და თუ რობაქიძეს ვინმეზე ხელით გასასწორებელი აქვს, გაუსწორდეს იმათ, აქამდე რომ მას ატყუებდნენ, ლაფს ასხამდნენ მისი გარდაცვლილი შვილის პატიოსნებას.

# პროკურატურამ დასავლეთთან უგულავასა და სააკაშვილის დაჭერა შეათანხმა



## რა ფაქტები გააცნეს პროკურატურის წარმომადგენლებმა დიპლომატებს

ანი დადიანი

**„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, პროკურატურის წარმომადგენლები უცხოელ დიპლომატებს შეხვდნენ, რომლებსაც წარუდგინეს ის მასალები და მტკიცებულებები, რომლებიც გამოძიებას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გააჩნია.**

ოპოზიციაში იძულების წესით გადაბარგებული ნაციონალური მოძრაობა შესანიშნავად იყენებს ხელისუფლებაში ყოფნის ცხრაწლიან გამოცდილებასა და საერთაშორისო კონტაქტებს. ბუნებრივია, არც ამ ხნის მანძილზე ბოკერია-სააკაშვილის „ღვაწლს“ ჩაუვლია უკვალოდ და ფიარში გადახდილი მილიონები დღესაც საკმაოდ კარგ სამსახურს უწევს „ივანიშვილის მიერ ჩაგრულ ოპოზიციას“. ბუნებრივია, საერთაშორისო თუ ადგილობრივ მედიასაშუალებებში გაჩაღებული საინფორმაციო ომი უცხოელი დიპლომატების განსაკუთრებული დაკვირვების საგანია. მიუხედავად იმისა, რომ მათი კონფიდენციალური წყაროებიც საკმაოდ კარგად მუშაობენ და იმაზე საგულისხმო ინფორმაციასაც აწვდიან დიპლომეტებს, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია, ექსპერტთა დასკვნებში მაინც გამოსჭვივის ფართომასშტაბიანი ნაცფიარის კვალი. „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურის წარმომადგენლებისა და დიპლომატების შეხვედრა სწორედ იმ ფაქტების დაზუსტება-გადამოწმებას ემსახურებოდა, რომელსაც ოპოზიცია ოსტატურად იყენებს, ხოლო გამოძიება საქმის დასრულებამდე იძულებულია, მოკლე განმარტებებითა და კომენტარებით შემოიფარგლოს.

„ვერსიის“ წყაროს ცნობით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთი ეხება ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დაფინანსებას საბიუჯეტო თანხებით, ხოლო მეორეს მხრივ, თბილისის მერიის მიერ რიყის ტერიტორიის გასხვისებისა და უკან გამოსყიდვის საკითხს. ამ საკითხებზე გამოძიებამ რამდენიმე მაღალჩინოსანი და უამრავი მოწმე დაჰკითხა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ აღმოჩნდა, რიყის საქმე პირდაპირ კავშირშია ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდებასთან. სწორედ ამ ფაქტის მტკიცებულებები გააცნეს დიპლომატებს.

**საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი „იმედი“ ჯოზეფ კეის გადაუფორმა, ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკას თბილისის მერი გიორგი უგულავა აკონტროლებდა, ხოლო ფინანსურ საკითხებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი აგვარებდა. 2008 წლის ბოლოს ჯოზეფ კეისა და დავით კეზერაშვილს შორის შედგა მოლაპარაკება, რის შემდეგაც ბიზნესმენს 90% წილი დაათმობინეს, სანაცვლოდ, უგულავა და კეზერაშვილი მას დაპირდნენ „ტელეიმედისთვის“ გაწეული დანახარჯების 10 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურებას, რისთვისაც ფიქტიური ოპერაციები შეასრულეს და გამოიყენეს საბიუჯეტო თანხები. ამ დანაშაულებრივ ოპერაციებში ჩართულები იყვნენ უგულავა, კეზერაშვილი და მათთან დაკავშირებული პირები, დავით იაკობაშვილი და შპს „ჯი-ემ-სი კონსალტინგი“.**

„ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურორებმა დიპლომატებს ასევე წარუდგინეს იმ საქმის მასალებიც, რომელიც ეხებოდა შპს „თბილსერვისჯგუფში“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების დასაქმებას. ამ კომპანიაში 2 წლის განმავლობაში, ფიქტიურად დასაქმდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის 764 აქტივისტი — ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და, პარალელურად, პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ, ხელფასის სახით, 5 245 945 ლარი დაერიცხათ. „თბილსერვის ჯგუფის” საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი კი 2010 წლის 6 აგვისტოს, გიგი უგულავამ დაამტკიცა.

**უცხოელ დიპლომატებს წარუდგინეს როგორც საქმის მასალები და ფაქტობრივი მტკიცებულებები, ასევე „ნაციონალების“ მაღალჩინოსნების თანაგუნდელთა ჩვენებები, სადაც ისინი ყველაფერს ადასტურებენ. ამ მასალების გაცნობის შემდეგ, დიპლომატებს არც ერთი შეკითხვა არ გასჩენიათ. მათ აშკარად დაინახეს, რომ გამოძიებას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სერიოზული მტკიცებულებები გააჩნია. პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელებმა ახალმა ხელისუფლებას უგულავასა და სააკაშვილის დაჭერაზე მწვანე აუნთეს.**

პროკურატურა, პრაქტიკულად, მუშაობის ახალ სტილზე გადავიდა. ჯერ უცხოელებს გააცნობს საქმის მასალებსა და კონკრეტულ მტკიცებულებებს, ხოლო შემდეგ, გამოიძახებს დაკითხვაზე ყოფილ მაღალჩინოსნებს.

# გიგი უგულავას გადაყენება, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია!



**„მერს თბილისის საკრებულო იმპიჩმენტს ვერ მოუწყობს, სამაგიეროდ, უგულავას შეუძლია, პრეზიდენტს საკრებულოს დათხოვნის ინიციატივით მიმართოს“!**



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**თბილისის საკრებულოს მმართველი ფრაქცია, ფრაქციის თავმჯდომარემ და ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა წევრმა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა დატოვა, რითაც საბოლოოდ დაამტკიცა, რომ გიგი უგულავას წინააღმდეგ საკრებულოში დიდი ბუნტი მზადდება! საუბარია დედაქალაქის პირველი არჩეული მერის იმპიჩმენტის პროცედურაზე და რაც მთავარია, „ოცნებას“ თვითმმართველ ორგანოში ამის ბევრად მეტი რესურსი აქვს, ვიდრე პარლამენტში, თუმცა ამ პროცედურული ომის ფინალი ძალზე ირონიულია...**

მოვლენების განვითარებას თავიდან რომ მივყვეთ, თბილისის საკრებულოში „ნაციონალების“ ფრაქციის რყევა ჯერ კიდევ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ზაფხულში დაიწყო, როცა მაშინდელი მმართველი პარტია საკრებულოს ორმა წევრმა დატოვა. შიხიაშვილსა და მის მეგობარს ცოტა ხანში უკან სამი „ნაციონალი“ მიჰყვა, ამასობაში, „ოცნებაც“ მოვიდა სათავეში და პოლიტიკური რყევა „ქრისტიან-დემოკრატებს“ გადაედო — სამუშია-გაბუნიას დუეტმა თავი ახალ ფრაქციაში, სახელად „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ამოყო. ცოტა ხნის წინ კი, ექსმმართველი გუნდიდან მორიგი „ნაციონალი“ ზურაბ გაჩეჩილაძე ანუ „შონზო“ „გადახტა“. ავტომატურად, „ოცნების“ ფრაქციის მხარესაა 2010 წელს არჩეული საკრებულოს უმცირესობის ლიდერი, ზურაბ ტყემალაძის გამოუცდელი ვაჟი, გიორგი ტყემალაძე. გადახტომები იქეთ იყოს, ამ ხუმრობა-ხუმრობაში საკრებულოს „ოცნებამ“ საკმაო მხარდამჭერები მოაგროვა, მოვლენების ეპიცენტრში კი გამობრძმედილი პოლიტიკოსი, აწ უკვე მთავარ „რევოლუციონერად“ მოაზრებული ჯაბა სამუშია აღმოჩნდა, რომელიც ამ ბოლო დროს, იმასაც კი არ მალავს, რომ მას „ოცნების“ მაღალ ეშელონებში საკრებულოს მომავალ თავმჯდომარედ მოიაზრებენ. არც პარტია „ოცნების“ ყრილობაზე მისული **ჯაბა სამუშია** ყოფილა მოკრძალებული „ვერსიასთან“ საუბრისას: **„არავითარი ჯანყი — ჯანყი იყო გურიაში! უბრალოდ, ეს არის დიდი და ახალი პროცესი, რომლის თანახმად, საკრებულოში, ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი უმრავლესობა უნდა ჩამოყალიბდეს. ესაა დაწერილ-დაუწერელი კანონიცა და ჩვენი გეგმა! დაახლოებით, ერთ თვეში მოვლენების განვითარებას ყველა ნახავთ, თბილისის თვითმმართველობა კი, ახლო მომავალში, ნორმალური გახდება!“**

მართლაც, პოლიტიკურ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, უგულავას გადაყენების გეგმა ასეთია: ჯერ საკრებულოში ფრაქცია „ოცნება“ აგროვებს უმრავლესობას, რაც საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს, ამის შემდეგ კი უგულავას წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურას იწყებს. საკანონმდებლო ბაზასაც თუ გადავამოწმებთ, მაგალითად, საკრებულოს ოფიციალურ საიტზე (www.sakrebulo.ge) თბილისის შესახებ კანონს ჩავხედავთ, მერის იმპიჩმენტის შესახებ შემდეგს ამოვიკითხავთ: „მუხლი 22.1. ქალაქის მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა:

1. საკრებულო უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს ქალაქის მერს;

2. საკრებულოს წინაშე მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმის უფლება აქვს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 1/3-ს. უნდობლობის საკითხის დასმა დაუშვებელია მერის თანამდებობაზე არჩევიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ბოლო სამი თვის განმავლობაში;

3. ქალაქის მერისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დასმიდან კენჭისყრამდე საკრებულოს წევრთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია დაასახელოს მერის ახალი კანდიდატურა“.

მარტივი და ლოგიკურია გეგმის განვითარებაც: გიგის იმპიჩმენტის ინიცირების შემდეგ, ახალი უმრავლესობა ახალი მერის საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს, უგულავა კი მერის სავარძელს, დასახელების შემდეგ, ავტომატურად დატოვებს. იგივე წერია იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნეშიც, სადაც თბილისის შესახებ კანონს თავმომწონედ აწერია, რომ ეს კოდიფიცირებული ვერსია კანონის საბოლოო სახეა. ასე რომ, ერთი შეხედვით, „ოცნებას“, კანონის მიხედვით, ყველა პროცედურა დაცული აქვს და დაახლოებით ერთ თვეში, როგორც ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, უგულავა საკრებულოსგან დიდ აჯანყებასაც უნდა ელოდეს, რომ არა ერთი პატარა მინაწერი იმპიჩმენტის პროცედურის მუხლის ქვეშ. მართალია, საკრებულოს „ოცნებისთვის“ ცივი წყლის გადასხმა მოგვიწევს, მაგრამ მას მერე, რაც უგულავა დანიშვნითი კი არა, პირდაპირი წესით არჩევითი მერის სავარძელს დაეპატრონა, კანონმდებლობიდან იმპიჩმენტის შესახებ მუხლი სააკაშვილის პარლამენტმა საერთოდ გააქრო. „ოცნების“ მიერ დაწყებულ პროცესს უგულავას წინააღმდეგ და ამ პროცესის უშედეგობის მიზეზს „ვერსიისთვის“ ექსპერტი და იურისტი **ლევან ალაფიშვილი** განმარტავს: **„დღეს, თბილისის მერის სავარძელი რომ გათავისუფლდეს, გიგი უგულავა ან ნებით უნდა გადადგეს ან იძულებით, რაც მხოლოდ სისხლის სამართლებრივი წესით მისი გადაყენების მოთხოვნა შეიძლება იყოს. იგი, შესაძლოა, სულაც არ დაიჭირონ, საკმარისია, საქმე აღიძრას, მას ბრალდებულის სტატუსი ჰქონდეს, როგორც ეს გაერთიანებული შტაბის უფროსის შემთხვევაში მოხდა და გამოძიებამ სასამართლოს მიმართოს, გიგი გადააყენეთო. ის მცდელობები, რაც „ოცნების“ მხრიდან აშკარად სახეზეა, მიზნად უგულავას წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურების დაწყებას, ისახავს. პირდაპირ ვამბობ — ეს აბსოლუტურად უპერსპექტივოა. ვითარება მხოლოდ ფაქტებით რომ შევაფასოთ, „ოცნების“ მხრიდან ორი მნიშვნელოვანი რამ ითქვა: დასახელდა კანდიდატი ანუ ადამიანი, ვისაც ავტომატურად ეყრება კენჭი უგულავას იმპიჩმენტის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცედურა წაკითხული აქვთ და მეორე, ისმის ფრაზები — კვორუმამდე ამდენი და ამდენი კაცი გვაკლიაო, თუმცა**

**დღეს, თბილისის მერი, თანამდებობრივად, ერთადერთი პირია მთელ სახელმწიფოში, ვინც გადაყენების პროცედურის თვალსაზრისით, პრეზიდენტზე ძლევამოსილია! შესაძლოა, საკრებულოში ჯერ ბოლომდე არ იციან, რა ხდება და ამაში გარკვეული წვლილი იუსტიციის სამინისტროსაც მიუძღვის. ანუ თბილისის საკრებულოს საიტზეც და იუსტიციის საიტის კონტროლქვეშ არსებულ საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ გვერდზეც, თუკი ნახავთ კანონს თბილისის შესახებ, 23 პრიმა მუხლი თბილისის მერის იმპიჩმენტის პროცედურებს ეხება. იქ გამოქვეყნებული რედაქციით, იმპიჩმენტის ინიცირებისთვის საკმარისია 17 ხმა, ხოლო ახალი მერის არჩევის მერე, ძველი, ავტომატურად, გადამდგარად ითვლება, ამისთვის 26 ხმაა საჭირო. ეს ის რიცხვებია, რომლისკენაც „ოცნება“ აშკარად მიისწრაფვის, მაგრამ მთელი საკრებულოც რომ გადაიბირონ, ეს გზით სიარული მერის იმპიჩმენტამდე მაინც არ მიდის — 2009 წლის 28 დეკემბრიდან კანონში ეს მუხლი აღარ არსებობს!“**

მთელი ამ ამბის ირონია ისაა, რომ 2010 წლის საკრებულოში, მაშინდელი ოპოზიციიდან და ახლანდელი „ოცნებიდან“, უგულავასთან მებრძოლთა ინტელექტუალური რაზმეული შევიდა: კახა კუკავა, კობა დავითაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ვიკა დოლიძე, ზაზა გაბუნია, თინა ხიდაშელი და თავად ჯაბა სამუშია, რომელიც დღეს ყველაზე აქტიურ და ამბიციურ ფიგურად გვევლინება და იმპიჩმენტის იმ პროცედურის დაწყებას აპირებს, რომელიც ბუნებაში 2 წელია, აღარ არსებობს! ეს ცვლილება პარლამენტმა 2009 წლის 28 დეკემბერს შეიტანა და იგი იურიდიულმა კომიტეტმა საკანონმდებლო ცვლილებათა იმ პაკეტში მოაქცია, რომლის მიხედვით, თბილისის მერის პირდაპირი წესით არჩევა გადაწყდა. **ლევან ალაფიშვილი: „მაშინ გიგი უგულავაზე ნამდვილად რაღაც გათვლა გაკეთდა — ამ უფლებამოსილების მქონე მერი, რომელიც, პრაქტიკულად, ხელშეუხებელი აღმოჩნდა, ალბათ, საპრეზიდენტო კანდიდატი იყო. მოკლედ, ამ ცვლილების მიხედვით, „ოცნების“ მცდელობა დღეს ყოვლად უპერსპექტივოა, სამაგიეროდ, ამავე, 2009 წლის 28 დეკემბრის ცვლილების მიხედვით, საბოლოოდ, გასწორდა საკრებულოს უფლებამოსილებების ანუ მე-12 მუხლი კანონში. ამ მუხლის მიხედვით,**

**კანონით, საკრებულო ნომინალური ორგანოა და მისი ფუნქცია მხოლოდ მერის მიერ მომზადებული აქტების დამტკიცებაა — მას წინააღმდეგობის გაწევა ან აქტში ცვლილების შეტანაც კი არ შეუძლია. მეტსაც გეტყვით, თუკი ეს უფუნქციო საკრებულო გაბედავს და მერის ინიციატივას არ დაამტკიცებს, მაშინ მერს კანონით, რჩება უფლება, მიმართოს პრეზიდენტს და დაათხოვინოს საკრებულო, ან მისთვის საქმიანობა შეაჩერებინოს. შესაბამისად, თუკი გიგი იტყვის, საკრებულო არ ფუნქციონირებსო, დაითხოვს სააკაშვილი, აბა, რას იზამს?!“**

ყველაფერი არც აქ დასრულებულა — „ოცნება“ რომ გიგის იმპიჩმენტს ვერ მოუწყობს, ეგ ცალკე თემაა, მაგრამ თინა ხიდაშელის კომისიაც რომ შეიქმნას და პროკურატურამ უგულავას დანაშაული დანაშაულზე რომ დაუმტკიცოს, ახალი მერის არჩევნები მაინც არ შედგება:

## საპარლამენტო უმცირესობა გურამ მისაბიშვილმა დატოვა



უმცირესობის რიგები კიდევ ერთი დეპუტატით შემცირდა — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემადგენლობა, ამჯერად, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა, სამეგრელოს ყოფილმა გუბერნატორმა გურამ მისაბიშვილმა დატოვა.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელმა, ირინა იმერლიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ დაუდასტურა, რომ მისაბიშვილმა განცხადება ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონების“ შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე უკვე დაწერა. მისივე ცნობით, განცხადების თანახმად, მისაბიშვილი არც ერთ სხვა ფრაქციაში არ შედის და ამ ეტაპზე, პარლამენტის დამოუკიდებელ წევრად რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები“ გურამ მისაბიშვილის ჩათვლით, სულ ექვსი დეპუტატისგან შედგება, რაც ფრაქციის არსებობისთვის საჭირო მინიმალური ოდენობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ნაციონალური მოძრაობიდან აღნიშნულ ფრაქციაში რომელიმე წარმომადგენელი დროულად არ გადავა, „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები“ დაიშლება.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა



თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა დატოვა.

როგორც ხაჩირაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საკრებულოში დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩება, გადაწყვეტილება კი ნაციონალურ მოძრაობასთან შეხედულებების თანხვედრის არარსებობის გამო მიიღო:

**„ყველა ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალია. მეც დავტოვე ნაციონალური მოძრაობა, ამავდროულად, ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა და საკრებულოში მუშაობას განვაგრძობ როგორც რიგითი დეპუტატი. ამ გუნდთან ურთიერთობა დიდი ხანია მაკავშირებს, იქ ბევრი კარგი ადამიანი მუშაობს და მახსოვს ბევრი წარმატებული და წარუმატებელი დღე მათთან ერთად, თუმცა მაშინ ჩვენს შორის იყო შეხედულებების თანხვედრა, დღეს კი ეს თანხვედრა აღარაა და მეც აღარ ვაპირებ კატა-თაგვობანას თამაშს“.**

მისი განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას არავითარი სხვა გარემოება – მათ შორის „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლის ფაქტები არ არსებობდა: **„ვითანამშრომლებ ორივე მხარესთან და კენჭისყრისას მივიღებ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც თბილისელებისთვის იქნება უკეთესი“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

## გოჩა ძასოხოვის ილია II-სთან შეხვედრის შემდეგ ციხიდან ოსეთის ორი მოქალაქე გამოუშვეს



ოსური გაერთიანების ერთ-ერთი წარმომადგენელი გოჩა ძასოხოვი სამხრეთ ოსეთში სახის შენარჩუნებას ცდილობს. ამ ინფორმაციას „ეხო კავკაზა“ ავრცელებს და აღნიშნავს, ქართული ხალხების ასამბლეის წარმომადგენელმა გოჩა ძასოხოვმა განაცხადა, რომ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრის შედეგად მან „ოსეთის ორი მოქალაქის“ ქართული ციხიდან გათავისუფლება შეძლო.

მისი თქმით, ასეთი საკითხებისთვის იგი მზად არის, საქართველოს პატრიარქს ყოველდღე შეხვდეს, ხოლო „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II მოსკოვში ვიზიტის ფარგლებში მოსკოვის ოსური გაერთიანების წევრებს გოჩა ძასოხოვს, ამირხან თორჩინოვს, ნუგზარ ჟურულს შეხვდა. შეხვედრამ, ოსურ გაერთიანებებში პანიკა გამოიწვა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მკვეთრად უარყოფითად შეხვდა ამ ფაქტს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოსკოვურ შეხვედრას მოსკოველ ოსებთან სამხრეთ ოსეთშიც გამოეხმაურნენ. ცხინვალში მოსკოვის ოსურ გაერთიანებას მოუწოდეს, გარიცხოს თავისი რიგებიდან ყველა, ვინც ილია II-ს შეხვდა.

*„ეხო კავკაზა“*

# უმცირესობის საოცნებო შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრთან!

## რატომ გმობს სტალინის ძეგლების აღდგენას მაია ფანჯიკიძე და რამ ჩააგდო შოკში გიორგი კანდელაკი





ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**დაახლოებით, სამკვირიანი შუალედის შემდეგ, მას მერე, რაც საპარლამენტო უმცირესობამ საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე პირველად მიიწვია პარლამენტში, ოცნება-ნაციონალების დებატები ბოლოს მაინც გაიმართა. ფანჯიკიძე პარლამენტში 19 თებერვალს მივიდა და მას უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ, დაახლოებით, სამი საათის მანძილზე უმასპინძლა 30 „ნაციონალის“ პირისპირ.**

მიუხედავად დაძაბულ პოლიტიკურ თემებზე საუბრისა, დაბარებული მინისტრისა და დამბარებელი ფრაქციის შეხვედრა დაძაბული სულაც არ ყოფილა, დასავლური კოჰაბიტაციის ჩარჩოებშიც სრულად ჩაჯდა და ლამის, საგარეო-პოლიტიკურ ფლირტში გადაიზარდა — მაია ფანჯიკიძესა და დავით ბაქრაძეს, ყოფილ და ახლანდელ საგარეო საქმეთა მინისტრებს, რამდენიმე არათემატური გადახვევა ჰქონდათ დეპუტატების კითხვებს შორის და ღიმილნარევი ირონიით, სრულიად სერიოზულად იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქცევის წესები პარლამენტში — უნდა „იმესიჯოს“ ან გვერდით მჯდომს გადაულაპარაკოს თუ არა დეპუტატმა მინისტრის მოსმენის დროს. მართალია, ამ გადალაპარაკებებში ყველაზე აქტიურად სწორედ ფანჯიკიძე-ბაქრაძე იყვნენ ჩართულნი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, დებატებზე რამდენიმე საინტერესო კითხვა-პასუხი მაინც გაჟღერდა: გავიგეთ, რომ რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის შეტანა ჩვენი ქვეყნის თვითმიზანი არ არის. გავიგეთ ისიც, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის თურქეთში ვიზიტის შემდეგ, არსებითად, არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, ბათუმში აზიზიეს მეჩეთის ნაცვლად, სხვა არქიტექტურული მოდელის მეჩეთი აშენდება საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე. გავიგეთ ისიც, რომ საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, თედო ჯაფარიძის მიერ დაწერილ 14-პუნქტიან შეთავაზებას საგარეო საქმეთა მინისტრი დიდად არ ეთანხმება. გიგი წერეთლის რუტინულ კითხვაზე, როგორ უნდა დავუახლოვდეთ ნატო-სა და ევროკავშირს, ფანჯიკიძის პასუხი ასეთივე რუტინული იყო — უნდა მოხდეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, ხოლო 2014 ვილნიუსში ჩანიშნულ სამიტზე, ევროკავშირისკენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტიკის ნაკლებობა საგარეო საკითხებში, წინა და ახალი ხელისუფლების საერთო სენია. სამაგიეროდ, მინისტრს „ოცნებისგან“ განსხვავებული და დასამახსოვრებლად მკვეთრი პოზიცია ჰქონდა ერთ-ერთ საკითხზე — „ნაციონალების“ კითხვას, მიესალმება თუ არა გორში „ოცნების“ ზოგიერთი წევრის მიერ სტალინის ძეგლის აღდგენის სურვილს, ფანჯიკიძემ სულ გმობა-გმობით უპასუხა: **„სტალინის ძეგლის აღდგენას კი არ მივესალმები, ვგმობ! მე ყველა ამგვარ მოსაზრებას კერძო ინიციატივად მივიჩნევ, თუმცა აბსოლუტურად გეთანხმებით იმაში, რომ სტალინი ყველაზე საშინელი მოვლენაა მეოცე საუკუნეში და ჩემთვის იგი ჰიტლერსა და ფაშიზმთანაა გაიგივებული“.**

ლამის ცალკე დებატები შედგა გოკა გაბაშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრს შორის. გაბაშვილმა დასვა კითხვები ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის აშენების საკითხის გადახედვაზე, პარალელურად, აფხაზეთში სარკინიგზო ხაზის გახსნაზე, პაატა ზაქარეიშვილისა და ბიძინა ივანიშვილის საჯარო განცხადებების შესახებ. ბოლოს კი გაბაშვილმა მინისტრს ნიშნი მოუგო, შენი ხელისუფლება მე ხომ მისმენს, მაგრამ შენც გისმენსო, მინისტრმა კი მთელი დებატების რეჟიმის დროს მის მიერვე წამოჭრილი თემა, როგორც იქნა, დაამთავრა — თქვენ რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჩემი ქმარი სამსახურიდან გამოუშვითო?!

მაია ფანჯიკიძეს მოუხდა განმარტების გაკეთება შალვა ხაჭაპურიძის სარჩელზე ჰააგაში, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომში დამნაშავედ ქართული მხარეა გამოყვანილი, ასევე, მარადიუკვდავ — ხუხაშვილი-ბიზნესმენების ურთიერთობის თემატიკასა და დავით საგანელიძის ფრაზაზე, რომ საქართველოს ერთი საგარეო კურსი არ აქვს. საქმიანი აღმოჩნდა აკაკი მინაშვილის კითხვა — რატომ თქვა უარი ნატო-ს მინისტერიალისთვის საკაშვილთან ერთად, ერთობლივი წერილის დაწერაზე ბიძინა ივანიშვილმა. აქვე გაჟღერდა მინისტრის დაპირება-პასუხი იმის თაობაზე, რომ ივანიშვილის მთავრობას იდეა მოსწონს და, სავარაუდოდ, მომავალში საგარეო კურსთან მიმართებაში ოცნება-ნაციონალების ერთიან ნამუშევარს მივიღებთ!

თუმცა შეხვედრის პიკი მაინც გიორგი კანდელაკისა და მაია ფანჯიკიძის საოცარი ურთიერთბრალდებები აღმოჩნდა: ფანჯიკიძემ განაცხადა — კანდელაკი ჩვენ ჩუმად „მაილებს“ წერს ევროპარლამენტის დეპუტაციას და „ოცნებას“ იმიჯს ულახავსო. როგორც ნათქვამიდან გამოუვიდა, მინისტრი „მაილების“ შინაარსს იცნობს. ფრაზამ შოკში ჩააგდო „ნაციონალი“ დეპუტატი, რომელმაც ფანჯიკიძეს ბრალი აქეთ დასდო: **„მე ვარ აბსოლუტურად შოკირებული! შოკში ვარ და პირადად თქვენ და შს მინისტრს ბრალს გდებთ ჩემი „მაილების“ უკანონო კითხვაში. ძლივს აღვკვეთე ჩემი კუთვნილი კომპიუტერის გატეხვის ფაქტები რამდენიმე ექსპერტის დახმარებით. მე შოკირებული ვარ იმით, რომ ჩემი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის რიტორიკა ერთი ერთზე ემთხვევა ბრეჟნევის რიტორიკას, თითქოს მთელი დასავლეთი გაბრიყვებული და მოტყუებულია ჩვენგან... მე ვერ მოვისმინე ვერანაირი კონკრეტული გეგმა იმის შესახებ, რის გაკეთებას აპირებთ და რა გეგმები გაქვთ ნატო-სა და ევროკავშირთან დასაახლოებლად — თქვენს მაგივრად, მე მრცხვენია!** — აღელდა კანდელაკი და უმალ მიიღო მინისტრის პასუხი: **„ახალგაზრდა კაცი ხართ, მინდა, ეს შოკი გაინელოთ და ნერვები არ დაიმახინჯოთ. არც ის უნდა აგივარდეთ თავში, თითქოს თქვენი „მაილებით“ იმართება მთელი დასავლეთი“.**

ასე დარჩა შოკში გიორგი კანდელაკი, საქართველოს პარლამენტში კი მინისტრების დაბარებისა და რაც მთავარია, მისვლის ტრადიცია, მაია ფანჯიკიძემ განაახლა!

ექსკლუზიური ვერსია

# გიგი უგულავას გადაყენება, მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია!





*მე-3 გვერდიდან*

**„ოცნების“ კანდიდატურა მოქმედი მერი მაინც ვერ გახდება, რადგან აქ უკვე საარჩევნო კოდექსი მოქმედებს, რომლის მიხედვითაც, თბილისის მერის რიგგარეშე არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ტარდება, თუ მერის არჩევამდე დარჩენილია 2 ან მეტი წელი. ჩვენს შემთხვევაში, უკვე 2 წელზე ნაკლებია დარჩენილი, ამ პირობებში კი, 2014 წლის გაზაფხულამდე, თბილისის მერი შეიძლება იყოს მხოლოდ ვიცე-მერი დავით ნინიძე!“**

ალბათ, უპრიანი იქნება, იუსტიციის სამინისტრომ და თბილისის საკრებულომ საზოგადოებისა და საკუთარი წევრების ინფორმირება შეცვლილი კანონების ახალი რედაქციით მოახდინონ, თუმცა არც უგულავაა პოლიტიკურად უძლეველი. „თვითმმართველობის შესახებ კანონში“ გარკვევით წერია, რომ დედაქალაქის თვითმმართველობას ჰყავს თავისი ზედამხედველი ისევე, როგორც სხვა თვითმმართველობებს, ხოლო თბილისისა და აჭარის შემთხვევაში, მერის, კონკრეტულად, გიგი უგულავას პირადი ზედამხედველი გახლავთ არა მთელი მთავრობა, არამედ კონკრეტულად პრემიერ-მინისტრი. ივანიშვილს დღესაც შეუძლია და 2012 წლის 25 ოქტომბრიდანაც შეეძლო, უგულავას კანონსაწინააღმდეგო აქტებზე (მაგალითად, მერის პირადი დაცვის უკანონო სამსახურის ფორმირება) რეაგირება მოეხდინა, მაგრამ ფაქტია, უგულავა-ივანიშვილი აქამდე მხოლოდ მსუბუქი კინკლაობებით შემოიფარგლებიან! ასე რომ, თბილისის პირველი არჩეული მერის, გიგი უგულავას წინააღმდეგ არც საკრებულოსა და არც პროკურატურას რეალური ძალა არ გააჩნია, თავი თავად ბიძინა ივანიშვილმა თუ არ შეიწუხა!



# ზვიად ძიძიგური: „კობა დავითაშვილი ცდილობს, კრიტიკით ყურადღება მიიქციოს და ამით ხელისუფლებაში არსებული განლაგების რევიზია მოახდინოს!“



რუსუდან შელია
პოლიტიკა

**არის თუ არა „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ კრიზისში და რომელი პოლიტიკური ძალა იჩაგრება კოალიციაში, ვისი ყურადღება მიიქცია ხელისუფლების კრიტიკით კობა დავითაშვილმა და რა შენიშვნას აძლევს დიდი ხნის მეგობარს, „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგური პასუხობს.**

— ის პოლიტიკური ქაოსი, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნია, რადგან დღეს უჩვეულო მდგომარეობაში ვართ: საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით პირველად შეიცვალა და ქვეყანას, ფაქტობრივად, ორი ძალა მართავს. პრობლემაა ისიც, რომ სამინისტროებსა და საჯარო სამსახურებში ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ შერჩეული კადრები მუშაობენ. ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ცხრა წელი აბსოლუტურად ყველა სფეროს აკონტროლებდა, გარკვეული ძალა ინერციით დღემდე შერჩა. ასე რომ, პოლიტიკურ კინკლაობას, რასაც დღეს საზოგადოება თვალს ადევნებს, თავისი ლოგიკა და ახსნა აქვს. უბრალოდ, ამჯერად, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ქვეყანაში სტაბილურობა შევინარჩუნოთ.

**— სტაბილურობის შენარჩუნება, ალბათ, კოალიციიდან მოგიწევთ, რადგან სავარაუდოდ, ოცნების პოლიტიკურ ელიტას ჯერ კობა დავითაშვილთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა...**

— პოლიტიკური ელიტა კოალიციაში ნამდვილად არსებობს და ეს სწორედ ის მმართველი გუნდია, რომლის ერთ-ერთ წევრად კობა დავითაშვილიც ითვლება. მოგეხსენებათ, ის სხდომებში აქტიურად მონაწილეობს და კანონშემოქმედებითი კუთხითაც საკმაოდ პროდუქტიულია.

**— თუმცა დავითაშვილი გუნდში გადაწყვეტილებისმიმღებ რამდენიმე ადამიანს შორის თავს არ მოიაზრებს და ამითაა უკმაყოფილო.**

— ფაქტია, კობა დავითაშვილი დავით უსუფაშვილის გამონათქვამით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ჩვენი საქმიანობის შეფასებებისას, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. არ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, საოცარი და გულისამაჩუყებელი რამ მოხდა. კოალიციის ყველა წევრს აქვს უფლება, საკუთარი აზრი საჯაროდ განაცხადოს.

**— კი, მაგრამ კობა დავითაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ გუნდის წევრია, კოალიციის წევრებს „დოყლაპიას“ უწოდებს. პოლიტიკური გაერთიანების პრინციპებიდან გამომდინარე, ესეც ნორმალურ მოვლენად გეჩვენებათ?**

— ეს მხოლოდ მისი მოსაზრებებია და მის ტერმინოლოგიაში განაწყენებული კაცის პოზიცია ჩანს. ვფიქრობ, კობა დავითაშვილი ამ კრიტიკით ყურადღების მიქცევას ცდილობს, რათა ხელისუფლებაში შექმნილი განლაგების რევიზირება მოახდინოს.

**— რაში სჭირდება ხელისუფლების რევიზირება, კოალიციაში თავისი ადგილით უკმაყოფილოა?**

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მას საპარლამენტო უმრავლესობაში პატივისცემით უყურებენ. ბატონი ბიძინაც კეთილგანწყობილია მის მიმართ და ფიქრობს, კობას პოლიტიკური გამოცდილება და გონებამახვილობა კოალიციამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. მოგეხსენებათ, კობა დავითაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯანდაცვის იმ კონცეფციის შემუშავებაში, რომელიც დღეს კოალიციის წესდებას წარმოადგენს. მართალია, გუნდში სხვადასხვა რეაქცია მოყვა კობას განცხადებებს, მაგრამ პირადად, მე, არ ვფიქრობ, რომ დავითაშვილი უმრავლესობიდან უმცირესობაში გადავა. როცა იგი მოქალაქეთა კავშირიდან და ნაციონალური მოძრაობიდან წამოვიდა, მაშინ ამის საფუძველიც არსებობდა, რადგან დანაშაულებრივ ხელისუფლებასთან ყოფნის სურვილი არ ჰქონდა. კობა დავითაშვილი პრაგმატული პოლიტიკოსია და, ვფიქრობ, გრძნობს იმ უპირატესობას, რომელიც კონკრეტული გეგმების განსახორციელებლად კოალიციაში გააჩნია. უბრალოდ, ახლა ცდილობს, ხელსაყრელი პოზიცია დაიკავოს.

მოგეხსენებათ, ჩვენ დიდი ხანია ვმეგობრობთ, მისი ბავშვის ნათლია ვარ და ოჯახებითაც კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, ამიტომ დარწმუნებით შემიძლია თქმა, რომ კობა დავითაშვილი დღევანდელ მდგომარეობას კარგად აფასებს. უბრალოდ, მას სიმშვიდე და სიდინჯე სჭირდება იმისთვის, რომ საკუთარი გეგმების რეალიზება მოახერხოს. ეს მყისიერი საქმე არ არის, დროში გაწელილი პროცესია, რისთვისაც, ვიმედოვნებ, კობა მზად აღმოჩნდება. არა მგონია, ამ ფაქტმა კოალიციის ერთიანობაზე ნეგატიურად იმოქმედოს.

**— კოალიციის ერთიანობის რღვევაზე ეჭვი ჯერ კიდევ ირაკლი ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გათავისუფლების შემდეგ გაჩნდა, ამ ფონზე, დავითაშვილის განცხადებები უფრო დრამატულად გაჟღერდა...**

— ფაქტია, შიგნით კოალიციაში ყველაფერი დალაგებულად, კოალიციურად და პარტნიორულად მიმდინარეობს, რის შენარჩუნებასაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ნამდვილად ვისურვებდი. მიმაჩნია, რომ კობა სერგო რატიანთან კამათისას წონასწორობიდან გამოსვლისთვის არ უნდა დავძრახოთ. მართალია, დეპუტატების ფიზიკური დაპირისპირება უსიამოვნო სანახავი იყო, მაგრამ ეს მსოფლიოში მიღებული ფორმაა. გარწმუნებთ, კოალიციაში არავინ იჩაგრება, რასაც ირაკლი ალასანიაზეც საუბრობდნენ. საინტერესოა, როგორ უნდა იჩაგრებოდეს თავდაცვის მინისტრი, რომელსაც მთელი უშიშროება და ქვეყნის უსაფრთხოება ხელში უჭირავს? ნეტა, ასეთი დაჩაგრული კოალიციაში ბევრი იყოს. არ მესმის, კოალიციაში ჩაგვრაზე როგორ უნდა ვისაუბროთ, როცა პოლიტიკური გაერთიანების ყველა სუბიექტი, კონსერვატიული პარტიის თამადობით, ბიძინა ივანიშვილმა უპერსპექტივო მდგომარეობიდან გამოგვიყვანა და სახელისუფლებო პარტიებად გვაქცია?! რომელიმე ჩვენგანს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის გარეშე ხელისუფლებას ისე ვერ ვიხილავდით, როგორც საკუთარ ყურებს?! ეს თითოეულმა ჩვენგანმა ძალიან კარგად იცის და პირადად, მე, უსინდისო კაცი ვიქნები, თუ ამის შესახებ ხმამაღლა არ განვაცხადებ — ხალხმა არჩევნებზე ბიძინა ივანიშვილს დაუჭირა მხარი და არა კოალიციაში შემავალ პარტიებს. მცირე წვლილი, ბუნებრივია, ჩვენც შევიტანეთ, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, მძლავრი კოალიცია ჩამოეყალიბებინა სწორედ იმ სუბიექტებისგან, რომელიც კოალიციაში დღესაა წარმოდგენილი. მინისტრები, დეპუტატები, მაღალი თანამდებობის პირები, ეს ადამიანები არიან დღეს დაჩაგრულები? ამიტომ, ვფიქრობ, თითოეულმა ჩვენგანმა უსაფუძვლო შენიშვნებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

**— რადგანაც დღეს მმართველ პარტიას წარმოადგენთ, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დაივიწყოთ ის, რისთვისაც ოპოზიციაში იბრძოდით?**

— ღმერთმა დამიფაროს, დავივიწყო, რისთვისაც ოპოზიციაში ყოფნის დროს ვიბრძოდი! მესმის, ბევრი, მათ შორის კობა დავითაშვილიც, 26 მაისის, 7 ნოემბრისა თუ სხვა გახმაურებული საქმეების გამოძიებას ელოდება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ნაციონალები“ იდიოტები არ არიან. მათ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება გაანადგურეს და დღეს გამოძიება ამიტომაც ჭიანურდება. კობა დავითაშვილმა, რომელსაც იურიდიული განათლება აქვს, კარგად იცის, საგამოძიებო პროცედურები მრავალთვიანი პროცესია. პირადად, მე, სამართალდამცავ ორგანოებს ვენდობი, თუმცა არ მაქვს მოლოდინი, რომ მართლმსაჯულება რამდენიმე დღეში აღდგება. თუ მოთმინება არ გვყოფნის, აბა, რა ვქნათ, მიხეილ სააკაშვილივით, კოტე კუბლაშვილს მივადგეთ და თავი მოვაგლიჯოთ? თუ საზოგადოება ამის მომხრეა, მაშინ შევეგუოთ იმასაც, რომ ნაციონალური მოძრაობის გაგრძელებას მივიღებთ, რადგან ყველა გადაწყვეტილებას სწრაფად იღებენ იქ, სადაც დიქტატურაა. სასამართლო რეფორმა აუცილებლად განხორციელდება, თუმცა არ შეიძლება ნაბან წყალს ბავშვი გადავაყოლოთ. კარგად ვიცით, რომ ვანო მერაბიშვილი და კოტე კუბლაშვილი ახლო ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად, სასამართლო სისტემა უნდა დავანგრიოთ. ეს არის ის რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს ქვეყანაში და ნურავის ექნება ილუზია, სამართლიანობა მოკლე ხანში აღდგება. სამართალი ურმით დადის, მაგრამ დანიშნულ ადგილას მაინც მივა.

## შტეფან ფულე: „უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ინფორმაცია დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს“



**„უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ინფორმაცია დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს“,** — განაცხადა ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ.

მისი თქმით, ევროკავშირთან დაახლოება მხოლოდ ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე თანამიმდევრულ მუშაობაზე არაა დამოკიდებული და მხოლოდ შეთანხმებებსა და საჯარო განცხადებებს არ გულისხმობს. პარტნიორობა ძირეულ ფასეულობებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებსაც ეხება.

**„ეს ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია. უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ინფორმაცია დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. შესაძლოა, ეს კოჰაბიტაციის პირდაპირი ან ირიბი ეფექტი იყოს. მონაწილეები თავად უნდა შეთანხმდნენ ამ საკითხებზე. ევროპული ინსტიტუტები და ევროკომისია ასეთ თემებზე მომლაპარაკებელი და მსაჯული ვერ იქნება, თუმცა არც იმას ვამბობ, რომ ჩვენ პასიური დამკვირვებლები ვართ. საქართველომ საკუთარი სწრაფვა ევროპული პერსპექტივისკენ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა“,** — აცხადებს ფულე და აღნიშნავს, რომ მისი და ქეთრინ ეშტონის ერთობლივი განცხადების გზავნილიც პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისთვის ერთმნიშვნელოვანი იყო: მათ უნდა მოიძიონ ერთმანეთთან კომუნიკაციის გზები და უნდა შეთანხმდნენ შეცდომების გამოსწორებაზე.

**„უნდა დაამტკიცონ, რომ კოჰაბიტაცია ევროკავშირთან დაახლოების პროცესში შემაფერხებელი არ იქნება. ორივემ ერთი როლი უნდა შეასრულოს. ძირეული ბაზისი უნდა შექმნან კოჰაბიტაციისთვის, რაც თავისთავად, რთული მდგომარეობაა და დასავლეთ ევროპული დემოკრატიებისთვისაც კი არ იქნებოდა მარტივი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოწვევაა ქვეყნისთვის, რომელმაც ისტორიაში პირველად შეძლო ხელისუფლების თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების შედეგად შეცვლა, მაგრამ მნიშვნელოვანია და ეს ორივე მხარე მოეთხოვება, ქვეყნის ინტერესები საკუთარ პირად ან პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენონ“,** — აცხადებს შტეფან ფულე.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ვერსიანიუსი

### სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის განცხადება

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ 12:00-საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გასულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ეს არ იყო ტელეკომპანიის მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ვიდეომასალა:

**„ეს კადრები რობაქიძის საქმეზე ბრალდებულმა, ირაკლი ფირცხალავამ პროკურატურასთან მყოფ ყველა ტელეკომპანიის ჟურნალისტებს გადასცა. დაუმონტაჟებელი მასალა ჩვენ „კურიერის" გამოშვების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიღეთ და, ფაქტობრივად, პირდაპირი ეთერის რეჟიმში მოგვიხდა მისი ჩვენება, თუმცა ჩვენ შეგნებულად, ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებული მასალის მხოლოდ ფრაგმენტი ვაჩვენეთ, სადაც განსაკუთრებულად მძიმე კადრები დაფარული იყო.**

**მასალის გავრცელებამდე ჩვენ გავაკეთეთ განცხადება, თუმცა კიდევ ერთხელ გვსურს საზოგადოებას, განსაკუთრებით, ამირან რობაქიძის ოჯახსა და მის ახლობლებს ბოდიში მოვუხადოთ ამ მძიმე კადრებისთვის. კიდევ ერთხელ განვმარტავთ, რომ გადაწყვეტილება ვიდეომასალის ეთერში გაშვების შესახებ, ამ კონკრეტული საქმისადმი საზოგადოების განსაკუთრებულად მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მივიღეთ“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### გივი თარგამაძის სასამართლო პროცესი 21 თებერვალს გაიმართება



მოსკოვის ბასმანის სასამართლო 21 თებერვალს, გამოძიების შუამდგომლობით ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის, გივი თარგამაძის მიმართ დაუსწრებლად პატიმრობის შეფარდების საკითხს განიხილავს. საქმის განხილვა 21 თებერვალს, ადგილობრივი დროით, 11:00 საათზეა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, გივი თარგამაძეს რუსეთში მასობრივი არეულობების ორგანიზება ედება ბრალად. 14 თებერვალს მოსკოვის პოლიციამ ის ფედერალურ ძებნაში ოფიციალურად გამოაცხადა.

**„თარგამაძე საქართველოს მოქალაქეა და ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მისი რუსული მხარისთვის გადაცემა გამორიცხულია. დაიწყება თუ არა გამოძიება ამ საკითხთან დაკავშირებით, ამას მას შემდეგ გადავწყვეტთ, რაც რუსული მხარისგან შესაბამის თხოვნას მივიღებთ“,** — განაცხადეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

გივი თარგამაძის სახელი რუსეთში აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ტელეკომპანია „ენტევეს“ ეთერში გავიდა დოკუმენტური ფილმი „პროტესტის ანატომია 2“. აღნიშნულ ფილმში ნაჩვენები იყო თარგამაძისა და რუსეთის „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორის სერგეი უდალცოვის შეხვედრის ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერი. ფილმის ვერსიით, უდალცოვი და სხვა ოპოზიციონერები რუსეთში მასობრივ არეულობებს გივი თარგამაძის ფინანსური დახმარების მეშვეობით უწევდნენ ორგანიზებას.

*„ივერონი“*

# სასტუმრო „აფხაზეთის“ ყოფილი მფლობელი უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სასტუმრო „აფხაზეთი“ კომპანია „ვისოლ ჯგუფს“ 2012 წლის 26 ივლისს მიჰყიდა. ამ პერიოდში, სასტუმროს ერთ-ერთი მფლობელი, ბიზნესმენი ბესო ხარძიანი უკვე დაპატიმრებული იყო. სასტუმრო „აფხაზეთში“ მცხოვრები დევნილები, 2012 წლის 19 აგვისტოს, იძულების წესით გამოასახლეს, მაგრამ სახელმწიფომ სასტუმროს ეზოში მდებარე, ბავშვთა ცეკვის სტუდიაც დაანგრია. სტუდია „ენკის“ ბესო ხარძიანის მეუღლე, ანსამბლ „ერისიონის“ ყოფილი სოლისტი, ეკა ნონიკაშვილი ხელმძღვანელობდა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ბესო ხარძიანი ციხიდან გაათავისუფლეს, ამნისტირებულ მეწარმეს იმედი აქვს, რომ წართმეულ ქონებას მხოლოდ მაშინ დაიბრუნებს, თუკი პარლამენტი სპეციალურ კანონს მიიღებს. ბესო ხარძიანს იმ სასამართლოს იმედი არ აქვს, რომელმაც 25 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, ბუტა რობაქიძის მკვლელი გაათავისუფლა.**



## რატომ იქმნება „რეპრესირებულ ბიზნესმენთა კავშირი“ და რა კანონის მიღებას ითხოვენ ამნისტირებული მეწარმეები?

„ვერსიასთან“ საუბრისას **ბესო ხარძიანმა** აღნიშნა, რომ არ უნდა, კოლეგა ბიზნესმენებს ანუ „ვისოლის“ მფლობელებს, ძმებს — ლევან და სოსო ფხაკაძეებს დაუპირისპირდეს:

**„სამწუხაროდ, ისინი კომფორმისტები არიან, რადგან ახლაც შესანიშნავად გრძნობენ თავს და ნაციონალური მოძრაობის პირობებშიც შესანიშნავად იყვნენ. სხვაგვარად გამორიცხულია, წინა ხელისუფლების პირობებში, მათი ბიზნესი გადარჩენილიყო. ეჭვის დონეზე შევიტყვეთ, რომ ეკონომიკის სამინისტრომ სასტუმრო „აფხაზეთი“ კომპანია „ვისოლს“ 1 ლარად მიჰყიდა, ამის დამამტკიცებელი საბუთი არ მაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წინა ხელისუფლებამ მილიონი სხვაგან გადაახდევინა, რაც სიმართლე გითხრათ, ჩემი საქმე სულაც არ არის. ახლა მთავარია, წართმეული ქონება დავიბრუნო და ცეკვის სტუდიის დანგრევის გამო, კომპენსაცია გადამიხადონ, მაგრამ სამწუხაროდ, ამას სასამართლოს გზით ვერ მოვახერხებ. ამისთვის აუცილებელია, პარლამენტმა შესაბამისი კანონი მიიღოს“.**

ბესო ხარძიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ ის მეწარმეები, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში დაზარალდნენ, მხოლოდ მაშინ შეძლებენ წართმეული ქონების დაბრუნებას, თუკი ამ ფაქტს სახელმწიფო დააკანონებს:

**„პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი და ჩვენს მდგომარეობაში მყოფი მეწარმეები მხოლოდ ასე შევძლებთ წართმეული ქონების დაბრუნებას. ამის შემდეგ, თვითონ კომპანიამ გაარკვიოს სახელმწიფოსთან, კეთილსინდისიერი მყიდველია თუ არა „ვისოლი“, მე რატომ უნდა გავარკვიო ან რა ჩემი საქმეა? სასტუმრო „აფხაზეთი“ ჩემი საკუთრება იყო, როგორ გგონიათ, ერთ დღეს გავიღვიძე და სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, ეკონომიკის სამინისტროს ვაჩუქე? ეს ხომ სრული აბსურდია! ვინმეს აქვს ინფორმაცია, რომ უკანონოდ ქონებაწართმეულ მეწარმეს, მისი საკუთრება დაუბრუნეს? ასეთი ფაქტი არ არსებობს, არადა, სამართალი უნდა დადგეს და ამას არავითარი სასამართლო არ სჭირდება. როგორც გითხარით, აუცილებლად უნდა მივიღოთ კანონი, რომ ვინც 2005 წლიდან, 2012 წლის ოქტომბრამდე, იძულების წესით დაკარგა ქონება, მას უკანონოდ წართმეული საკუთრება დაუბრუნდეს“.**

ამ მიზნით, ბესო ხარძიანი, მამია სანადირაძე („კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელი) და ანზორ ქოქოლაძე („ელიტ ელექტრონიქსის“ ყოფილი მფლობელი), უახლოეს მომავალში აპირებენ, დააფუძნონ ასოციაცია „რეპრესირებულ ბიზნესმენთა კავშირი“, რომლის პრეზენტაცია, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს გაიმართება:

**„ყველა მეწარმე და ბიზნესმენი, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში დავზარალდით, ამ ორგანიზაციაში გავერთიანდებით. ჩვენი ასოციაციის უმთავრესი ამოცანა იქნება, შევქმნათ კანონმდებლობა, რომლითაც ჩვენ, ქონებაწართმეული მეწარმეები, საკუთრების დაბრუნებას შევძლებთ. ვსაუბრობთ ადამიანებზე, რომლებსაც ქონებაც წაართვეს და ღირსებაც შეულახეს. ეს ხალხი დღეს სამართლიანობის აღდგენას ელოდება და „ქართულ ოცნებას“ მოუწევს, მათი ქონების დაბრუნებაზე იზრუნოს. სხვათა შორის, „ნაციონალებს“ ჰგონიათ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში, „ოცნებამ“ გაიმარჯვა, არადა, ხალხმა გაიმარჯვა და მენეჯმენტში ქართული ოცნება დაიქირავა“.**

„ვერსია“ ბესო ხარძიანის მეუღლეს, **ეკა ნონიკაშვილს** დაუკავშირდა. მისი კუთვნილი 200 კვმ ფართობის ცეკვის სტუდია „ენკი“, ვაჟა-ფშაველას №25-ში, სასტუმრო „აფხაზეთის“ უკან მდებარეობდა:

**„ამ სტუდიის გასარემონტებლად კრედიტი „საქართველოს ბანკიდან“ ავიღეთ და მართლაც, კარგად გავარემონტეთ. 2012 წლის 19 აგვისტოს, სახლში მომაკითხეს სოდ-ის თანამშრომლებმა და სტუდიის გასაღები მომთხოვეს. ჩავჯექი მანქანაში და წავედი, თან ჩემს ადმინისტრატორს დავურეკე, რომ გასაღები მოეტანა. როგორც გითხარით, კარგი სტუდია მქონდა, გასახდელებითა და „დუშ-კაბინებით“, დარბაზში დიდი სარკეებით. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ სოდ-ის თანამშრომლებმა ყველაფერი დაშალეს, ზუსტად 5 წუთში მანქანაში ჩაწყვეს, სახლში მომიტანეს და სადარბაზოს წინ დამიყარეს. მიუხედავად ამისა, 19 აგვისტოს, სასტუმრო „აფხაზეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთი საშინელება ხდებოდა, ჩემი სტუდია, საერთოდ, გადამავიწყდა კიდეც. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გამოყარეს სასტუმროს შენობიდან დევნილები, ისეთი შემზარავი სურათი იყო, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ — ქალები, ბავშვები, კაცებიც კი ტიროდნენ. სასტუმროდან გამოსახლებული დევნილები კი ავტობუსებში შეყარეს და წაიყვანეს... ამ დროს, ჩემი მეუღლე ჯერ კიდევ დაპატიმრებული იყო და იმდენად შეშინებული ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი“.**

ყველაფერი ასე დაიწყო: ბესო ხარძიანი, სასტუმრო „აფხაზეთის“ გარდა, მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოსა“ და კუს ტბის ერთ-ერთი მფლობელიც იყო, გაერთიანებულ კომპანიას კი შპს „საქართველო“ ერქვა. 2007 წელს, ფინანსურმა პოლიციამ სასტუმრო „საქართველოს“ ორი დირექტორი დააპატიმრა, ბესო ხარძიანი და შპს „საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაიბარეს და პირდაპირ განუცხადეს, რომ თუ სასტუმრო „აფხაზეთს“ ეკონომიკის სამინისტროს სახელზე არ გადააფორმებდნენ, დირექტორებს ციხეში ჩაალპობდნენ. ბესო ხარძიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ სასტუმრო „აფხაზეთი“ ამგვარი იძულების წესით აღმოჩნდა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე:

**„ციხეში 2011 წლის 16 თებერვალს ჩამსვეს, წამებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, ჩემი კუთვნილი წილები გადაიფორმეს, მაგრამ ესეც არ მაკმარეს, ჩემი ძმა დაიბარეს და სასტიკად სცემეს. სასტუმრო „აფხაზეთის“ გაყიდვის ამბავი ციხეში შევიტყვე, იქიდან შემოუთვალე, იქნებ, სტუდია მაინც დაუტოვოთ ჩემს მეუღლეს-თქო, დამპირდნენ, მაგრამ მაინც წაართვეს. ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ჩემი მეუღლე „ერისიონის“ სოლისტი იყო, ღირსების ორდენიც აქვს, თუმცა ამის მიუხედავად, წინა ხელისუფლება კულტურასაც გაუსწორდა — საბავშვო სტუდია დაანგრია. შესაბამისად, ვითხოვ, სტუდიის დანგრევის სანაცვლოდ, კომპენსაცია გადამიხადონ. ჩემთვის სულ ერთია, კომპენსაციას „ვისოლი“ გადაიხდის თუ ეკონომიკის სამინისტრო, მაგრამ ფაქტია, ჩემი მეუღლის კუთვნილი ცეკვის სტუდია სასტუმრო „აფხაზეთის“ ეზოში მდებარეობდა, რომელიც უკანონოდ დაანგრიეს“.**

შპს „საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, **დავით ჭელიძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ამ საქმეში ყველაზე მეტად ფინანსური პოლიციის გამომძიებელი გრიგოლ ფერაძე და რამაზ ნიკოლეიშვილი აქტიურობდნენ:

**„დაგვიბარეს ნოტარიუსთან და ულტიმატუმის სახით მოგვთხოვეს, სასტუმრო „აფხაზეთი“ უსასყიდლოდ გადაგვეცა ეკონომიკის სამინისტროსთვის. ამის შედეგად, გამოძიება ასე დასრულდებოდა: სასტუმრო „საქართველოს“ შეეშვებოდნენ, დირექტორებს ციხიდან გამოუშვებდნენ, 5 წელს პირობითს მისცემდნენ, საპროცესო გარიგებას გაუფორმებდნენ და თითოეულს, 20 000 ლარს გადაახდევინებდნენ. გრიგოლ ფერაძის თანდასწრებით, დავწერეთ განცხადება და სასტუმრო „აფხაზეთი“ ეკონომიკის სამინისტროს გადავეცით“.**

„ვერსია“ კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებს დაუკავშირდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეკონომიკის სამინისტროსგან სასტუმრო „აფხაზეთის“ 1 ლარად შეძენის ფაქტი, სიმართლეს არ შეესაბამება:

**„კომპანია „ვისოლ ჯგუფმა“, 2011 წლის 26 ივლისს, ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ამ ხელშეკრულების თანახმად, „ვისოლ ჯგუფმა“ სასტუმრო „აფხაზეთი“ 4 000 000 (ოთხი მილიონი) აშშ დოლარად შეიძინა. აღნიშნული თანხა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი, დევნილთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოიყო“.**

## ვერსიანიუსი

### შსს-ს მაღალჩინოსნებმა აღიარეს, რომ კერძო პირებს 52 ავტომობილი უკანონოდ ჩამოართვეს



ადვოკატი ირმა ჭკადუა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საპრივატიზაციოდ გამზადებული ავტომანქანების სიიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფი გივი თოდაძის მიერ ამოცნობილი ორი ავტომობილის ამოღებას ითხოვს. „ინტერპრესნიუსს“ ადვოკატმა განუცხადა, რომ პროკურატურამ, რომელიც კერძო პირებისთვის ჩამორთმეული ავტომანქანების საქმეზე გამოძიებას აწარმოებს, კუდ-ის მაღალჩინოსნები დაკითხა.

**„ეს პირები დღემდე შსს-ს მაღალ თანამდებობაზე მუშაობენ. მათ აღიარეს, რომ კერძო პირებს 52 ავტომობილი უკანონოდ ჩამოართვეს. ამის შემდეგ მთავარმა პროკურატურამ შსს-ს მისწერა, რომ ეს ავტომობილები უკანონოდაა ამოღებული, თუმცა შსს-ს მაინც გააქვს ისინი აუქციონზე“,** — განაცხადა ირმა ჭკადუამ და დასძინა: „კატეგორიულად მოვითხოვთ, ავტომობილები მოიხსნას აუქციონიდან. პროკურატურა სულ სხვა მიმართულებით მიდის, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი, სხვა მიმართულებით. შსს-მ უნდა გააკეთოს განმარტება კონკრეტულად ამ ორ ავტომანქანაზე“.

შს სამინისტროს ძვირადღირებული ავტომანქანები ელექტრონულ აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი 6 მარტს დასრულდება. ამასთან, შს სამინისტროს საფინანსო სამეურნეო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, თამაზ კრიჭინაშვილმა განაცხადა, რომ აუქციონზე არ გაიტანენ იმ ავტომანქანებს, რომელთა მიმართაც კერძო პირების პრეტენზიები არსებობს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### გაზის ინტოქსიკაციით 32 წლის მამაკაცი გარდაიცვალა




18 თებერვალს, დაახლოებით, 22:45 საათზე, გაზით გარდაიცვალა 32 წლის მამაკაცი. იგი აბაზანაში ნახეს. გარდაცვლილი სახლში მეგობართან ერთად იმყოფებოდა. სასწრაფო დახმარების სამსახურმა უგონოდ მყოფი გარდაცვლილის მეგობარი საავადმყოფოში გადაიყვანა.

უბედური შემთხვევა, სავარაუდოდ, გაზის წყლის გამათბობელმა გამოიწვია. ოჯახმა გამათბობელი შემთხვევამდე ერთი დღით ადრე დაამონტაჟა.

გარდაცვლილის მეგობარი ხვიჩა აფრიამაშვილი გვიამბობს, რომ შემთხვევის შესახებ ეჭვი გარდაცვლილის მეუღლეს გაუჩნდარადგან, დაახლოებით 22:00 საათზე, სამსახურიდან შინ დაბრუნებულ დიასახლისს სახლის კარი არავინ გაუღო, თუმცა ოთახიდან მუსიკის ხმა გამოდიოდა:

**„დაახლოებით 11-ის ნახევარი იქნებოდა, დამირეკეს, მითხრეს, რომ ჩემს მეგობარს რაღაც შეემთხვა. სასწრაფოდ წამოვედი. პოლიცია უკვე ადგილზე იყო. ჩემი მეგობრის მეუღლეც გარეთ იდგა, ეჭვობდა, გაზი მთელი დღის განმავლობაში ჟონავდა და, შესაძლოა, მეუღლე და მეგობარი გაზით იყვნენ გაგუდული. ფანჯარა შევამტვრიე და შევედი. გარდაცვლილის მეგობარი ძირს ეგდო უგონოდ. ჩემს მეგობარს კი სააბაზანოს ნიჟარაზე ჰქონდა თავი ჩამოდებული. უკვე გარდაცვლილი იყო. სველი არ იყო, როგორც ჩანს, ვერ მოასწრო წყლის გადავლება. აბაზანიდან მე გამოვიყვანე“,** – ამბობს ხვიჩა აფრიამაშვილი.

მისივე ნაამბობიდან ირკვევა, რომ მთელი დღის განმავლობაში ცუდად გრძნობდა თავს გარდაცვლილის მეუღლეც:

**„მგონი, გაზი მთელი დღის განმავლობაში ჟონავდა, ეტყობა, კარგად ვერ დაუმონტაჟეს წყლის გამაცხელებელი. ჩემი მეგობრის ცოლი მთელი დღე ცუდად გრძნობდა თავს და მეუღლისთვის უთქვამს, ცუდად ვარ, საავადმყოფოში წამიყვანეო, თუმცა ამისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია. ალბათ 5 წუთით გვიან რომ შევსულიყავი, მეორე მამაკაციც გარდაცვლილი დამხვდებოდა“,** — ამბობს იგი.

*„ნიუს პლუსი“*

# „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაცია" ფინანსთა მინისტრთან შეხვედრას ითხოვს

**18 თებერვალს, „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაცია" სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" დაფუძნდა. ქართველი მწარმოებლების გაერთიანება სამომავლოდ, დარგში არსებულ პრობლემებს გადაჭრის. გარდა ამისა, სფეროს განვითარებისა და ექსპორტის გასაძლიერებლად, სხვადასხვა სახის ერთობლივ პროექტებს შეიმუშავებს. ამ ასოციაციის პირველი, მნიშვნელოვანი წამოწყება არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაციის გაუქმება ან მისი შეცვლაა.**



უალკოჰოლო სასმელზე ელექტრონული მარკირების რეგულაცია არც წამყვან განვითარებულ და არც განვითარებად ქვეყნებში არ არსებობს!

„არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაცია" მსხვილი ქართული კომპანიების მწარმოებლებმა — შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ", შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველომ", ს/ს „იბერია რეფრეშმენტსმა" („პეპსი"), შპს „აქვა გეომ" („სნო") და ს/ს „წყალი მარგებელმა" დააფუძნეს. დამფუძნებლების განცხადებით, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაციის შეცვლა ან გაუქმება მნიშვნელოვანი ტესტი იქნება როგორც ასოციაციის, ასევე — სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობისთვის.

2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 129 ბრძანების საფუძველზე, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ცვლილებას ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებაში, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ". ბრძანების თანახმად, მატერიალური ან არამატერიალური ფორმით, სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება უალკოჰოლო სასმელი, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები. არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება ასე განისაზღვრება: უალკოჰოლო სასმელისთვის, მინერალური და მტკნარი წყლის გარდა — 1 000 ცალ ერთეულზე 5,5 ევროს ეკვივალენტით ლარში, მინერალური და მტკნარი წყლისთვის — 1 000 ცალ ერთეულზე 4,63 ევროს ეკვივალენტით ლარში. რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოსთან, ექსკლუზიურად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონულ მარკირებას ახორციელებს შვეიცარული კომპანია „სიქპა", რომელსაც ამ რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში, უალკოჰოლო სასმელის მწარმოებელმა მომსახურების საფასური უნდა გადაუხადოს. „ვერსიაში" უკვე ვწერდით, რომ „სიქპას" ქართველ პარტნიორებს შორის, ცნობილი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი ფიგურირებს.

ასოციაციის დამფუძნებლები აცხადებენ, რომ „სიქპას" მომსახურების საფასური ძვირი დაუჯდებათ, რაც ნებისმიერ შემთხვევაში, პროდუქციის თვითღირებულებასა და ფასზე იმოქმედებს. უალკოჰოლო სასმელი ადგილობრივ ბაზარზეც გაძვირდება და ამ პროდუქციის საექსპორტო ფასიც მოიმატებს. მწარმოებლები იმასაც ამბობენ, რომ მსგავსი ტიპის პროდუქტისთვის, თუნდაც უმნიშვნელო ფასის ზრდა, რეალიზაციის შემცირებას გამოიწვევს:

**„წინა ხელისუფლების ერთ-ერთი არგუმენტი ელექტრონული მარკირების შემოღებისას, სახელმწიფო კონტროლის აუცილებლობა იყო. აღრიცხვიანობა და მკაცრი ფინანსური კონტროლი საგადასახადო ადმინისტრირებისას მნიშვნელოვანია და ამაზე არავინ კამათობს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ზუსტი მონაცემები უნდა ჰქონდეს, მაგრამ კომპანიები დამატებით თანხას არ უნდა იხდიდნენ იმაში, რომ სახელმწიფომ ისინი გააკონტროლოს. რაც მთავარია, აქ საუბარია საკმაოდ სოლიდურ თანხებზე, რაც ქართულმა კომპანიებმა უნდა გადაიხადონ იმისთვის, რომ სახელმწიფომ ისინი გააკონტროლოს. არადა, აღრიცხვის წარმოების სხვა, გაცილებით მარტივი და იაფი საშუალებები არსებობს, რომლის გამოყენებაც თავისუფლად შეიძლება და ჩვენც, მწარმოებლებიც მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ სახელმწიფოს. აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით, უკვე დაინერგა ელექტრონული ზედნადების პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან, ისედაც სრულფასოვან კონტროლს უზრუნველყოფს",** — განაცხადა შპს „აქვა გეოს" („სნო") გენერალურმა დირექტორმა, დავით გიგაიამ.

შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველოს" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, ლევან ბაღდავაძემ აღნიშნა, რომ თუკი ელექტრონული მარკირების რეგულაცია ამოქმედდება, ამით საკონსტიტუციო გარანტია დაირღვევა. მისი თქმით, 2013 წლის ოქტომბრისთვის, საქართველოში უნდა არსებობდეს მხოლოდ 5 სახის გადასახადი, „არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირება" კი მე-6 ტიპის გადასახადი იქნება. ლევან ბაღდავაძე ამბობს, რომ ეს დამატებითი გადასახადია, რადგან მარკირების საფასურზე გაწეული წლიური ხარჯი გაცილებით მეტი გამოდის, ვიდრე მათ მიერ გადახდილი ზოგიერთი გადასახადის ჯამი:

**„მსოფლიო პრაქტიკა ასეთია, უალკოჰოლო სასმელზე ელექტრონული მარკირების რეგულაცია არც წამყვან განვითარებულ და არც განვითარებად ქვეყნებში არ არსებობს. სულ რამდენიმე ქვეყანაა აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, სადაც მსგავსი რეგულაცია მოქმედებს. მაგალითად, მაროკოში, უალკოჰოლო სასმელს თვითონ მაროკოს მეფე აწარმოებს და, უხეშად რომ ვთქვათ, ელექტრონული მარკირების საშუალებით, მის მიერ ჩამოსხმულ პროდუქციას ითვლის. რაც მთავარია, ელექტრონული მარკირების ჩვენნაირი სისტემის შემოღება ალბანეთის პრეზიდენტმა, ვეტოს უფლების გამოყენებით დაბლოკა, ხოლო ავსტრალიაში, ამ რეგულაციის შემოღებას, ქვეყნის პარლამენტმა არ დაუჭირა მხარი".**

„არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის" წევრები — ვახტანგ ლაღიძე („კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია"), ლევან ბაღდავაძე („აიდიეს ბორჯომი საქართველო"), ლევან კასრაძე („პეპსი"), დავით გიგაია („სნო") და ავთანდილ სვიმონიშვილი („წყალი მარგებელი") მზად არიან, შეხვდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს, რათა დაწვრილებით გააცნონ საკუთარი პოზიცია და არგუმენტები.

*მაია მიშელაძე*

## ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია იქნება



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" ბიზნესმენებთან შეხვედრაზე ბიზნესომბუდსმენად გიორგი გახარია წარადგინა. ივანიშვილის განცხადებით, მას განათლება მიღებული აქვს ბიზნესის მართვისა და პოლიტოლოგიის სფეროში, გააჩნია გენერალური მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. „მას ბიზნეს ენა კარგად ესმის".

როგორც პრემიერმა აღნიშნა, კარგი იქნება, თუ აიღებენ ერთკვირიან პაუზას, ბიზნესმენები ამ პერიოდში შეხვდებიან გიორგი გახარიას და ერთად მოიფიქრებენ, რა ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ მასთან.

**„მასთან ერთად ჩამოვყალიბდეთ, გნებავთ, სახელიც გადავარქვათ. ბიზნესომბუდსმენი თუ სხვა რამ მოვიფიქროთ, რომ თქვენ მარტივად შეძლოთ, მიიტანოთ ამბავი ხელისუფლებამდე",** — პრემიერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მთავრობის მოვალეობაა, ბიზნესს ხელი შეუწყოს, ჩინოვნიკების მხრიდან მათ საქმიანობაში „ხელის ფათურისგან" დაცვას დაჰპირდა და განაცხადა, რომ კანონის დაცვა ზემოდან, პრეზიდენტისგან უნდა დაიწყოს:

**„ყველაფერი უნდა დაიწყოს ზემოდან — კანონის დაცვა, პირველ რიგში, პრეზიდენტმა უნდა მოახერხოს, შემდგომ მთავრობის წევრებმა და შემდეგ ეს უნდა მოვთხოვოთ სხვებსაც".**

ამასთან, ბიზნესმენებთან საუბრისას, ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი, გამარტივებული საბაჟო პროცედურების მოქმედება, კომპანიის ადვილად დაფუძნება, რაც გარკვეულ როლს ასრულებს, თუმცა პრემიერ-მინისტრის შეფასებით, გადამწყვეტი დაბალი გადასახადებია.

*„ინტერპრესნიუსი"*

## კომპანია „ნატახტარი" „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის" განცხადებას უერთდება

### არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაცია უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს




კომპანია „ნატახტარი" უერთდება „არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებელთა ასოციაციის" განცხადებას, რომლითაც არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების რეგულაცია უნდა გაუქმდეს, ან შეიცვალოს. „ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი **თორნიკე ნიკოლაიშვილი** აცხადებს:

**„აღნიშნული რეგულაციის შემოღებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს არა მარტო პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში, ლიმონათის) თვითღირებულების ზრდა, არამედ — ბაზარზე ჩვენი პროდუქციის გაძვირებაც და, რაც ყველაზე მტკივნეულია, ჩვენი საექსპორტო პოტენციალის მკვეთრად გაუარესება. წელს, „ნატახტარის ლიმონათი" უკვე 20 ქვეყანაში გადის, რაც პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისა და ქართული წარმოების პოპულარიზაციაა. სახელმწიფოს მხრიდან აღრიცხვიანობის საჭიროება და მნიშვნელობა კარგად გვესმის, მაგრამ მეწარმეების დაზარალებისა და მთლიანად სექტორის მომავლის საფრთხის წინაშე დაყენების ხარჯზე, ეს არ უნდა ხდებოდეს".**

სასტუმრო „რედისონში" გამართულ პრესკონფერენციაზე, ხუთმა მსხვილმა ქართულმა კომპანიამ ახალი რეგულაცია გააპროტესტა. მათი ძირითადი არგუმენტები უკავშირდებოდა პროდუქციის გაძვირების, უარყოფითი ფისკალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღების, ექსპორტის შემცირების საფრთხის, კანონის უსამართლობის, მომხმარებელთა დაზარალებისა და სახელმწიფოს მხრიდან აღრიცხვიანობის ალტერნატიული სისტემის შემოღების აუცილებლობის საკითხებს.

2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანების საფუძველზე, რომელიც „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996-ე ბრძანებაში ცვლილებას წარმოადგენს, არააქციზური საქონლის მარკირების სავალდებულო წესი განისაზღვრა. თავად ეს ცვლილება კი, საგადასახადო კოდექსის 192-ე პრიმა მუხლს ეფუძნება, რომლითაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია, განსაზღვროს სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის ნუსხა და მარკირების პირობები.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით სავალდებულო მარკირებას ექვემდებარება უალკოჰოლო სასმელები, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყლები. სავალდებულო მარკირება ხორციელდება ბოთლის, ქილის ან კასრის გვერდზე, თავსახურზე, ან ტარის ძირზე. ამასთან, შერჩეული პირის მიერ, არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება განისაზღვრება: ა) არაალკოჰოლური სასმელისთვის, მინერალური და მტკნარი წყლის გარდა – 1 000 ცალ ერთეულზე, 5,5 ევროს ეკვივალენტი ლარებში და ბ) მინერალური და მტკნარი წყლისათვის – 1 000 ცალ ერთეულზე, 4,63 ევროს ეკვივალენტი ლარებში.

საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, ელექტრონულ მარკირებას ახორციელებს შვეიცარული კომპანია SICPA, რომელსაც მოქმედი რეგულაციის ამოქმედების შემთხვევაში, არაალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი, მომსახურების საფასურს გადაუხდის.

## „ყაზტრანსგაზთბილისი" გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს




კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისი" გაკოტრების რეჟიმშია და გაფიცული თანამშრომლების მოთხოვნებს, ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, ვერ დააკმაყოფილებს, — „ინტერპრესნიუსს" კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ეკა სარიამ განუცხადა.

ამასთან, მისი თქმით, გაფიცულ თანამშრომლებს კომპანიის კადრების დეპარტამენტის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ შეხვდებიან და განუმარტავენ, რომ ხელფასის მომატება, ამ ეტაპზე, გამორიცხულია.

სარიას თქმითვე, თანამშრომლების შემცირება არ იგეგმება, თუმცა თუ ვინმეს არსებულ ხელფასზე მუშაობა არ სურს, კომპანიას ერთი კვირით ადრე უნდა აცნობოს და დატოვოს სამსახური, რის შემდეგაც, ახალ თანამშრომლებს კონკურსის წესით შეარჩევენ.

**„კომპანია ისედაც გაკოტრების რეჟიმშია და ხდება ყველა თეთრის ოპტიმიზაცია. ამასთან, მარტიდან მცირდება ტარიფი და არ არის საშუალება, თანამშრომლებს ამ ეტაპზე ხელფასები გაეზარდოთ. კომპანიის კადრების დეპარტამენტი თანამშრომლებს რამდენიმე დღის წინაც შეხვდა. მათი მოთხოვნები იყო ხელფასების გაზრდა მარტიდან. თანამშრომლებს განემარტათ, რომ ნოემბერში ხელფასები გაეზარდათ და ახლა ამის საშუალება აღარ არის. ასევე, განემარტათ, რომ ისინი კომპანიას სჭირდება, მარტამდე ყველას აქვს ხელშეკრულება და ხელფასს აიღებს. მათ არავინ უშვებს სამსახურიდან, პირველ მარტამდე თვითონ უნდა ჩამოყალიბდნენ, რჩებიან თუ არა სამსახურში. თუ გადაწყვეტენ, რომ არსებულ ხელფასზე მუშაობა არ სურთ, კომპანია კონკურსის წესით სხვა თანამშრომლებს აიყვანს",** — განაცხადა ეკა სარიამ.

*„ინტერპრესნიუსი"*



ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

# კუდ-ის თანამშრომლებმა ბიზნესმენს ტომარა ჩამოაცვეს და ბლაგვი საგნით სცემეს



## ვინ არის კობა ჯანაშია და რატომ დაუპირისპირდა ის სააკაშვილის მამის ბიზნესპარტნიორ ვასილ წერეთელს

**უფლებაშელახული, ნაცემი და გალახული ბიზნესმენი, უკვე წარსულსჩაბარებული „ნაციონალური ხელისუფლების“ პირობებში არავის უკვირს. არც ის გააკვირვებს ვინმეს, რომ „ნაციონალების“ დროს, სასამართლოს ძალითაც კი, სამართლის პოვნა ჭირდა. როგორც ირკვევა, ამ მხრივ, ქვეყანაში დღემდე არაფერი შეცვლილა და ახალი ხელისუფლების პირობებშიც ჭირს საკუთარი უფლებების დაცვა. საქმე მხოლოდ სასამართლოს როდი ეხება. თურმე, კბილაშვილის პროკურატურასა და წულუკიანის იუსტიციის სამინისტროში, სამართლის პოვნა კი არა, ხმის მიწვდენაც კი შეუძლებელია. ასე რომ არ იყოს, ბიზნესმენ კობა ჯანაშიას ადვოკატი ლავრენტი სუხიშვილი, არ ეცდებოდა ხსენებული მაღალჩინოსნები „საქმის კურსში“ „ვერსიის“ საშუალებით ჩაეყენებინა.**
**გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მიზანმიმართულად დაშვებული ხარვეზები, გამოძიების ცალმხრივობა, მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება, გულგრილობა, საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების სრულად იგნორირება... — ჯანაშია-სუხიშვილის ამ ბრალდებების მიზეზიცა და მიზანიც ერთია — სამართლებრივი დავა, არც მეტი, არც ნაკლები, სააკაშვილის მამის ბიზნესპარტნიორთან.**

### მტკიცებულება — აუდიოჩანაწერი

**უცნობი:** მე ვარ სახელმწიფოს წარმომადგენელი. შს სამინისტროს. დედას მოგიტყ--იცოდე. ერთი მოთხოვნა კიდე და... გამოძალვაზე ხარ, ბიჭო? მასალები მაქ შენზე შე კარგ მოტყ... მადლობა თქვი, რო ჩასმული არ ხარ უკვე. ყლ... ესენი. ჩამოეთრევიან, „ბლინ“, აქ. ვის ბიზნესს იტაცებ, შენ, ბიჭო და რა გინდა, ვაბშე? ფულები გინდა წაართვა ვიღაცას, შე ახვარო?

**კობა ჯანშია:** ვინ თხოვდა ფულს?

**უცნობი:** ვინ თხოვდა? მოგასმენინო შენი ჩანაწერები შე ყ... ხეხვა გინდა ბიჭო?

**კობა ჯანშია:** რატომ მეჩხუბებით. რა ტონით მელაპარაკებით?

**უცნობი:** კი არ გეჩხუბები, გეუბნები, ბიჭო. მოდიხარ აქ და ვიღაცას ატერორებ. შე დე ფაქტო. დე ფაქტო მოგიტყ...კარგის ტრ... გაიგე? დე იურე კიდე, სროკზე წახვალ, გამიგე, ბიჭო? დე ფაქტო დაგენძრევა და დეიურე სროკზე წახვალ. დედას შევ... რამდენი ყ.. ჩამოეთრევა, იმდენს უნდა აუწყო ქვეყანა „ბლიად“? გამოძალვაზე ხარ, ბიჭო?

**კობა ჯანაშია:** არავითარი გამოძალვა!

**უცნობი:** ქუჩურად რო მინდოდეს, თავს გაგიხეთქავ. აქ კანონს წარმოვადგენ და გეუბნები, მოიქეცი კანონიერად. მასალები მაქვს შენზე.

**კობა ჯანაშია:** კი, ბატონო, მასალები თუ გაქვს, სუდში შევხვდებით.

**უცნობი:** სუდში კი არა, სროკზე წახვალ. სუდამდეც ვერ მიხვალ!

...

**უცნობი:** დასაჩაგრად ჩამოხვედი მოსკოვიდან? მიგასხმევინებ ახლა ტვინს. რასაც გაძლევს, იმას მიიღებ.

...

**კობა ჯანაშია:** რატო დამარტყით, ვერ გავიგე.

**უცნობი:** იმიტომ, რომ ფულის გამოძალვაზე ხარ მოსული.

**უცნობი:** ციხეში ჩაგსვამ, ბიჭო. 1 ლარზეც რომ ამოიღებ ხმას, ციხეში დაგალპობ. ჭკუაზე მოდი, პატარა და სადა ხარ, გაიგე.

**კობა ჯანაშია:** მე ჩემ სამშობლოში ვარ.

...

**კობა ჯანაშია:** რატომ დამარტყით, პროკურატურაში წავალ!

**უცნობი:** სადაც გინდა, იქ წადი.

**კობა ჯანაშია:** თქვენი გვარი.

**უცნობი:** ბესო ვარ, ცერცვაძე. შსს თანამშრომელი. შენი საქმე მე მაქ. კანონს გადაუხვევ და...

**კობა ჯანაშია:** კანონს არ გადავუხვევ, არავითარ შემთხვევაში. გამორიცხულია.

...

**უცნობი:** მე გეუბნები, ბიჭო. სამმართველოს უფროსი ვარ. პატარა კაცი კი არ ვარ.

**უცნობი:** მეც პოლიციელი ვარ, ბიჭო და მომიყვანეს, აქანა ფულს ძალავსო.

**კობა ჯანაშია:** არ ვძალავ. ჩემ ცხოვრებაში არ გამომიძალია. ნახე, ჩემი დოსიე.

**უცნობი:** მაშინ ფული აიღე, გამოძალვაზე ხარ? კანონით შენ უნდა იჯდე ახლა.

**კობა ჯანაშია:** კანონით, ხელი არ უნდა დამარტყა. ჩვენ სუდში წავალთ.

**უცნობი:** სადაც გინდა, იქ წადით. აქ მეტი შეხვედრა აღარ იქნება. რასაც გაძლევენ, აიღე და ხმა არ ამოიღო.

ეს მცირე ამონარიდია იმ თითქმის საათიანი აუდიოჩანაწერიდან, რომელიც ბიზნესმენმა კობა ჯანაშიამ, ავადსახსენებელი „საქმიანი“ შეხვედრის დროს გააკეთა. დისკი ჯანაშიას საქმის მასალებს თან ერთვის და გამოძიების მიერ მტკიცებულებადაა ცნობილი. სწორედ ამ ჩანაწერის დამსახურებაა, „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, ჯანაშიას საქმე ისე რომ ვერ ჩაფარცხა, როგორც რიგ შემთხვევებში ხდებოდა და იძულებული გახდა, გამოძიება დაეწყო. ისიც ამ ჩანაწერის დამსახურებაა, 1 ოქტომბრის არჩევნების მერე, კუდ-ის იმ ორი თანამშრომლის დაპატიმრებაც რომ მოუწიათ, რომლებიც ჩანაწერში ფიგურირებენ.

კობა ჯანაშია ერთ-ერთი ის ბიზნესმენია, ვინც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის „პატრიოტული გამოწვევა“ მიიღო, სამშობლოში დაბრუნდა და ბიზნესის აქ წარმოება გადაწყვიტა, თუმცა საქართველოში, მას ერთი, პირადი საქმეც ჰქონდა მოსაგვარებელი.

საქმე ის გახლავთ, რომ კობა ჯანაშიას დეიდას, ვალენტინა ხვიჩიასთან ერთად, თანასაკუთრებაში ჰქონდა, ხარფუხში, გრიშაშვილის 46-ში, 103 კვმ საცხოვრებელი ფართი, ნაკვეთით. 2007 წელს, სახლი მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან ერთად, 1 500 000 აშშ დოლარად შეიძინა „მშენებელი 2004“-ის დირექტორმა ვასილ (მიშა) წერეთელმა. საწყის ეტაპზე, ხვიჩიას გადაუხადეს 35 ათასი დოლარი, სხვა სახლის დასაქირავებლად. დანარჩენი თანხა ბიზნესმენს მოგვიანებით უნდა გადაეხადა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, წერეთელმა პირობები შეცვალა და ხვიჩიას, თანხის ნაცვლად, 130 კვმ ფართობი შესთავაზა მრავალსართულიან პრესტიჟულ სახლში, რომელიც იმავე ადგილას უნდა აშენებულიყო. სწორედ ამ პერიოდში დაბრუნდა სამშობლოში კობა ჯანაშია და, ცხადია, წერეთელს მოსთხოვა, სახლისა და ნაკვეთის საბაზრო ღირებულების ეკვივალენტი თანხა გადამიხადე ან 35 ათასს მოგცემ და ქონება დამიბრუნეო. წერეთელმა მოთხოვნა იუკადრისა და ეცადა, ჯანაშია გზიდან ჩამოეშორებინა.

### „საქმიანი გარჩევა“ და ბიზნესმენის ცემა კუდ-ის თანამშრომლების მიერ

რამდენიმე უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ, ვასილ წერეთელმა კობა ჯანაშია ვაშლიჯვარში, ოფისში დაიბარა. ჯანაშია დანიშნულების ადგილას ბიძასთან, დემურ ხვიჩიასთან ერთად მივიდა. შეხვედრა 2008 წლის 28 იანვარს, საღამოს 9 საათზე შედგა. ჯანაშია-ხვიჩიას იქ რამდენიმე უცნობი პირი დახვდა. კობა ჯანაშია სათანადოდ ალიჭურვა — მოსკოვში შეხვედრებისას აპრობირებული მეთოდი გამოიყენა, ჩართული დიქტოფონი ჩაიდო ქურთუკში და მოლაპარაკებაზე ისე შევიდა. მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, ინვესტორს აღარ ვენდობი, შესაბამისი თანხა მომეცით ან ქონება უკან დამიბრუნეთო, საუბარში ორი უცნობი ჩაერთო. ჯერ ეცადნენ, შეეშინებინათ. უთხრეს, შენზე კომპრომატები გვაქვს, აქ ფულის გამოძალვის მიზნით მოხვედი და დაგაპატიმრებთო. როცა ვერ შეაშინეს, გაიყვანეს გვერდით ოთახში, ჩამოაცვეს თავზე ტომარა და ბლაგვი საგნით სცემეს. **„ყველაფერს დავარქვათ სახელი. სლენგისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ ეს ადამიანები ისე მოიქცნენ, როგორც „პეზპრედელები“. საშინელი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. იმ ორი პიროვნებიდან, ვინც სცემდა, ერთმა თავისი ვინაობა დაასახელა, შს სამმართველოს უფროსი, ბესო ცერცვაძე ვარ, გაგანადგურებ, მოგსპობო, უთხრა. მეორეს, აშკარად იმერული კილო ჰქონდა, რომელმაც ასევე სამმართველოს უფროსად გაასაღა თავი. მათ ჯანაშია გაიგდეს ფეხქვეშ, წიხლებს, ხელებს ურტყამდნენ თავის არეში. რატომ მკლავთ, მოვიფიქრებო — ეს იყო ფრაზა, რომლის დამსახურებითაც იმ დღეს ჯანაშია შინ გამოუშვეს. მანამდე, ნახევარსაათზე მეტხანს მიდიოდა მასზე ზეწოლა“,** — აცხადებს კობა ჯანაშიას ადვოკატი ლავრენტი სუხიშვილი და იმასაც დეტალურად გვიმხელს, როგორ განვითარდა მოვლენები ბიზნესმენის ცემის შემდგომ.

მოფიქრებისთვის დროის აღების შემდეგ, გამოუშვეს. შეურაცხყოფილმა ბიზნესმენმა გადაწყვიტა, „ურჩ ინვესტორს“, სამართლებრივად შებრძოლებოდა. წერეთლის ოფისიდან გამოსულმა შენიშნა, რომ სამი მანქანა გაყვა უკან, ამიტომ შინ მივიდა და გამოიძახა პატრული. ჯანაშიამ 3-კაციან საპატრულო ეკიპაჟს დაწვრილებით უამბო მომხდარი. იგი, ბიძამისთან ერთად, განყოფილებაში წაიყვანეს. ჩვენების მიცემის პროცესში გამომძიებელი გავიდა ოთახიდან და გარკვეული პერიოდის შემდეგ განყოფილების უფროს, ვინმე კანკავასთან ერთად დაბრუნდა, რომელმაც ბიზნესმენს შეურაცხყოფა მიაყენა და რაც კუდ-ის თანამშრომლებმა დააკლეს, დაუმატა. ლავრენტი სუხიშვილის თქმით, მოგვიანებით გაირკვა, რომ კანკავა შსს-ში გიორგი ღვინიაშვილის მიყვანილი იყო და წლების განმავლობაში მფარველობდა.

მეორე დღეს ჯანაშიამ დავით აღმაშენებლის გამზირზე, საადვოკატო ბიუროში ადვოკატის მომსახურება მოითხოვა. დახმარება ერთ-ერთმა ვექილმა აღუთქვა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში ექსპერტიზის ჩასატარებლად გაყვა. კობა ჯანაშიამ გადაიხადა პროცედურისთვის გათვალისწინებული თანხა, მაგრამ ექსპერტიზა არ ჩაუტარეს. უთხრეს, დაგიკავშირდებითო. სუხიშვილის განმარტებით, ჯანაშიას პირველი ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოიქცა, რადგან არ გაითვალისწინა, რომ სამედიცინო ექსპერტიზა მაქსიმალურად სწრაფად უნდა ჩატარებულიყო, რადგან დაზიანების კვალი, დროის გასვლის შემდეგ, ფერმკრთალდება და ქრება. საბოლოოდ, ჯანაშიას ამ საკითხზე არავინ დაკავშირებია. შესაბამისად, საქმის მასალებში, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა არ დევს, რასაც პერიოდულად, მავანი სათავისოდ კარგად იყენებდა, მაგრამ ჩანაწერს, რომელიც სასამართლოს დაზარალებულმა წარუდგინა, სამართალდამცავები ვერსად გაექცეოდნენ და ვერც გაექცნენ.

### თაროზე შემოდებული საქმე

2008 წლის 28 იანვარს მომხდარ ფაქტზე, გამოძიება სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში 2009 წლის 22 იანვარს დაიწყო ორი მუხლით: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით — თაღლითობა, რადგან ვასილ წერეთლის მიერ მოტყუებით მოხდა ქონების მიტაცება და სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებების გადამეტებას ითვალისწინებს. ზუსტად 2 დღეში, მთავარი პროკურორის მოადგილე, ვინმე როინიშვილმა, მოტივირებული დადგენილებით, სისხლის სამართლის საქმე, შემდგომი გამოძიებისთვის გადაგზავნა შსს-ს გენერალურ ინსპექციაში. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან საქმეში ამავე სამინისტროს თანამშრომლები ფიგურირებდნენ. **„თავად ფაქტი, საქმის ქვემდებარეობით გადაცემაზე, ღაღადებს, რომ მათთვის ცნობილი გახდა — დანაშაულის ჩამდენი პირები, მაღალი ალბათობით და დაზუსტებითაც, შსს-ს თანამშრომლები იყვნენ“,** — ამბობს ჯანაშიას ადვოკატი, რომელიც აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში 2009 წლის ოქტომბერში ჩაერთო. იმ დროს, საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელი იყო, რაც სუხიშვილის განმარტებით, ეჭვს ბადებდა — **„უცნაურია, გამოძიება დაიწყო, გადაიგზავნა გენინსპექციაში და... გაჩერდა!“,** — აცხადებს სუხიშვილი და „ვერსიას“ მის ხელთ არსებულ დოკუმენტებსაც უჩვენებს.

დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ საქმეში ჩართვისთანავე, სუხიშვილმა ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა გაგზავნა, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომძიებელ დიმიტრი ამირხანაშვილის სახელზე, ვის წარმოებაშიც იყო საქმე და მოითხოვა, საქმის წარმოების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მიეწოდებინათ მისთვის. მათ შორის ისიც, რა მუხლებით მიმდინარეობდა გამოძიება და რატომ იყო საქმე ამდენი ხნის განმავლობაში გაუხსნელი. ამირხანაშვილისგან, სუხიშვილმა, როგორც თავად ამბობს, „გაცვეთილი და მაღალფარდოვანი“ პასუხი მიიღო — „მიმდინარეობს ოპერატიული, სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები, ბრალეული პირების დადგენის მიზნით“.

2010 წლის 18 ნოემბერს, სუხიშვილმა საქართველოს მთავარი პროკურატურის შსს გენინსპექციის კრიმინალური პოლიციის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ, შ. ზაალიშვილს მისწერა საჩივარი, სადაც წერს: მას შემდეგ, რაც საქმეში მონაწილე პირის, ვასილ წერეთლის დეტალურად დაკითხვა

## თბილისის მერია მუნიციპალური განვითარების ფონდს მიმართავს



თბილისის მერია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მოუწოდებს, მარშალ გელოვანის ქუჩისა და სამტრედიის ქუჩის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდის პროექტს კიდევ ერთხელ გადახედოს.

**„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისში, მარშალ გელოვანის ქუჩისა და სამტრედიის ქუჩის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდი აღარ აშენდება. აღნიშნულ პროექტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა. პროექტის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურები და უცხოელი კონსულტანტები. ფონდის მიერ დღეს გავრცელებულ ინფორმაციაში ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა, რომ ხიდის აშენებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული საცობების მასშტაბები უფრო გაიზრდება, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. დღეს არსებული მდგომარეობით, ვეფხისა და მოყმის ძეგლთან მუდმივად არსებობს საცობები. ხიდის აშენების შემდეგ, კი მოძრაობა ორ დონეზე შუქნიშნის გარეშე განხორციელდებოდა, რაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების უწყვეტად გადაადგილებას უზრუნველყოფდა, ასევე განიტვირთებოდა მოძრაობა წერეთლის გამზირსა და ქუთაისის ქუჩაზე. თბილისის მერია სურვილს გამოთქვამს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კიდევ ერთხელ გადახედოს აღნიშნულ პროექტს და თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან ერთად, განიხილონ ხიდის საჭიროებისა და მშენებლობის საკითხი“,** — ნათქვამია განცხადებაში.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ეკონომიკურად გაუმართლებელ პროექტებს აჩერებს და აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა მიმდინარე წელს განსახორციელებელ რამდენიმე მასშტაბურ პროექტს, რომლებიც 2012 წელს დაიგეგმა, მათი მიზანშეუწონლობის გამო, აღარ განახორციელებს. როგორც „პირველს“ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აცნობეს, შესაბამისი კვლევების ჩატარების საფუძველზე, დადგინდა, რომ თბილისში, მარშალ გელოვანისა და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ე.წ. დაკიდული ხიდი (პროექტი საერთო ბიუჯეტით - 80 მლნ ლარი) აღარ აიგება. ასევე ფონდის მიერ 2013 წლისთვის დაგეგმილი პროექტების სიიდან ამოღებულია ბათუმის 2 კმ-იანი სანაპირო ზოლის ე.წ. ოქროს ქვიშით მომარაგებაც. მიმდინარე წელს ფონდი გამოაცხადებს ტენდერს ბათუმის სანაპირო ზოლის გამაგრებაზე, რომლის განხორციელებაც, სავარაუდოდ, 20 მილიონ ლარს არ აღემატება.

***„პირველი“***

## თავდაცვის სამინისტრო ძვირადღირებულ მანქანებს ჰყიდის



საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების დათვალიერების საშუალება მათი შეძენის მსურველებს ექნებათ. კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, დაინტერესებულ პირებს ავტომანქანების დათვალიერება 15:00-დან 17:00 საათამდე თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე შეეძლებათ.

სამინისტრო უწყების ბალანსზე მყოფი ძვირადღირებული მანქანების ჩანაცვლებას ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გეგმავს, რომელსაც ორ ნაწილად ახორციელებს.

ამავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ავტომანქანების საერთო ღირებულება I ნაწილში შეადგენს 1 237 500 ლარს. ამავე ნაწილში მაღალი გამავლობის (ჯიპის ტიპის) 21 მანქანა შედის, მათ შორის — 2011-2012 წლებში გამოშვებული LEXUS RX350, TOYOTA HIGHLANDER, WOLKSVAGEN TUEREG; II ნაწილში კი — 721 000 ლარის ღირებულების სედანის ტიპის 7 მანქანა, მათ შორის MERCEDES BENZ VIANO, CADILAK ESCALADE და სხვა მარკის ავტომობილები.

განცხადების მიხედვით, დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემოთავაზებული ავტომანქანების რაოდენობის შესახებ, თითოეულ ნაწილში შემდეგი ხვედრითი წილის შესაბამისად — სედანის ტიპის მსუბუქი ავტომანქანები საერთო რაოდენობის 80%-ს, ხოლო მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანები საერთო რაოდენობის 20%-ს უნდა შეადგენდეს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჩანაცვლების პროცედურის შედეგად თითოეულ ნაწილზე მიღებული წინადადებების განხილვა-შეფასებისას, პრიორიტეტი შემოთავაზებული ავტომანქანების რაოდენობას მიენიჭება.

კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განცხადება 13 თებერვალს გამოქვეყნდა.

***„ინტერპრესნიუსი“***

## ექსკლუზივი

მოვითხოვეთ, ეს უკანასკნელი გააქტიურდა, ჯანაშიას საქმის შეწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ კუდ-ის წარმომადგენლების ჩარევითა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრა. ამას ისიც დაემატა, რომ მარტვილის რაიონში, ჯანაშიას დედას სპეცრაზმის რამდენიმე წარმომადგენელი მიუვარდა და დაემუქრა, შენი შვილი ამ საქმეს შეეშვას, თორემ, კარგ დღეს არ დავაყრითო. სხვათა შორის, ეს ფაქტიც დღემდე გამოუძიებელია, დღემდე ამ პირებისა და დამკვეთების გამოაშკარავებითაც არავინ დაინტერესებულა. ამ ფაქტების გათვალისწინებით, სუხიშვილმა ზაალიშვილსა და შესაბამის ორგანოებს მოსთხოვა, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის უსაფრთხოების რაიმე ღონისძიება გაეტარებინათ, მაგალითად, დაცვა დაეყენებინათ. სუხიშვილის ეს წერილი ისევე დარჩა „ხმად მღაღადებლისა“, როგორც წლების განმავლობაში დაწერილი ბევრი სხვა საჩივარი თუ განცხადება, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელის, მთავარი პროკურორის, იუსტიციის მინისტრის... სახელზე.

### ვინ არის ვასილ წერეთელი და რატომ არ აწყობდათ საქმის გამოძიება

ბავშვიც კი მიხვდება, ვასილ, იგივე მიშა წერეთელს, ზურგს ვინმე რომ არ უმაგრებდეს, ვერც ბიზნესმენის დაშანტაჟებას გაბედავდა და ვერც მისთვის კუდ-ის თანამშრომლების „მიქსევას“, და თუ გაბედავდა, მალევე მოსთხოვდნენ პასუხს იმაზე, რა უნდოდათ მის ოფისში დაგეგმილ „საქმიან“ შეხვედრაზე კუდ-ის თანამშრომლებს, რატომ ერეოდნენ ისინი ბიზნესში და რატომ აძლევდნენ თავს უფლებას, ფიზიკურად გასწორებოდნენ საქართველოს მოქალაქეს. იმან, რომ გამოძიება ჯერ ძალიან გვიან, თითქმის ერთწლიანი ინტერვალის შემდეგ დაიწყო და შემდეგ, გაიყინა, დაზარალებულ ჯანაშიასა და მის ადვოკატს ბევრი კითხვა გაუჩინა. მათზე პასუხებს კი, მოგვიანებით მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მიაგნეს — სუხიშვილის თქმით, საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც ირკვევა, ბიზნესმენი ვასილ წერეთელი, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მამასთან, ნიკოლოზ სააკაშვილთან დაახლოებული პირი და მეტიც, მისი ბიზნესპარტნიორია. ისინი ერთად გეგმავდნენ პროექტს, რომლის ფარგლებშიც, გრანდიოზული მშენებლობები და გამწვანების სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო ბალნეოლოგიურიდან მოყოლებული, მთელი ორთაჭალის ჩათვლით. ამ გეგმის განსახორციელებლად, სააკაშვილსა და წერეთელს მიწები ჰქონდათ აღებული, ჯანაშიას ნაკვეთი ამ პროექტის გულში, როგორც სუხიშვილი ამბობს, ბეჭედივით იყო ჩასმული.

ჯანაშიასთან ვერშეთანხმების შემდეგ, სუხიშვილის საფუძვლიანი ვარაუდით, ამ ჯიუტი ბიზნესმენის ნებისმიერი ხერხით მოსაშორებლად, წერეთელს „მწვანე შუქი“ „ზემოდან“ აუნთეს. ამ ფონზე, აღარაა გასაკვირი, რომ მან საქმეში კუდ-ის თანამშრომლები ასე თამამად ჩართო. არც ისაა გასაკვირი, ამ უკანასკნელთ ასეთი დიდი გული რომ აქვთ და ბიზნესმენს განადგურებით, უკეთეს შემთხვევაში, ციხეში ჩალპობით რომ ემუქრებიან. სუხიშვილის ვარაუდით, ეს საქმე კარგად უნდა სცოდნოდა ბაჩო ახალაიასაც, რომელიც იმხანად, ჯერ სასჯელაღსრულებაში იყო, შემდეგ თავდაცვის სამინისტროში, მოგვიანებით კი, შსს-ში. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სააკაშვილის მამის ბიზნესპარტნიორ წერეთელს გვერდით დაუდგებოდნენ პროკურორიც, გამომძიებელიც, იუსტიციის მაშინდელი მინისტრი ზურაბ ადეიშვილიც და იმხანად მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავაც. წერეთლის „მკრიშავთა“ ამ ჩამონათვალის შემდეგ, აღარავის გაუკვირდება, წლების განმავლობაში საქმე თაროზე რომ იყო შემოდებული და ვერა და ვერ გაიხსნა. ალბათ, უფრო მეტად, სტატიის დასაწყისში ხსენებული ჩანაწერის დამსახურებაა ის, რომ ხელისუფლებაში ახალი ძალის მოსვლის შემდეგ, საქმე თითქოს დაიძრა კიდეც, მაგრამ...

### „პროკურატურა ისევ ადეიშვილისდროინდელ უკანონობის ჭაობში იძირება!“

1 ოქტომბრის არჩევნებმა და ხელისუფლების ცვლამ, კობა ჯანაშიას, ბევრი სხვა ბიზნესმენის მსგავსად, გაუჩინა იმედი, რომ სამართალს იპოვიდა. **„იმედი ჩამესახა. არ დაგიმალავთ, მეც ვმონაწილეობდი იმაში, რომ შეცვლილიყო რაღაც და ამ ჭაობში არ ჩავძირულიყავით. არჩევნების შემდეგ, 19 ნოემბერს, დასაბუთებული საჩივრით მივმართე იუსტიციის მინისტრ წულუკიანს. ვიფიქრე, ცოტა ყურს შეიბერტყავენ-მეთქი და საჩივრის მიწერის შესახებ ვაცნობე გამომძიებელსაც. აი, მაშინ კი, მოხდა სასწაული — ჩვენგან ფარულად, დააპატიმრეს და ბრალი წაუყენეს კუდ-ის იმ თანამშრომლებს, რომლებმაც ჯანაშია სცემეს“,** — აცხადებს ლავრენტი სუხიშვილი.

მოხდა კუდ-ის თანამშრომლების იდენტიფიცირება. ესენი აღმოჩნდნენ: ბესიკ ცეცხლაძე (და არა ცერცვაძე, როგორც აუდიოჩანაწერში ისმის. — ნ. ლ), პოლიციის მაიორი, რომელიც 2007 წლის 10 აპრილიდან 2009 წლის 1 მარტამდე მუშაობდა საქართველოს შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის, კახეთის რეგიონული სამმართველოს მე-4 განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და სოლომონ ლომაძე — ლეიტენანტი, 2007 წლის 18 აპრილიდან 2009 წლის 21 თებერვლამდე მუშაობდა კუდ-ის მესამე მთავარი სამმართველოს ოფიცრად, უშიშროების საკითხებში, განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

აღნიშნული პირები დააკავეს 2012 წლის 5 დეკემბერს. როგორც დოკუმენტებში წერია, მათ ჩაიდინეს, „მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფო კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შელახვით“. ეს დანაშაული, კანონით, 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ბრალდებულების ადვოკატებმა აღმკვეთი ღონისძიების სახით, გირაოს გამოყენება მოითხოვეს, 10-10 ათასი ლარის ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი თავს დამნაშავედ გრძნობდნენ და ჰყავდათ ავადმყოფი დედები და მცირეწლოვანი შვილები. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ბრალდებულებს პატიმრობა შეუფარდა. 2013 წლის 25 იანვარს კი, წინასასამართლო სხდომა ჩაინიშნა.

სუხიშვილმა, ბრალის წაყენების შესახებ მოგვიანებით შეიტყო და, ცხადია, პროტესტის გრძნობა გაუჩნდა, რადგან ჯანაშიასა და მის ადვოკატს, არც კი შეატყობინეს ამის შესახებ, მაგრამ იფიქრა, მაინც სწორ გზაზე დამდგარა გამოძიება, ეს ორი მოქმედი პირი დადგენილია, ბრალიც წაუყენეს და იქნებ სამართლიანობა აღდგესო.

2012 წლის 29 დეკემბერს, შაბათ დღეს, ჯანაშია-სუხიშვილი პროკურატურაში დაიბარეს, სადაც შაქრო ზაალიშვილმა ამცნო, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას აპირებდნენ — „ხომ ვერ დავხვრეტთ, თითოეული იხდის, 15 ათას ლარს. მეტის შესაძლებლობა არც ერთს აქვს“. **„15 ლარის გადამხდელები არ იყვნენ, ალბათ, ეს თანხა ვასილ წერეთელმა გადაიხადა. ფაქტობრივად, მან 30 ათას ლარად თავისი თავისუფლება იყიდა და საქმე აქ შეწყდა. ამათ ის გააკეთეს, რაც ადეიშვილმაც კი ვერ გაბედა — მას საქმე თაროზე ჰქონდა შემოდებული და ვერ შეწყვიტა. ამათ კი, მზაკვრობა ჩაიდინეს, წერეთელი საერთოდ მიჩქმალეს. გაწირეს მხოლოდ ის ორი პიროვნება. სამწუხაროდ, დღევანდელი პროკურატურა ისევ ადეიშვილისდროინდელ უკანონობის ჭაობში იძირება“,** — აცხადებს სუხიშვილი.

31 დეკემბერს, სუხიშვილმა საჩივარი დაწერა იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილისა და ზაქრო დარჩიაშვილის სახელზე. სუხიშვილის მთავარი მოთხოვნა იყო — **„შეაჩერეთ ზაალიშვილის მიერ საპროცესოს გაფორმების მცდელობა. 2 წელი პირობითი და 15 ათასი გირაო, დაზარალებულისა და საზოგადოების დაცინვაა. ვაპროტესტებთ, საპროცესოს გაფორმებას. რატომ მოხდა ჩუმად და საიდუმლოდ მათი პირველი წარდგენა სასამართლოში, რატომ დაარღვია პროკურორმა სსსკ-ს 58-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, შეგნებულად არ შეატყობინა აღნიშნულის შესახებ დაზარალებულს და საერთოდ, რატომ ხდება ასე სასწრაფოდ საეჭვო საპროცესო გარიგება ბრალდებულებთან მაშინ, როცა გამოძიება ერთი ნაბიჯითაც კი არ წასულა წინ? როცა დაზარალებულმა ზაალიშვილს უთხრა, რატომ ცნობთ წერეთელს უდანაშაულოდ, რატომ არ გამოიძიეთ, დედაჩემს ვინ დაესხა თავსო, ასეთი პასუხი მიიღო, თუ არ გაჩერდები, საქმე უკან მოგიტრიალდებაო. ამით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მისი პირადი დამოკიდებულება ამ საქმისადმი, ამიტომ გთხოვთ, აცილება მიეცით ზაალიშვილს საქმეზე“.**

გაინტერესებთ, რა რეაგირება მოჰყვა სუხიშვილის საჩივრებს? მოგვიანებით, მან გაარკვია, რომ თეა წულუკიანის სახელზე დაწერილი საჩივარი ადრესატს ნანახიც არ ჰქონდა. პროკურორისა და დარჩიაშვილის სახელზე დაწერილი საჩივარი კი, რატომღაც, ზაალიშვილს დაეწერა. 31 დეკემბერსვე, სასწრაფო წესით, სისხლის სამართლის საქმე დაეწერა სასამართლოს თავმჯდომარეს, მან დააწერა მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილს. **„ეს შერჩევითი მოსამართლეა, ვაჟა ფუხაშვილი პროკურატურის დანამატია. ასეთი მოსამართლეები სპეციალურად ჰყავთ, რომ „გააპრავონ“ ყველაფერი, რაც მოესურვებათ. 31-შივე „დააგვირგვინეს“ საქმე. მოკლედ, პროკურატურაში რა უკანონობასაც სჩადიოდნენ, იგივეს აგრძელებენ. გაგეცინებათ, რომ გაიგოთ, რა ხალხია დანიშნული დეპარტამენტების უფროსებად“,** — აცხადებს სუხიშვილი და იმასაც გვიმხელს, რომ არც ახალი ხელისუფლებიდან ათხოვა მას ყური ვინმემ — 2012 წლის 31 დეკემბერს, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა, ბრალდებულებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა. როგორც განჩინებაში წერია, მხედველობაში მიიღეს ის გარემოება, რომ მათ თავი დამნაშავედ სცნეს. ასევე, „გათვალისწინებულ იქნა მათი პიროვნება, ჩადენილი ქმედების ხასიათი და საჯარო ინტერესი — მაქსიმალური ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული სახელმწიფო რესურსი და დაიზოგოს საქმის წარმოების ხარჯები“ (?!). „ხარჯების დაზოგვის მიზნით“, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და ბრალდებულებს, 15-15 ათასი გადაახდევინეს, ჯარიმის სახით.

2012 წლის 31 დეკემბერს შეტანილი საჩივრების შესახებ პასუხი კი, სუხიშვილმა 2013 წლის 31 იანვარს მიიღო პროკურორ თორნიკე არეშიძის ხელმოწერით: **„თქვენი ორი საჩივარი განვიხილეთ და მასში მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით, შემოწმებულ იქნა სს საქმის მასალები. ირკვევა, რომ საქმეზე ბრალდებულებთან დადებულია საპროცესო შეთანხმება, რომელიც დამტკიცებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2012 წლის 31 დეკემბერს. სს-ს გამოძიებისა და ბრალდებულებთან საპროცესოს დამტკიცების დროს, საქართველოს სს კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია“.**

### სად გაქრა სსკ-ს 180-ე მუხლი?

ბრალდებულ ცეცხლაძისა და ლომაძის კანონის ფარგლებში დასჯა, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფილი და უფლებაშელახული ჯანაშიას ინტერესებში შედის, თუმცა, მთელ ამ ისტორიაში, მთავარი, კუდ-ის ამ ორი თანამშრომლის „დამქირავებელი“, ბიზნესმენი ვასილ წერეთელია. ის წერეთელი, რომელიც საქმეში უკვე აღარ ფიგურირებს. „ხელახალი“ გამოძიების დროს, საქმის მასალებიდან, მხოლოდ წერეთლის გვარი კი არა, ის მუხლიც „აორთქლდა“, რომლითაც თავის დროზე, გამოძიება დაიწყო. 180-ე მუხლს ვგულისხმობ, რომელიც თაღლითობას ეხება. თუ გამოძიებამ ეს მუხლი უკან წაიღო, ეს უნდა მომხდარიყო რაიმე მოტივაციით და ამის შესახებ დაზარალებულისთვისაც უნდა ეცნობებინათ. ჯანაშიამ და მისმა ადვოკატმა კი დღემდე ვერ გაარკვიეს, 180-ე მუხლი როგორ ან სად გაქრა საქმიდან. ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჯანაშიას ჯერ გამოძიებადაწყებული, შემდეგ თაროზე შემოდებული და ბოლოს, არასწორად წარმოებული საქმე მხოლოდ იმიტომ გაიხსნა, ნიკოლოზ სააკაშვილის პარტნიორი წერეთელი საქმიდან „სუფთად“ გამოსულიყო.

საქმე გახსნილია, ბიზნესმენი ჯანაშია კი — კვლავ შეურაცხყოფილი. პასუხი არაფერზე აგო ამ ყველაფრის ორგანიზატორმა ვასილ წერეთელმა. არც იმაზე, ბიზნესმენს საკუთარ ოფისში კუდ-ის თანამშრომლები რომ დაახვედრა და აცემინა, არც იმაზე, წლების განმავლობაში რომ ემუქრებოდა, არც იმაზე, დიდი ალბათობით, მისი დავალებით, ჯანაშიას მოხუც დედას რომ დაემუქრნენ და არც იმაზე, გრიშაშვილის №46-ში მდებარე ნაკვეთი და სახლი (რომელიც უკვე დანგრეულია), თაღლითურად, 35 ათას ლარად რომ მიისაკუთრა.

კანონით, გაფორმებული საპროცესო შეთანხმება არ საჩივრდება. ჯანაშიას ყველანაირად უკრავენ ხელ-ფეხს, რომ ამ საქმეში მტყუან-მართალი იურიდიულად ვერ გაარკვიოს — ლავრენტი სუხიშვილს, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საქმის მასალებსაც კი არ აცნობენ, მხარეს არ წარმოადგენთო. ამის მიუხედავად, ჯანაშია-სუხიშვილი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ. მათ გეგმაში აქვთ, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავონ და მიღებული მორალური და მატერიალური ზიანის გამო, სასამართლოში სარჩელი შეიტანონ იმედით, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც იპოვიან სამართალს.

# ქოჩების ტბის რეაბილიტაციის მრავალმილიონიანი პროექტი — „ნაცმოძრაობის“ ბლეფი!

ილია მარტყოფლიშვილი, „ვერსიისთვის“ კახეთიდან



**დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოში მდებარე ე.წ. ქოჩების ტბის რეაბილიტაციის მრავალმილიონიანი პროექტი ბლეფი აღმოჩნდა. ხსენებული ადგილის განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებით მოწყობის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა არჩევნებამდე ორი თვით ადრე გააჟღერეს. საარჩევნო კამპანიის დროს, ამ ფაქტს აქტიურად იყენებდა ნაციონალური მოძრაობის მიერ დედოფლისწყაროში დასახელებული მაჟორიტარობის კანდიდატი ზაზა კედელაშვილი. მიუხედავად ტბასთან გამართული მასშტაბური პრეზენტაციისა, რომელსაც პრეზიდენტიც ესწრებოდა, ირკვევა, რომ რეაბილიტაციის პროექტი საერთოდ არ არსებობს და მისი გახმაურება მხოლოდ წინასაარჩევნო პიარსა და ამომრჩევლის მოხიბვლას ემსახურებოდა. არჩევნებამდე ორი დღით ადრე, 28 სექტემბერს, სოფელ სამრეკლოში გამართულ საჯარო პრეზენტაციაზე მხოლოდ მაკეტის რამდენიმე ფოტო გამოიფინა, არც კონკრეტული თანხა და დაფინანსების წყარო დასახელებულა.**

უკვე გახმაურდა, რომ კახეთის ყოფილ ვიცე გუბერნატორ გიორგი სიბაშვილს ფინანსური პოლიცია დედოფლისწყაროს ტბის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებს. გაზეთი „ვერსია“ დაინტერესდა, სად გაქრა 24 145 ლარი და რატომ შეჩერდა სამუშაოები. კახეთის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე გიორგი სიბაშვილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დააკავა. სიბაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რაც თავისუფლების 11 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ სიბაშვილის დავალებით, დედოფლისწყაროში არსებული ქოჩების ტბის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, კახეთის რეგიონული სააგენტოს დირექტორმა, ვალერიან გრემელაშვილმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ხიდთან“, რომელმაც 74 963 ღირებულების ჩატარებული სამუშაოების ხელშეკრულება წარადგინა. გამოძიებით დადგინდა, რომ რეალურად, შესრულდა ნაკლები ღირებულების სამუშაოები და გაფლანგული თანხა აღმოჩნდა 24 145 ლარი.

კახეთის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობდა ვიცე გუბერნატორი გიორგი სიბაშვილიც. დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი ქოჩების ტბის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ირწმუნება, რომ ტბის რეაბილიტაციის პროექტი დიდხანს ეძება, ბევრგან მოიკითხა, მაგრამ გაირკვა, რომ ასეთი რამ არ არსებობს. მისი განმარტებით, დედოფლისწყაროში, ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, სააკაშვილისა და კედელაშვილის მიერ მოწყობილი ქოჩების ტბის რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია და ფართოდ გაშლილი ცერემონიაც სიცრუე აღმოჩნდა.

**„სხვათა შორის, ჩემი ამ თანამდებობაზე მოსვლის პირველივე დღეებში, ერთ-ერთი პირველი საკითხი, რითიც დავინტერესდი, სწორედ ქოჩების ტბის რეაბილიტაცია იყო.**

**ჩემდა სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ რეაბილიტაციის პროექტი არ არსებობს! ეს იყო პიარი!.. მხოლოდ 140 კვადრატული მეტრი ფილაა ჩამოტანილი და ესეც იმიტომ, რომ კონკრეტული ადამიანი უნდა ჩამოსულიყო წინასაარჩევნოდ დედოფლისწყაროში და ადგილობრივ მოქალაქეებს შეხვედროდა. არ ვიცი, ნაციონალური მოძრაობა, რეალურად, აპირებდა თუ არა ტბის რეაბილიტაციას. ჩვენ ვფიქრობთ, ტბა გავაკეთოთ, თუმცა არ გვინდა, ნაადრევი დაპირებები გავცეთ. ამ ტბასთან დაკავშირებით ჩვენ სხვანაირი მიდგომა გვაქვს. არ გვინდა, ისე გაკეთდეს, რომ ხელმიუწვდომელი იყოს ადგილობრივებისთვის და მხოლოდ ტურისტებისთვის იყო გათვლილი.**

**პირადად ჩემთვის, როგორც რიგითი დედოფლისწყაროელისთვის, ის მაკეტი, რაც წინა მთავრობამ საარჩევნოდ წარმოადგინა, მთლიანად მიუღებელია, რადგან დღევანდელ სოციალურ პირობებს არ პასუხობს. ტურისტები მისასალმებელია, თუმცა დედოფლისწყაროს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, პრიორიტეტული უნდა იყოს ისეთი გასართობი ადგილის შექმნა, რომელსაც ადგილობრივები გამოიყენებენ. როგორც ცნობილია, „კახეთის განვითარების ფონდი“ გეგმავდა ამ ტბის რეაბილიტაციას. სწორედ ამ ფონდში**



**მოვიკითხე, რომ რა მაკეტიც წარმოადგინეს, რა ეტაპზეა ეს პროექტი. მის საქმიანობას ფინანსური პოლიცია იკვლევდა და საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები დედოფლისწყაროშიც იყვნენ ჩამოსულები. ფონდში მითხრეს, რომ პროექტი არ არსებობდა. შესაბამისად, ეს იყო პიარი. ერთადერთი, რაც ამ პროექტიდან ქაღალდზე ვიხილეთ, ეს იყო მაკეტის ფოტოები, რომელიც წინასწარ გამოფინეს. თუმცა ვიცით, რომ ამგვარი მაკეტი 2-3 დღეში შეიძლება მომზადდეს. მთავარი ისაა, პროექტი ვერ ვიპოვეთ. ვერ გეტყვით, შემდეგში მართლაც აპირებდნენ და ნაადრევად მოხდა მისი პიარი თუ არც აპირებდნენ და წინასაარჩევნო ფანდი იყო. ჩვენ ერთი შეგვიძლია ვთქვათ, რასაც დავპირდებით, აუცილებლად შევასრულებთ. შესაძლოა, სხვაზე ცოტა დავპირდეთ, მაგრამ ამას აუცილებლად შევასრულებთ, რადგან პროექტი არ არსებობდა, არ ვაპირებთ, ხელი ჩავიქნიოთ, პირიქით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი აღდგენისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს ტბა იქნება ისეთი, როგორც დედოფლისწყაროს ეკადრება და პირველ რიგში, ადგილობრივებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. როცა ახალგაზრდა ვიყავი, მაშინაც ვხედავდი, რომ ახალგაზრდობისთვის ერთ-ერთი ძირითადი გასართობი და თავშეყრის ადგილი სწორედ ეს ტბა იყო. გახსოვთ, ალბათ, მაშინ, როცა დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი ვიყავი, ყოველთვის ვითხოვდი, დასუფთავების აქციები მოწყობილიყო და ტბის მოვლა-პატრონობაზე გვეზრუნა, რათა ადგილობრივებმა კომფორტულად იგრძნონ თავი. ცხადია, მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ მის განვითარებაზე“,** — აცხადებს დედოფლისწყაროს გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი.

თავის მხრივ, გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს გიორგი სიბაშვილიც. ის დედოფლისწყაროში ტბის რეაბილიტაციის თემასაც ეხება.

გამგებელი ამბობს, რომ პროექტი არ არსებობს, თუმცა სააგენტოს ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ პროექტი სპეციალურად შეაჩერა, რადგან რეაბილიტაციის გაგრძელების საშუალებები სიბაშვილმა ველარ დაინახა.

**„მუნიციპალიტეტებიდან წამოსული მოთხოვნების საფუძველზე, კომპანიებთან ფორმდებოდა კონტრაქტები. დიახ, დედოფლისწყაროს ქოჩების ტბის რეაბილიტაციის პროექტი მე შევაჩერე, რადგან მისი გაგრძელების საშუალება ვერ დავინახე, ამაზე სხვა არაფერი ვიცი“, — აღნიშნა სიბაშვილმა, რომელმაც გამოძიებას ნებაყოფლობით გადასცა მის ელექტრონულ ბაზაში არსებული, საქმესთან დაკავშირებული 985 ფაილი, რაც პროკურორმაც დაადასტურა.**

თუმცა აღნიშნა, რომ ეს დოკუმენტები გამოძიებას მიაწოდა მოგვიანებით, მანამდე კი შეეძლო, მათი ნაწილი გაენადგურებინა ან შეეცვალა. ამასთან, ქოჩების ტბასთან დაკავშირებით ბრალდებულმა განაცხადა, რომ თანხის გაფლანგვის ნაცვლად, პროექტის განსახორციელებლად განკუთვნილი თანხა ბიუჯეტში დააბრუნა.

**„ქოჩების ტბასთან დაკავშირებით, როდესაც მივხვდი, ამ პროექტის განხორციელებას პერსპექტივა აღარ ჰქონდა, მოვითხოვე, თანხა უკან გადარიცხულიყო, ბიუჯეტში და სწორედ ჩემი დამსახურებაა, ფული რომ უკან გადაირიცხა“,** — აღნიშნა გიორგი სიბაშვილმა.

კახეთის გუბერნატორის ყოფილ მოადგილე გიორგი სიბაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, 15 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეეფარდა. სიბაშვილი თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. სიბაშვილმა სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგაც ისაუბრა ჟურნალისტებთან: **„ბრალდების მხარის შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებელი, უკანონო, თუმცა სასამართლომ ჩემი პოზიცია ნაწილობრივ გაითვალისწინა და გირაო შემიფარდა, რასაც ვასაჩივრებ. არც ერთ ეპიზოდში თავს დამნაშავედ არ ვცნობ, ბრალდება ძალიან სუსტია. მალე გახდება თქვენთვისაც ცნობილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც აბსოლუტურად დაადასტურებს ჩემს უდანაშაულობას ამ საკითხში“,** — განაცხადა გიორგი სიბაშვილმა.

**ასევე სკანდალურ განცხადებებს აკეთებს ქოჩების ტბის მიმდებარე ტერიტორიების მფლობელი ლია შარმაზანაშვილი. როგორც შარმაზანაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მის კუთვნილ ტერიტორიაზე ისე დაიწყეს, არც ქონება ჩამოურთმევია ვინმეს და არც მისთვის უკითხავს ვინმეს. მეპატრონე ამბობს, რომ ტერიტორიაზე არსებული შენობა დაანგრიეს, მშენებლობაში მისი აგური გამოიყენეს, რეალურად კი გაწერეს, რომ სამშენებლო მასალები შეიძინეს. ამასთან, შარმაზანაშვილი კიდევ ერთ სკანდალურ განცხადებას აკეთებს და ამბობს, რომ რეაბილიტაციაზე დასაქმებული მუშები ხელფასს არ იღებდნენ და რაიონის საკეთილდღეოდ უფასოდ მუშაობდნენ. მისი თქმით, შესაძლოა, სიბაშვილმა ეს თანხებიც გაწერა, რაც რეალურად, მუშებზე არ გაცემულა. შარმაზანაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროში წინასაარჩევნო ვიზიტის შემდეგ, პრეზიდენტის ვერტმფრენი ტბის მიმდებარე ტერიტორიიდან გაფრინდა, პროცესი შეჩერდა და მუშებიც აღარავის უნახავს.**

ტბის ტერიტორიის მფლობელი ლია შარმაზანაშვილი უახლოეს დღეებში სკანდალური დეტალების გახმოვანებას გეგმავს. საქმის არსებითი განხილვა თელავის რაიონულ სასამართლოში 22 მარტსაა ჩანიშნული.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქოჩების ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობოდა კაფე, პლაჟი, სპორტული ზონა – მინი ფეხბურთის, კალათბურთისა და ბავშვთა სათამაშო მოედნები. ასევე, სავარჯიშო ტრენაჟორები, გასახდელები და საშხაპეები, ასევე სათევზაო ზონა და ფაცხები ღამის გასათევად. ასევე, ტბის მიმდებარე ტყეში იგეგმებოდა საპიკნიკე ზონისა და ავტოსადგომის მოწყობაც. ამასთან, ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ რეაბილიტირებულ ქოჩების ტბაზე ნებისმიერი მსურველისთვის შესვლა უფასო იქნებოდა.

გასული წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილების ფონზე „ვერსია“ დაინტერესდა, ხომ არ დადგებოდა ტბის რეაბილიტაციის საკითხი ეჭვქვეშ. ამ კითხვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარ დეპუტატსა და პროექტის ერთ-ერთ ინიციატორს ზაზა კედელაშვილს მივმართეთ. კედელაშვილი არჩევნების შემდეგ ადგილობრივ ინტერნეტგამოცემა „ქიზიყი.გე“-სთან საუბარშიც მიიჩნევდა, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ამ პროექტის გაგრძელების პრობლემა არ შეიქმნებოდა, თუმცა პროექტი სწორედ ინიციატორების მიზეზით შეჩერდა.



# კობა დავითაშვილი — ოპოზიციონერი თუ კოალიციის დაჩაგრული წევრი

რუსიკო უშიკიშვილი

**საპარლამენტო უმცირესობის წევრ სერგო რატიანსა და უმრავლესობის წევრ კობა დავითაშვილს შორის მომხდარ ინციდენტს საკმაოდ საინტერესო გაგრძელება მოჰყვა. სერგო რატიანმა საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები კი მმართველი გუნდის მხრიდან ძალადობასა და ტერორზე ალაპარაკდნენ. კობა დავითაშვილმა ამ ინციდენტის კომენტირებისას განაცხადა, რომ არც ბოდიშის მოხდას აპირებს და არც ნანობს თავის საქციელს, მაგრამ მზად არის, ამისთვის პასუხი აგოს. საინტერესო კი ამ ყველაფერში ის იყო, რომ დავითაშვილი მისივე გუნდის წევრებმა, დავით უსუფაშვილმა და თინა ხიდაშელმა გააკრიტიკეს. ამის საპასუხოდ, კობა დავითაშვილმა რამდენიმე ინტერვიუში უკვე ღიად გააკრიტიკა მმართველი გუნდი — ხელისუფლების ქმედებებს „დოყლაპიობა“ უწოდა და ხიდაშელი-უსუფაშვილის მიმართაც არ დაიშურა კრიტიკა.**

**მედიაში უკვე გაიჟღერა ვერსიამ, რომ შესაძლოა, დავითაშვილმა კოალიცია დატოვოს, თუმცა თავად დეპუტატი ამ საკითხზე კომენტარს აღარ აკეთებს და ამბობს, რომ საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთებს განცხადებას. დარჩება თუ არა კობა დავითაშვილი „ქართულ ოცნებაში“, ამ საკითხზე საუბარი არც თინა ხიდაშელმა ისურვა, რომელმაც ფორ.გე-ს განუცხადა, რომ ამ თემაზე კომენტარისგან თავს შეიკავებს. აღნიშნული მოვლენების შეფასება პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ვთხოვეთ.**



— მე მგონია, ეს ყველაფერი უფრო იმის ანარეკლია, რომ ამ პოლიტიკურ გუნდს („ქართული ოცნების“ თითოეულ გუნდს ვგულისხმობ) გუნდური მუშაობის, უფრო სწორად, გუნდის გაფართოების გამოცდილება არ აქვს. „რესპუბლიკელებში“ ვინც იყვნენ თავიდან, თითქმის ამ პარტიის დაარსებიდან, ისევ ის ადამიანები არიან. ანალოგიური სიტუაციაა ალასანიას პარტიაშიც. ჯერჯერობით, „ქართულ ოცნებას“ საკმაო დრო არ გაუვლია, რომ ამ მხრივ, მისი ხასიათი დავინახოთ. ის, რომ გაფართოებას არ ცდილობენ და არ აქვთ ლოზუნგი — „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, პოლიტიკური გამოცდილების, უფრო სწორად კი, ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილების სიმცირითაა გამოწვეული, ამიტომ გაფართოების, მხარდამჭერთა მოპოვებისა და მათი დაცვის უნარი, უფრო მკვეთრად იკითხება ნაციონალურ მოძრაობასთან. ერთნაირი ინციდენტი იყო, რატიანმა მოიხადა ბოდიში, მაგრამ მისი გუნდის წევრებიდან რატიანის მიმართ აგრესია არც ერთს არ გამოუხატავს. საერთოდ ვატყობთ, რომ „ნაციონალები“ აბსოლუტურად უსამართლო სიტუაციაში ცდილობენ, ერთმანეთი მაქსიმალურად დაიცვან, ამიტომაც მათ გუნდურობა უფრო გამოსდით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ერთი პოლიტიკური პარტია იყო და ერთ პოლიტიკურ ორგანიზმში ამის გამოცდილება უფრო ჩნდება. კოალიცია მაინც კოალიციაა. მეორე მხრივ, თვითონ ეს პარტიები დიდი მასშტაბის პოლიტიკური აქტივობის გამოცდილებას (რაც ხელისუფლებაში ყოფნასთანაა დაკავშირებული) ახლა იძენენ.

**— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ახლა იზრდებიან, როგორც პოლიტიკური ძალა და ასეთი ფაქტები ამის ბრალია?**

— უნდა გაიზარდონ. შეიძლება, საერთოდ, არ გაიზარდონ და ჩათვალონ, რომ მათი მოვალეობა მხოლოდ სიმართლის თქმაა, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ სიმართლით არ კეთდება. მოგეხსენებათ, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. სიმართლის თქმა ძალიან სახიფათო მიდრეკილებაა და დაუფიქრებლად სიმართლის თქმამ, შეიძლება, ესა თუ ის პოლიტიკური გუნდი მარცხამდეც მიიყვანოს, ამიტომ ამ გამოცდილებას ეს პოლიტიკური ჯგუფები, ალბათ, შეიძენენ, მაგრამ მგონი, ამ დასკვნის გაკეთებაში ჟურნალისტები და მათი კოლეგები უნდა დაეხმარონ, რადგან შეიძლება, პოლიტიკური გუნდი თავისი წევრის მიმართ ძალიან მკაცრი ყოფილიყო, მაგრამ შიგნით ანუ გუნდში.

**— ბატონო რამაზ, ამ გუნდს, როგორც ჩანს, ახასიათებს შიდაკონფლიქტების გარეთ გამოტანა, თანაგუნდელების დატუქსვა, ესეც პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალია?**

— ასეთი ნაბიჯები ამ პოლიტიკური ფიგურების გუნდიდან გამოსვლას აადვილებს. შეიძლება, შეიქმნას იმის პირობები, რომ დავითაშვილი ისევ გამოეყოს თავის პოლიტიკურ გუნდს, ოპოზიციაში გადაინაცვლოს და ამას ხანდახან, თავად პოლიტიკური პარტია უწყობს ხელს. სხვათა შორის, ადრე დავითაშვილის ოპოზიციაში გადასვლას ნაციონალურმა მოძრაობამ შეუწყო ხელი ისევე, როგორც „რესპუბლიკელებისას“. ნაციონალურ მოძრაობასაც თავიდან არ ჰქონდა ასეთი მკაფიო სტრატეგია, რომ მტერი არ უნდა გაიჩინოს. შემდეგ, დროთა განმავლობაში და მით უმეტეს, მარცხის შემდეგ, ეს გრძნობა გაუმძაფრდათ, ამიტომ ნაციონალური მოძრაობა ძალიან განსხვავდება იმისგან, როგორიც იყო ის 2003-2004 წლებში.

**— გარკვეული მინიშნებები კეთდება იმაზე, რომ შესაძლოა, კოალიცია დაიშალოს. დღეს თქვენ ხედავთ ამის შესაძლებლობას, თუ ეს პატარ-პატარა გაუგებრობები, შეიძლება, გუნდშივე გაირკვეს?**

— მგონი, ჯერჯერობით, გაუგებრობების იქით პროცესი არ მიდის და არც წავა, რადგან, რეალურად, ჩვენ გვაქვს საქმე პარტიებთან, რომლებმაც წლების განმავლობაში იბრძოლეს და ყველა ეს ბრძოლა მათი რეიტინგის კიდევ უფრო დაბლა დაწევით მთავრდებოდა. ახლა პერსონალურად ივანიშვილის ავტორიტეტმა კოალიციაში შემავალი პარტიები მაღალრეიტინგულად აქცია. საკმარისია, ისინი ცალკე ამოძრავდნენ, რომ ასევე ცალ-ცალკე მოუწიოთ ზრუნვა რეიტინგის შენარჩუნებასა თუ მატებაზე. ამის გამოცდილება კი მათ ნაკლებად აქვთ. ასე ხდება სწორედ იმიტომ, რომ ისინი ხშირად ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ და რაც სიმართლეა და არა იმას, რაც იმ კონკრეტული მომენტისთვისაა საჭირო. კობა დავითაშვილმა მმართველი გუნდი გააკრიტიკა და მის მუშაობას „დოყლაპიობა“ უწოდა. მან საყვედურებით აავსო მმართველი გუნდი იმის გამო, რომ არ იწყებს პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის საჭირო პროცედურებს, რომ პარლამენტის შენობის განადგურების გამო არ აპატიმრებენ დავით ბაქრაძეს და ა.შ.

**— როგორ ფიქრობთ, ამ საკითხებთან დაკავშირებით, გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა თუ დავითაშვილის ეს განცხადებები, როგორც განაწყენებული კაცის პოზიცია, ასე უნდა განვიხილოთ?**

— ის პოზიცია, რომ რომელიღაც მანქანა არაეფექტურად მუშაობს, მხოლოდ კობა დავითაშვილს არ აღუნიშნავს. მოდი, ამას პირობითად, სამართლიანობის აღდგენის მანქანა დავარქვათ, რადგან იგი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. გავიხსენოთ, იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ მოსამართლეები ოპოზიციაში არიან. არაერთხელ გამოითქვა ეჭვი პროკურორების მიმართ და ა.შ. ასე რომ, კობა დავითაშვილმა მოარული განწყობილება ასახა, ოღონდ აქ განსხვავება ის არის, რომ მან პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზე გადაიტანა. მან იმ კონტექსტში კი არ ისაუბრა, რომ მოსამართლეები „ნაციონალების“ მიმართ გულგრილები არ არიან, სხვადასხვა ადამიანური თუ პოლიტიკური მიზეზებით კი არ ახსნა სასამართლოს მოქმედება, არამედ ხელისუფლების არაეფექტურობით ახსნა ამ მანქანის ცუდი მუშაობა, როდესაც ამას დოყლაპიობა უწოდა.

სამართლიანობის აღდგენის მანქანა რომ ცუდად მუშაობს, ამაზე ბევრი საუბრობს კოალიციაშიც და საზოგადოებაშიც, იმის გამო, თუ რა ბრალდებებით აკავებენ, თან ვერ აკავებენ, თან დაკავების დროს შეცდომებს უშვებენ და ა.შ. ასე რომ, ბრალდების საფუძველი კობას ჰქონდა. ამით ის შეიძლება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის განწყობას გამოხატავს და არაა გამორიცხული, საზოგადოებაში ბევრი მხარდამჭერი გაუჩნდეს. ის პოლიტიკოსია და ისეთი ფორმულის მოცემას ცდილობს, რომლსაც საზოგადოება გაიზიარებს, ამიტომ ამ ფორმულას უპოვა ისეთი ჭრილი, რაც მოსახლეობისთვის უფრო მისაღები იქნებოდა. მას რომ თავის თავზე ესაუბრა, მოსახლეობისთვის ეს მაინცდამაინც, საინტერესო არ იქნებოდა. კობამ თავისი ისტორია მიაბა ამას, რომ „თუ სამართლიანობის აღდგენის მანქანა არ მუშაობს, მაშინ ჩემი მუშტი იმუშავებს“ ანუ, პროცესი ლინჩის მიმართულებით წავა, თუკი სამართალი არ იმუშავებს. ამას ბევრი ექსპერტიც ამბობს და პოლიტიკოსიც. საერთოდ, სასამართლო სისტემა მაგიტომ არის მოგონილი, რომ შურისძიების ფუნქცია შეესრულებინა და ხალხს შურისძიებისა თუ დუელის ფორმით, ერთმანეთი არ ეხოცა. თუ სასამართლო სისტემამ ეს ფუნქცია თავის თავზე არ აიღო, მაშინ ეს არქაული ფორმები აღდგება.

**— კობა დავითაშვილმა ასევე საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებიც ახსენა და თქვა, დამნაშავე ბაქრაძეს უსუფაშვილი რატომ ელაპარაკებაო. ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო უმცირესობა აპირებს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ინიცირებული კანონპროექტი უკან გაიწვიოს. თქვენი აზრით, ეს მოლაპარაკებები სწორი მიმართულებით მიდის?**

— კოჰაბიტაციის პროცესი, როგორც ჩანს, თავის საქმეს აკეთებს. კოჰაბიტაციის თემაზე საუბრისას ხმაში ირონია გამიჩნდა, რადგან რეალურად, ეს არა კოჰაბიტაცია. არამედ ხუთპროცენტიანი პარტიის (ბოლო კვლევებით სწორედ ასეთი რეიტინგი აქვს ნაციონალურ მოძრაობას) ბრძოლაა გადარჩენისთვის. ისინი დაწყნარდნენ და ცდილობენ, იპოვონ ისეთი ნიშა, თან სახე შეინარჩუნონ და თან მოსალოდნელ საფრთხეს მაქსიმალურად აარიდონ თავი. ხელისუფლება მათ ამის საშუალებას აძლევს.

**— სწორედ ამის გამო, საზოგადოებაში არის გარკვეული შენიშვნები და შეიძლება ითქვას, უკმაყოფილებაც კი. სავარაუდოდ, სწორედ ამაზე გააკეთა მინიშნება კობა დავითაშვილმაც, რომ თავად ხელისუფლება აძლევს ასე მოქმედების საშუალებას „ნაცმოძრაობას“. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?**

— კობა დავითაშვილმა, ფაქტობრივად, თავისი ისტორია ამ განწყობილებას მიაბა. ალბათ, შეხედავს პროცესებს, ნახავს, რამდენი აღმოჩნდება მისი მხარდამჭერი, რა განწყობა წამოვა წინა პლანზე და შემდეგ გადაწყვეტს, მისთვის ოპოზიციონერობა უფრო მომგებიანი იქნება თუ პარტიის დაჩაგრული წევრის როლი.

## ჯეიმს აპატურაი: „ნატო-ს სურს, იხილოს ისევ ის ქვეყანა, სადაც ერთიანი მიდგომა აქვთ საქართველოსთვის სასარგებლო საკითხებზე“



**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი და ჩრდილოატლანტიკური საბჭო ნატო-ს გენერალურ მდივანთან ერთად, ძალიან მალე დათანხმდა საქართველოში ჩამოსვლას — თქვენს ქვეყანაში ბოლო ვიზიტიდან ასე მოკლე დროში. საბჭოს ვიზიტი ძალიან იშვიათია, მაგრამ ჩვენ რეგულარულად დავდივართ საქართველოში, რადგან იგი ჩვენთვის გამორჩეული პარტნიორი ქვეყანაა, რომელიც მიისწრაფვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრობისკენ და გვსურს, შევინარჩუნოთ ეს მაღალი დონის ჩართულობა. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ჩამოვა ამ კვირაში და გამართავს შეხვედრებს. პირველი გზავნილი ისაა, რომ გვსურს თანამშრომლობა ჩვენს გამორჩეულ პარტნიორთან, რაც შეეხება მეორე გზავნილს, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს სურს, საქართველოში დაინახოს ის, რასაც ვხედავდით თქვენს ქვეყანაში, სადაც განსხვავებული პარტიების წარმომადგენლები სხდებიან ერთად, საუბრობენ და თანხმდებიან ერთიან მიდგომაზე ქვეყნის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ვადევნებთ თვალს და ვხედავთ, რაც ხდება საქართველოში, პოლიტიკური მსჯელობა და დისკუსიები მიდის, მაგრამ მნიშვნელოვანია, სანამ ჩრდილოატლანტიკური საბჭო ჩამოვა საქართველოში, პოლიტიკური ძალები ქვეყნისთვის ფუნდამენტურ საკითხებზე შეთანხმდნენ, რათა აჩვენონ, რომ არის ისევ ის ქვეყანა, სადაც შეუძლიათ შეთანხმდნენ ქვეყნისთვის სასარგებლო საკითხებზე და ამ პროცესში დამერწმუნეთ, ნატო საქართველოს პარტნიორია. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. მე ვარ რეგულარულ კონტაქტზე და ჩვენ ძალიან ხშირად განვიხილავთ საქართველოს საკითხებს“,** — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

*„ნიუს-გე“*

## ვერსიანიუსი

## ევროკავშირის საბჭო აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ დასკვნას აქვეყნებს



ევროკავშირის საბჭო აქვეყნებს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ დასკვნას, რომელიც საბჭომ 18 თებერვალს, ბრიუსელში მიიღო. დასკვნაში ნათქვამია, რომ საბჭო მოუთმენლად ელოდება 2013 წელს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში არჩევნების ჩატარებას:

**„საბჭო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ საფუძვლად უდევს საერთაშორისო უფლებები და ფუნდამენტური ფასეულობები, მათ შორის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების პატივისცემა ისევე, როგორც საბაზრო ეკონომიკა, მდგრადი განვითარება და კარგი მმართველობა.**

**ვილნიუსში გასამართ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტამდე, საბჭო ხაზს უსვამს, რომ რეფორმის ტემპები განსაზღვრავს თანამშრომლობისა და პარტნიორობის ინტენსიურობას. რეფორმებში ყველაზე მეტად ჩართული ქვეყნები კი მეტ სარგებელს მიიღებენ ევროკავშირთან მათი ურთიერთობებისგან. ამ კონტექსტში, საბჭო მოუთმენლად ელის 2013 წელს სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში არჩევნების გამართვას და ხაზს უსვამს მათი გამართვის მნიშვნელობას საერთაშორისო სტანდარტების დაცვითა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციებით“.**

საბჭო ასევე აღნიშნავს, რომ ევროსაბჭომ ყველა მხარეს მოუხმო მოლდოვასთან, საქართველოსა და სომხეთთან ასოცირების ხელშეკრულების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) განვითარებისკენ, რათა სამიტისთვის ეს პროცესი უკვე ფინალურ ფაზაში იყოს:

**„საქართველოსთან სავიზო დიალოგი სწრაფად პროგრესირდება და სამიტის ჩატარების დროისთვის, ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მომავალში განხორციელება განხილვის საგანი უნდა იყოს“.**

ევროკავშირის საბჭოს დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამამ (EaPic) მოლდოვაში, სომხეთსა და საქართველოში რეფორმებისთვის უზრუნველყო დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, „ბევრი უფრო ბევრისთვის“ პრინციპის შესაბამისად.

*„ინტერპრესნიუსი“*

ექსპერტი

# ჩვენ რუსეთთან კვლავ საომარ ვითარებაში ვიმყოფებით



ირაკლი მენაღარიშვილი
ნიუ პოსტი

**საქართველომ დამოუკიდებლობის მანძილზე ბევრი ნეგატიური და პოზიტიური გამოცდილება დააგროვა. ის ტკივილი, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, სჯობდა, ან არ ყოფილიყო, ან ყოფილიყო მინიმალური, მაგრამ წარსულზე წუწუნი არ ღირს. წარსულს მხოლოდ ანალიზი სჭირდება, რომ მომავალი უკეთესად ავაწყოთ.**

საქართველოს შიდა პოლიტიკას განაპირობებს ის კონტექსტი, რაშიც ის გეოპოლიტიკურად იმყოფება. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით არის უზარმაზარი, ე.წ. დსთ-ს სივრცე, რომლის ძირითადი კომპონენტია რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც გვაქვს ისეთი ექსტრემალური ურთიერთობა, უარესი არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენ კვლავ ვიმყოფებით რუსეთთან საომარ ვითარებაში, თავი დავანებოთ იმას, რომ მას ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. ის ფაქტი, რომ ჩვენ ომი დასრულებული არ გვაქვს მასთან, ქმნის ერთი შეხედვით, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოებისთვის ძალიან მძიმე ფონს, მეორე მხრივ, ეს საქართველოსთვის არის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური გამოწვევა.

რუსეთი, თავისთავად, მძიმე პარტნიორია, რადგან ის იმპერიული მეტროპოლია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ რუსეთს ემოქმედა, როგორც გამქრალ იმპერიათა ცენტრის უმრავლესობას, მან აირჩია ძველი დიდებისკენ მისწრაფება. ყველა ინტეგრაციული ფორმატი, რომელიც რუსეთმა შესთავაზა პოსტსაბჭოთა სივრცეს, სწორედ ამ სწრაფვაზეა ორიენტირებული. ამ სიტყვებში მისხალიც კი არ არის ანტირუსული, ესაა ის რეალობა, რომელზეც თავად რუსი პოლიტოლოგები საუბრობენ.

რუსეთი საქართველოს განიხილავს, როგორც მისი ინტერესების განსაკუთრებული, ექსკლუზიური ინტერესების სფეროს და თვლის, რომ აქვს უფლება, განსაკუთრებული მიდგომები ჰქონდეს ამ რეგიონის მიმართ. რუსეთს ასევე აქვს კიდევ ერთი სირთულე, რომელიც მისთვის სერიოზული გამოწვევაა: ეს არის ჩრდილოეთ კავკასიის უმწვავესი რეგიონი, რომელიც, თავისთავად, არის საფრთხის შემცველი. იქ მიმდინარეობს ომი, რომელიც არც შეწყვეტილა და წარმოადგენს ყველაზე მძიმე რეგიონს რუსეთისთვის.

ჩვენს აღმოსავლეთით არის კიდევ სერიოზული კერა, მინერალური რესურსებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ავღანეთი. ამ რეგიონს, ნავთობისა და გაზის გარდა, ბევრად მნიშვნელოვანი დატვირთა აქვს. ის უზარმაზარი, დენთით გავსებული კასრია, რომლის სამხრეთით დღეს ყველაზე დაძაბული პროცესები მიმდინარეობს — ეს არის ავღანეთის ომი, რომლის ფარგლებშიც ჩვენც ვმონაწილეობთ და არავინ იცის მისი პერსპექტივა. ცოტა ხნის წინ, ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ 2014 წელს საჯარისო კონტინგენტის ნახევარს გაიყვანს ამ ტერიტორიიდან. წინა მსგავსი ექსპერიმენტი, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩაატარა, სრული კრახით დამთავრდა. ეს არის მსოფლიოში მძლავრი მუსლიმური ექტრემიზმის ცენტრი. რას მივიღებთ ნატო-ს ოპერაციის შედეგად, ძალიან რთული სათქმელია და მისი პროგნოზირებაც — შეუძლებელი. თავისთავად, ავღანეთი პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემაა მისი გავლენა მთელ აზიაზე. რას იზამს თალიბანი, რომელიც აზიისკენ უდავოდ დაიძვრება, როგორც კი შემაკავებელი ძალა მოეხსნება, ძნელი სათქმელია. ამიტომ აღმოსავლეთი როდის აფეთქდება, ვერც ეს იქნება პროგნოზის თემა. ის გამოწვევებით სავსე რეგიონია.

ჩვენს სამხრეთით იმყოფება თურქეთი, რომელიც ყველაზე სეკურალური, სტაბილური და ცივილიზებული ქვეყანაა ამ რეგიონში. მის სამხრეთით კი დუღს დიდი მუსლიმური ქვაბი, რაშიც რა იხარშება, რთული სათქმელია.

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არაბულმა განვითარებამ განსაკუთრებით აჩვენა, რომ შესაძლოა, ყველაფერი ყირაზე დადგეს. აქ არის ისეთი გლობალური დაძაბულობის კერა, როგორიცაა ირანი, სადაც ასევე არაპროგნოზირებადი მდგომარეობაა. გადაწყვეტს თუ არა ისრაელი, გამოიყენოს იარაღი, რათა თავიდან აიცილოს ბირთვული იარაღის გაჩენა, ესეც უცნობია. ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ, როდის დაეტაკება ირანის ასტეროიდი დედამიწას, არავინ იცის. ჩვენი ქვეყნისთვის ნატო-ში ინტეგრაცია მარტივად რეალიზებადი ამოცანა არ გახლავთ. ეს არ არის შარაგზა, სადაც უბრალოდ, უნდა იარო, დაიღალო და მერე აუცილებლად მიხვალ მიზნამდე. აქ სერიოზული პოლიტიკური საქმიანობით არის გასაჭრელი ეს გზა, მაგრამ მისი გაჭრა პერსპექტიულია.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ახლა საჭიროა, გადავდეთ პოლიტიკაზე — რას ვიგებთ და რას ვაგებთ მასთან ურთიერთობაში. ბალანსი ასე უნდა გამოვიყვანოთ. ნებისმიერი გამარტივებული ფორმულა მიუღებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენს ტერიტორიებზე მიმდინარეობს მსჯელობა. გაიხსენეთ, რა მოხდა რუსეთის მეტროში წელიწადნახევრის წინ, როცა ორმა გოგონამ მეტრო ააფეთქა. როგორ ბორძიკობდნენ პუტინი და მედვედევი, ყველაფერი უწოდეს მათ, ტერორისტები, მკვლელები, ჩეჩნები, მაგრამ არაფრით აღიარეს ის, რომ რუსეთის მოქალაქეები იყვნენ და სწორედ რუსეთის მოქალაქეებმა მოაწყვეს რუსეთში ტერაქტი.

ანუ, ყველაფრის მიუხედავად, პუტინი არ უდგებოდა ჩეჩნებთან ურთიერთობას, როგორც საკუთარ თანამემამულეებთან ურთიერთობას. ეს არის კარგი მაგალითი ჩვენთვისაც. თუ თითოეულ ოსსა და აფხაზს არ დავინახავთ, როგორც მოქალაქეს, ჩვენ მათ ვერასოდეს დავიბრუნებთ. აფხაზეთში არის დიდი მიუღებლობა დაგროვილი ქართველი ხალხის მიმართ, ამ მიუღებლობის დაძლევაა ჩვენი ამოცანა, რადგან სულ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი ოკუპანტია, რომელმაც წაგართვა ტერიტორიები, თუმცა ის 2008 წელს დაუპირისპირდა არა საქართველოს, არამედ დასავლეთს საქართველოში აგვისტოს ომის დროს.

ოპოზიცია

**ინტერვიუ „რკინის ვანო“ მერაბიშვილთან, — ასე უწოდებს გამოცემა „გრუზია ონლაინი“ ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანთან ექსკლუზიურ ინტერვიუს, რომელსაც „ნიუპოსტი“ შემოკლებით გთავაზობთ.**

**— თქვენი და ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით. თუ გამოძიება შეაგროვებს მტკიცებულებებს, მაშინ პროკურატურა შეძლებს, წაგიყენოთ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს 8-წლიან პატიმრობას. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მე ვფიქრობ, ივანიშვილი ამას ვერ გაბედავს, ის ვერ შეძლებს, დააპატიმროს პოლიტიკური ოპონენტები. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ოპოზიცია სუსტია და ფიქრობს, ამით ჩვენ დაგვაშინებს. მან მთელი ცხოვრება რუსეთში გაატარა და, პრაქტიკულად, მთელი ეს პერიოდი თანამშრომლობდა მილიციასთან იმიტომ, რომ მათი ეშინოდა, მაშინაც კი, როცა ოლიგარქი გახდა. ამიტომაც ფიქრობს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ასეთივეა და შეეშინდება მისი დაკითხვების.

**— იქნებ საჭიროა ნაციონალური მოძრაობის რეფორმირება?**

— დროა, შეწყვიტოთ საუბარი ამ თემაზე, ნაციონალური მოძრაობა ფუნქციონირებს, აკონტროლებს რიგ საკრებულოებს თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისსა და ბევრ სხვა რაიონში.

**— არ აპირებთ სახელის შეცვლას?**

— ვინც გვისვამს ასეთ კითხვას, მას წარმოდგენა არ აქვს, რა არის პოლიტიკა. დარჩება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ჩვენ უკვე ჩავატარეთ დამატებითი რებრენდინგი. ყველაფერი მიდის იქით, რომ შევძლებთ, დავიბრუნოთ ის პოზიცია, რომელიც გვქონდა. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, დღევანდელმა ხელისუფლებამ შეძლოს საქართველოს უკან დაბრუნება. მთავარია, გავაგებინოთ საზოგადოებას ჩვენი წინადადებები, ვაჩვენოთ, რომ ივანიშვილი არ ასრულებს თავის წინასაარჩევნო დაპირებებს. მას არ შეუძლია, შესთავაზოს რაიმე ალტერნატიული საზოგადოებას. ასეთ ფონზე, ჩვენ გვაქვს სერიოზული იმედი.

**— საზოგადოების იმ ნაწილში, რომელმაც მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას", არის ცალკეული მოწოდებები, ჩატარდეს სასამართლო პროცესი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ და ის აიკრძალოს, თქვენ რას იზამთ ამ შემთხვევაში?**

— ამასთან დაკავშირებით, შემიძლია, გიპასუხოთ: ოცნებას კაცი არ მოუკლავს... გასაგებია, რომ „ოცნება“ მიხვდა, ქვეყანაში ვერაფრის

## „მე ვფიქრობ, ივანიშვილი ამას ვერ გაბედავს, ის ვერ შეძლებს პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებას“



გაკეთებას ვერ შეძლებს და ალტერნატივას მხოლოდ ოპოზიციისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვაში ხედავს. მათი ოცნებები აუხდენელია.

**— რატომ დაეთანხმდა ნაციონალური მოძრაობა კონსტიტუციის ვადაზე ადრე ამოქმედების საკითხში?**

— ჩვენ დავთანხმდით რიგ ცვლილებებს იმ პირობით, რომ მივიღებთ შემდეგ გარანტიებს, კერძოდ: საქართველო არ შევა დსთ-ში, ივანიშვილი არ დაიწყებს საპარლამენტო უმცირესობის ოჯახის წევრების დაპატიმრებას იმისთვის, რომ მიაღწიოს საკონსტიტუციო ცვლილებებს, არ გააუქმებს პირდაპირ საპრეზიდენტო არჩევნებს და არ წაართმევს ხალხს უფლებას, საყოველთაო არჩევის წესით აირჩიოს პრეზიდენტი. ამიტომ დავთანხმდით.

**— არის გარანტიები?**

— არა. არჩევანი ივანიშვილზეა, როგორც წესი, ის აკეთებს არასწორ არჩევანს.

**— აქვს თუ არა აზრი შუალედურ არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის მონაწილეობას?**

— ჩვენ ცოტა შანსი გვაქვს, მაგრამ ვიბრძოლებთ. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებებზე, მაგრამ სიტუაცია არ არის უიმედო.

**— თქვენი აზრი, აფხაზეთის მონაკვეთზე სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენასთან დაკავშირებით.**

— მე ვიყავი გაკვირვებული, როცა ივანიშვილმა სომხეთში განაცხადა, რომ უნდათ ამის გახსნა, მაგრამ შემდგომ, როგორც მას სჩვევია, უარყო საკუთარი სიტყვები. ახლა მისმა ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, რომ აპირებენ აღადგინონ. ივანიშვილი ასე ხშირად რომ ცვლის შეხედულებებს, მიანიშნებს იმაზე, რომ მას არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოზიცია. მან არ იცის, რომელი მიმართულებით უნდა წაიყვანოს საქართველო. უფრო სწორად, მას ის მიჰყავს უკან — ბნელ წარსულში, როცა კრიმინალები მართავდნენ, მეფობდა უკანონობა, ნეპოტიზმი... აი, ასეთ სახელმწიფოს აშენებს. ის ანგრევს ყველაფერს, რაც ბოლო წლებში საქართველოში აშენდა.

ვერსიანიუსი

## ოშკისა და იშხნის რეაბილიტაციაში, სავარაუდოდ, საპატრიარქოც ჩაერთვება



თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესში და ბათუმში მეჩეთის მშენებლობის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, სავარაუდოდ, საქართველოს საპატრიარქოც ჩაერთვება, — განაცხადა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარმა. გადაწყვეტილება ამის თაობაზე მასა და პატრიარქს შორის გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღებული.

**„ამ თემაზე ვესაუბრე უწმინდესს, რა თქმა უნდა, საპატრიარქოს წარმომადგენელიც იქნება ჩართული რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესში“,** — მინისტრის მოადგილის თქმით, პროცესში ჩაერთვებიან ქართველი სპეციალისტებიც, რისთვისაც ქართული მხარე შესაბამის სახსრებს გამოყოფს, — **„ოშკისა და იშხნის რესტავრაცია-რეაბილიტაციას თურქული მხარე ახორციელებს, ამიტომ დაფინანსებაც იქიდან მოდის. ვფიქრობ, უფრო ლოგიკური იქნება, ქართველი სპეციალისტების პროცესში ჩასართავად შესაბამისი სახსრები ქართულმა მხარემ გაიღოს“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

## თეა წულუკიანი აშშ-სა და ბრიუსელს ეწვევა



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ოფიციალური ვიზიტით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიუსელს ეწვევა. აშშ-ში დაგეგმილია შეხვედრები როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წარმომადგენლებთან, ისე არასამთავრობო სექტორსა და მედიასთან.

ხუთდღიანი ვიზიტის ფარგლებში წულუკიანი შეხვედრებს გამართავს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე, შეხვდება ამერიკელ სენატორთა აპარატის წარმომადგენლებს, შეხვედრებს გამართავს ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში, დემოკრატიის განვითარების ეროვნულ ფონდში, ატლანტიკის საბჭოში, ევრაზიის ფონდში, იუსტიციის მინისტრი სიტყვით გამოვა კოლუმბიის უნივერსიტეტში.

შემდეგ თეა წულუკიანი ბრიუსელს ეწვევა და შეხვედრებს გამართავს ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენსა და კავკასიასა და შუა აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელ ჯეიმს აპატურაისთან. წულუკიანი დაესწრება ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას და მონაწილეებს სიტყვითაც მიმართავს. იუსტიციის მინისტრის ვიზიტი შეერთებულ შტატებსა და ბელგიაში თვის ბოლოს დასრულდება.

*„ვერსიანიუსი“*

ზურაბ გამრეკელი

# „სამხრეთის ნაკადს“ ყველა პრობლემა არ გადაუჭრია

**„გაზპრომის“ ხელმძღვანელის, ალექსეი მილერის აზრით, 2011 წლის 28 დეკემბერს გაზსადენ „სამხრეთის ნაკადზე“ თურქეთის შავი ზღვის ეკონომიკურ ზონაში გატარებაზე რუსეთის მიერ ნებართვის მიღების შემდეგ, ეს პროექტი, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, კიდევ უფრო მეტად გახდა უკრაინის პოზიციაზე დამოკიდებული. როგორც ჩანს, უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელის ბაზაზე, რუსეთ-უკრაინის ერთობლივი კონსორციუმის შექმნა დღის წესრიგიდან კვლავ არ მოხსნილა.**

თუმცა, ამა წლის იანვრის შუა რიცხვებში, უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის მაშინდელი მინისტრის, იური ბოიკოს (ახალ მინისტრთა კაბინეტში იგი ედუარდ სტავიცკიმ შეცვალა) განცხადებით, რუსეთთან ე.წ. გაზის მოლაპარაკებები შეჩერებულია. საქმე კინაღამ რუსეთ-უკრაინის „გაზის მესამე ომამდე“ მივიდა! ეს რუსული „სამხრეთის ნაკადის“ განხორციელების შანსებს ზრდის, რაც ნეგატიურად აისახება სამხრეთ კავკასიაზე გამავალ კასპიისპირეთის ენერგო-პროექტებზე. რამდენად რეალურია მოვლენათა განვითარების ამ სცენარით გაგრძელება?

რუსი ექსპერტი კონსტანტინ სიმონოვი, თებერვალს ჩაწერილ ინტერვიუში მიიჩნევს, რომ ორი ქვეყნის ენერგო-დაპირისპირება, უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელის ბაზაზე ერთობლივი კონსორციუმის დაფუძნებით მოგვარდება. მისი შექმნის შემთხვევაში, „გაზპრომს“ მხოლოდ ამგვარი კონსორციუმის ბელორუსული ვარიანტი აწყობს, რათა გახდეს მთელი უკრაინული ქსელის რეალური თანამესაკუთრე. საქმე ისაა, რომ შარშან ბელორუსის „ბელტრანსგაზის“ ქონების დარჩენილი 50% (ნახევარი ჯერ კიდევ 2010 წელს ჰქონდა „გაზპრომს“ შესყიდული) რუსულმა მონოპოლიამ გაზის ფასის დაკლების საფასურად და ვალების გაქვითვის სანაცვლოდ ჩაიგდო ხელში. კონსტანტინ სიმონოვს მიაჩნია, რომ მართვის ფორმალური გაერთიანებით შემოფარგვლის გარდა, უკრაინულ მხარეს სხვა მოთხოვნებიც აქვს. კერძოდ, ექსპერტის აზრით, კიევი ალბათ მოითხოვს, უკრაინაზე გაიაროს ევროპაში მისაწოდებელი მთელი რუსული გაზიდან 60 მლრდ კუბმეტრმა, მილის დაუტვირთაობაზე ჯარიმების გათვალისწინებით. სიმონოვის აზრით, და ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, „გაზპრომის“ პოზიციას უკრაინელთა გასაგონად ახმოვანებს, ასეთ მასშტაბებზე საუბარი რუსულ მხარეს არანაირად არ აწყობს, რადგან ეს მოცულობა მთელი მომავალი „სამხრეთის ნაკადის“ შემავსებელი იქნება.

უკრაინულ პრესაში მიუთითებენ, რუსი ექსპერტის აღნიშნული ინტერვიუს გამოქვეყნება შემთხვევითი არ არის. საქმე ისაა, რომ 11 თებერვალს დაიწყო კიევსა და მოსკოვს შორის ორმხრივი გასაიდუმლოებული მოლაპარაკებები უკრაინის გაზის ქსელის ბაზაზე „გაზპრომისა“ და „ნეფტოგაზ უკრაინის“ ერთობლივი საწარმოს დაფუძნებაზე. თუ ადრე, ამ გაერთიანებაში ბრიუსელიც მოიაზრებოდა, ახლა ევროკავშირის მონაწილეობა კონსორციუმში გამოირიცხა. მართალია, უკრაინულ მხარეს უნდა, ახალი ორმხრივი კონსორციუმი არ იყოს მილსადენების ქსელის მესაკუთრე და მხოლოდ მმართველობითი ფუნქცია ჰქონდეს, მაგრამ რუსულ მხარეს ქსელის 50%-ის მესაკუთრეობის პრეტენზია აქვს.

ექსპერტების აზრით, აშკარაა, რომ თურქეთიდან „სამხრეთის ნაკადის“ გაყვანაზე ნებართვის მიღების შემდეგ, ამ ეტაპზე, მოსკოვმა გაიძლიერა თავისი პოზიცია უკრაინასთან მოლაპარაკებებზე. მეტიც, „გაზპრომმა“ „სამხრეთის ნაკადის“ სრულად შესავსებად, უკრაინის მარშრუტებიდან შეიძლება ცენტრალურაზიური გაზიც მიიზიდოს, რითაც ევროპაში გაზის ტრანსპორტირების სსრკ-ს დროინდელი ერთიანი სქემის აღდგენას შეეცადოს. სწორედ ამიტომ აცხადებდა გასული წლის ბოლოს „გაზპრომის“ შეფი ალექსეი მილერი, რომ „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის პერსპექტივები არა მარტო თურქეთთან, არამედ უკრაინასთან მოლაპარაკებებზეც იქნება დამოკიდებული. რუსული მხარე უკვე არ მალავს, რომ შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენის გაყვანა უკრაინული გაზსატრანსპორტო სისტემაზე დამოკიდებულების შემცირებისათვისაა მოფიქრებული. არადა, 2011 წლის დასაწყისში ევროკომისიამ მკვეთრად დააფიქსირა პოზიცია, რომელიც რუსეთს მკაცრად აფრთხილებდა, არ გადაედგა „ტრანსკასპიური გაზსადენისა“ და „ნაბუქოს“ საწინააღმდეგო ნაბიჯები. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, იმ დროს რუსულ პრესაში ისეთი მასალების გამოჩენა, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდა „სამხრეთის ნაკადის“ ეკონომიკურ მიზანშეწონილობას და რუსეთისთვის თურქეთის გაზის მარშრუტების ცენტრად ანუ „ჰაბად“ გადაქცევის საფრთხეებზე მიუთითებდა, რაც პერსპექტივაში მოსკოვს „ჭირვეული კიევის ნაცვლად,




ამბიციურ ანკარას“ მისცემდა.

როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, „სამხრეთის ნაკადზე“ თურქეთის თანხმობის მიღების შემდეგ, რუსეთმა გადაწყვიტა, ერთიან პაკეტად განიხილოს „სამხრეთის ნაკადის“ აგება და უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელის ხელში ჩაგდება. ეს მოსკოვისთვის რაციონალურია, როგორც ევროპაში მიწოდების რისკების დივერსიფიკაციის, ისე გაზის მიწოდების პოტენციური ზრდის თვალსაზრისითაც. უკრაინას საპასუხო აღარაფერი დარჩა და გამოაცხადა რუსული გაზის შესყიდვის შემცირება — წლიურად 52 მლრდ კუბმეტრიდან 27 მლრდ კუბმეტრამდე. ამავე დროს, რადაში, ნაცვლად „ნაფტოგაზ უკრაინის“ რუსულ „გაზპრომთან“ ერთობლივი (50-50%) საწარმოს შექმნისა, მმართველი „რეგიონების პარტიის“ დეპუტატებმა დაიწყეს პარიტეტული წილებით (33-33-33%) სამმხრივი: რუსეთ-ევროკავშირ-უკრაინის ერთობლივი საწარმოს შექმნის იდეის ლობირება. იდეისა, რომელსაც ადრე ისინი არ იზიარებდნენ. აღნიშნულის საპასუხოდ, „გაზპრომში“ აცხადებენ, რომ მოქმედი კონტრაქტებით, უკრაინას, სანქციების გარეშე შეუძლია რუსული გაზის იმპორტის მხოლოდ 20%-ით შემცირება.

ამავდროულად, შარშან, 28 დეკემბერს თურქეთის მიერ „სამხრეთის ნაკადის“ აგებაზე გაცემული ნებართვის კომენტირებისას, „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა, ალექსეი მილერმა კვლავ დაადასტურა ამ გაზსადენის სიმძლავრისა და უკრაინა-რუსეთის გაზის მოლაპარაკებებზე კიევის პოზიციის პირდაპირი ურთიერთკავშირი. საქმე ისაა, რომ „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის ნაკადების“ ჯამური სიმძლავრე საკმარისია, მთელი რუსული გაზის უკრაინის გვერდის ავლით, ევროპაში ტრანსპორტირებისთვის. მაშასადამე, ფაქტობრივად, მილერი კიევს სთავაზობს, გამოიყენოს ბოლო შანსი — დათანხმდეს უკრაინის ქსელის ბაზაზე რუსულ-უკრაინული კონსორციუმის (50-50%) შექმნისა და რუსული გაზის უკრაინის გავლით ტრანზიტის კაბალურ პირობებს. უკრაინა ამ წინადადებას დღემდე არ იზიარებს ანუ ეს მოლაპარაკებები ჯერ ჩიხშია.

სავარაუდოდ, კიევში დარწმუნებულები არიან, რომ მიუხედავად მოსკოვის ოპტიმისტური განცხადებებისა, „სამხრეთის ნაკადის“ ყველა დეტალი ჯერ კიდევ დაუზუსტებელია და უკრაინის ქსელი „გაზპრომს“ კიდევ დიდხანს დასჭირდება. კერძოდ:

— არ არის ჩატარებული რუსული „სამხრეთის ნაკადის“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (feasibility study);

— არ არის ზუსტად დადგენილი „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის საბოლოო მარშრუტი;

— არ არსებობს გაზსადენის ტექნიკური სპეციფიკაცია და დაუმტკიცებელია მშენებლობის საფინანსო გეგმა;

— 2010 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ „სამხრეთის ნაკადი“ ამოიღო ე.წ. TEN-ის („ევროკავშირის პრიორიტეტული ენერგო-პროექტი“) მაძიებელთა სიიდან, რაც პრობლემებს უქმნის მშენებლობის დაფინანსებას;

— მოსკოვის ცდები, გაზსადენი გამოეყვანა ევროკავშირის „მესამე ენერგო-პაკეტის“ მოქმედების არეალიდან, მარცხით დასრულდა.

ამასთან, თურქეთის მიერ „სამხრეთის ნაკადის“ საზღვაო სექციის აგებაზე თანხმობის გაცემა, უკრაინაში პრომოსკოვური ლობის მიერ, შესაძლოა, გამოყენებული იქნას კიევის არსებული მთავრობის დასაშინებლად, რათა იგი ე.წ გაზის მოლაპარაკებებზე რუსეთის წინაშე დათმობებზე წავიდეს. მათი არგუმენტი მარტივია — „სამხრეთისა“ და „ჩრდილოეთის ნაკადების“ აშენების შემდეგ, უკრაინის ტერიტორიაზე გაზსადენების ქსელი საჭირო აღარ იქნება, ამიტომ მათ მიაჩნიათ, რომ ამ საკითხის გამო, რუსეთთან გაზის ფასზე მოლაპარაკებების შეწყვეტა არ შეიძლება. ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ რუსეთ-უკრაინის ერთობლივ კონსორციუმზე შეთანხმების გაფორმებით, უკრაინა შეინარჩუნებს მნიშვნელოვან საბიუჯეტო შემოსავლებს რუსული გაზის ტრანზიტიდან, რაც, დაახლოებით, 1.5-2 მლრდ დოლარია, თუმცა გაუგებარია, უკვე 2012 წლის ბოლოსთვის, „ჩრდილოეთის ნაკადით“ უკრაინის გვერდის ავლით გატანილი 27.5 მლრდ კუბმეტრი გაზის სატრანზიტო ტარიფი როგორ არ გამოაკლდება აღნიშნულ თანხას (?!).

ამრიგად, თუ მოხერხდება კონსორციუმის ირგვლივ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება, „სამხრეთის ნაკადი“, ამ ეტაპზე, დაკარგავს აქტუალობას რუსეთისათვის, თუმცა მოსალოდნელია, მოსკოვმა იგი გამოიყენოს, როგორც ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ევროკავშირზე ზეწოლის იარაღი. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მომავალში მოსალოდნელია, „გაზპრომმა“ გაანახევროს გაზსადენის საპროექტო სიმძლავრე, მაგრამ თვითონ პროექტს, სავარაუდოდ, შეინარჩუნებს — თუნდაც მომავალში, ცენტრალური აზიისა და ირანის გაზის ტრანზიტის მიზნით. ეს კი ჩინეთის მიერ თურქმენული, უზბეკური და ყაზახური გაზით მზარდი დაინტერესების ფონზე, მოკლევადიან პერსპექტივაში, ნაკლებადაა მოსალოდნელი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საბოლოო ჯამში, „სამხრეთის ნაკადის“ ყოფნა-არყოფნა მაინც მის უმთავრეს კონკურენტებზე – ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მათგანია „ტრანსკასპიური გაზსადენი“.

## ესკალაცია „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის გამო

ამჟამად, ბრიუსელში ევროკავშირის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის დელეგაციები განიხილავენ „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მშენებლობის საკითხს. უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია ამ მიმართულებით დიპლომატიური აქტივობის ზრდა, რასაც, სავარაუდოდ, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის მიმართ რუსეთისა და ირანის მკვეთრად ნეგატიური რეაქცია მოჰყვება.

სამხრეთ კავკასიის გავლით, თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების თაობაზე, ბრიუსელში ორი დოკუმენტი მზადდება: 1) ევროკავშირის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პოლიტიკური დოკუმენტი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მხარდაჭერის შესახებ; 2) „ტრანსკასპიურ გაზსადენზე“ თურქმენეთ-აზერბაიჯანის სამთავრობოთაშორისო შეთანხმების პროექტი.

სავარაუდოდ, აღნიშნულ მოვლენებს ევროკავშირი აჩქარებს იმის გამო, რომ გასული წლის ბოლოს, თურქეთი და აზერბაიჯანი შეთანხმდნენ „შაჰ-დენიზის“ მეორე სტადიის (ყოველწლიურად 10 მლრდ კუბმეტრი ევროპისთვის, 6 მლრდ — თურქეთისთვის) გაზის ევროკავშირის საზღვრებამდე, „ტრანსანატოლიური გაზსადენით“ ტრანსპორტირებაზე. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს თურქეთ-ევროკავშირის საზღვრიდან აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირების განმახორციელებელი კომპანიის ტენდერის გზით შერჩევა. „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალიის“ (ITGI) და -ის „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული გაზსადენის“ კონსოციუმების მიერ ტენდერის დატოვების შემდეგ, მასში მონაწილეობას განაგრძობენ „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ (TAP) და „ნაბუქოს“ (ის მოდიფიცირებულ პროექტს — „ნაბუქო-უესტს“ ლობირებს) კონსორციუმები. ტენდერის დასრულება ა/წლის 30 ივნისსაა ნავარაუდევი, თუმცა თავდაპირველად, ბაქო ირწმუნებოდა, რომ 1 მარტისათვის გამარჯვებული კომპანია ცნობილი იქნებოდა.

ზოგიერთი ექსპერტი ტენდერის გაჭიანურებას ბაქოს ორმაგ თამაშს უკავშირებს. კერძოდ, სატენდერო კომისიაში მყოფ დასავლურ და თურქულ მონაწილეებზე ზეწოლისთვის, ბაქომ კვლავ გაააქტიურა თხევადი გაზის „სოკარის“ ყულევის ტერმინალიდან (BST Ltd.) რუმინეთის პორტ კონსტანცაში ტანკერებით ტრანსპორტირების „აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი ინტერკონექტორის“ (LNG AGRI) პროექტი. ასევე, ბაქოსა და ამანს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები თხევადი გაზის იორდანიის პორტ აკაბაში ტრანსპორტირებაზე. მეტიც, იორდანიის ამ პორტში სრულადება თხევადი გაზის ტერმინალის აგება, რათა მოხდეს შავი და ხმელთაშუა ზღვების გავლით, შედარებით იაფი მარშრუტით, აზერბაიჯანული (მომავალში კი, თურქმენული) თხევადი გაზის ირანის გვერდის ავლით, ახლო აღმოსავლეთში ტრანსპორტირება.

სავარაუდოდ, იორდანია და უკრაინა ზემოაღნიშნული ტერმინალების აგებას სწორედ AGRI-ს პროექტს უკავშირებენ. თავის მხრივ, თურქმენეთი და აზერბაიჯანი ენერგომატარებლების ექსპორტის (მათ შორის AGRI-ს გამოყენებით), დივერსიფიკაციის მომხრეა. თანაც, თურქმენეთი დღემდე არ ღალატობს პრინციპს, რომლის თანახმადაც, იგი მის ტერიტორიაზე მოპოვებულ ნახშირწყალბადებს საკუთარ საზღვარზე ჰყიდის და მათ შემდგომ ტრანსპორტირებაში არ მონაწილეობს.

ეს ორი ქვეყანა, ექსპორტის მრავალვექტორულობის თვალსაზრისით, დაბლოკილია კასპიის ზღვის სტატუსის გამო. ეს თავის მხრივ, განაპირობებს „ტრანსკასპიურ გაზსადენთან“ დაკავშირებულ ყველა ხელშეკრულებაზე კასპიისპირა სახელმწიფოების, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და ირანის თანხმობის საჭიროებას. ამას ემატება სასაზღვრო დავები თურქმენეთსა და აზერბაიჯანს შორის სამი ოფშორული საბადოს: „სერდარის“ (აზერბაიჯანულად „კიაფაზი“), „ომარისა“ („აზერი“) და „ოსმანის“ („ჩირაღი“) ირგვლივ, თუმცა ბოლო დროს, ბაქოსა და აშგაბატს შორის ურთიერთობაში, დადებითი ძვრები შეინიშნება. ბრიუსელში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, „ტრანსაკასპიური გაზსადენის“ გარდა, სხვა ალტერნატივებიც განიხილება. კერძოდ, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კასპიის თურქმენეთის სექტორში გაზის მომპოვებელი მოწყობილობები შეიძლება, რამდენიმე მცირე „ტრანსკასპიური“ მილით მიუერთდეს აზერბაიჯანის სექტორში მდებარე მოწყობილობებს, რომლებიც უკვე ევროპასთან დამაკავშირებელი მილსადენების ნაწილია. ასეთი მიერთება არ მოითხოვს კასპიის ზღვის თურქმენულ და აზერბაიჯანულ სექტორებს შორის საზღვრის გავლებას ან კასპიის სტატუსზე ხუთივე ქვეყნის შეთანხმებას. არც ისაა აუცილებელი, ორმა ქვეყანამ ითანამშრომლოს რესურსების ერთობლივ ათვისებაში. კერძოდ, თუ ამ სახელმწიფოებს შორის, ბრიუსელში, ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებებზე, მიიღწევა კონსენსუსი და ისინი ზღვის ფსკერზე მოწყობილობების დამაკავშირებელი მილსადენების მშენებლობას უცხოურ კომპანიებს მიანდობენ, მაშინ „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პრობლემა ტექნიკური გადაწყვეტილების მიღებით შეიძლება მოგვარდეს. ასევე, ზემოაღნიშნული გზით, „ტრანსკასპიური გაზსადენის“ მონტაჟის პარალელურად, შესაძლებელია თურქმენეთიდან აზერბაიჯანში თხევადი გაზის (LNG) ტანკერებით ტრანსპორტირებაც, რასაც კასპიის ორივე ნაპირზე ტერმინალების შექმნა და ტანკერების ფლოტის აგება დასჭირდება. ამ პროცესში ბრიუსელის შუამავლობა აღნიშნული მატერიალური პრობლემების გადაწყვეტის გარანტია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის მიმდინარე ბრიუსელის მოლაპარაკებებზე, სავარაუდოდ, მალე პროგრესი მიიღწევა. ამასთან, ამ ქვეყნების ოფშორებიდან გაზის მოწყობილობების ქსელის რამდენიმე „ტრანსკასპიური გაზსადენით“ დაკავშირება და ტანკერების გამოყენება, კასპიის სტატუსზე რუსეთისა და ირანის ერთობლივ პოზიციას, იურიდიულ არგუმენტს „გამოაცლის“.

*დასასრული მე-14 გვერდზე*

# ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი ტუალეტების გარეშე!



თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**ქუთაისისა და იმერეთის ტურიზმის განვითარება, ქალაქგანვითარების სოციალური და პოლიტიკური ასპექტები — ქუთაისში მხარის ტურისტულ განვითარებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს. ამჯერად, დისკუსიის ორგანიზატორი ჰაინრიხ ბიოლის ფონდი იყო. არქიტექტორ-ურბანისტმა, ვლადიმერ ვარდოსანიძემ და ქუთაისის მერიის ეკონომიკური სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, კოტე ჭარხალაშვილმა ქალაქის ტურისტულ პოტენციალზე სამოქალაქო სექტორს საკუთარი და ექსპერტთა მოსაზრებები გააცნეს. გაირკვა, რომ ტურიზმის განვითარებას ბევრი ისეთი ნიუანსი განაპირობებს, რომლებზეც ალბათ, არც რიგით ქუთაისელს უფიქრია და არც ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებს. ვლადიმერ ვარდოსანიძის თქმით, თითქმის ყველა ქალაქს საკუთარი სლოგანი გააჩნია, ქუთაისს კი ე.წ. სავიზიტო ბარათადქცეული წინადადება ჯერ არ აქვს.**

**„არ შეიძლება, ქალაქი ვითარდებოდეს და მასშტაბურად იცნობდნენ, თუ მას არ აქვს სლოგანი, რომლითაც ქალაქის არსი უნდა გამოიხატებოდეს. სლოგანი ყველა ქალაქს აქვს, მათ შორის თბილისსაც, რომელიც ტურისტებს ძალიან ხიბლავს — „ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“, ასევე ყველასთვის ცნობილია ევროპული ქალაქების სლოგანები, მაგალითად I'M SDERDAM, C- OPEN –HAGAN, I LOVE NY და ასე შემდეგ. ყველა ინდივიდუალურია და ამიტომ, მინდა, ვურჩიო ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას, გამოაცხადოს კონკურსი ქალაქის სლოგანზე. ეს ტურისტებისთვის ბევრს ნიშნავს“, —** აღნიშნავს ვარდოსანიძე და განმარტავს, რომ ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარების კიდევ ერთი შემაფერხებელი ბარიერი, ქუთაისში საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობაა:

**„ქუთაისს, ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ეს სფერო ვერ განვითარდება საზოგადოებრივი საპირფარეშოების გარეშე, ამიტომ აუცილებელია, ქალაქში მეტი რაოდენობით საზოგადოებრივი ტუალეტი მოეწყოს, რადგან ტურისტს, რომელიც უცნობ ქალაქში ჩამოდის, აბსოლუტურად კომფორტული გარემო დახვდეს. ძალიან კმაყოფილი ვარ აქტივობის და მიხარია, რომ ქუთაისში მოქალაქეობრივად მოწიფული საზოგადოებაა, რაც ქალაქის შემდგომი განვითარების საწინდარი გახლავთ. აქ მარტო ფინანსები ბევრს არაფერს წყვეტს, ადამიანების რესურსია გადამწყვეტი“.**

ეკონომიკური სამსახურის უფროსის, მალხაზ ჭრელაშვილის განცხადებით, შემუშავების პროცესშია ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ტურიზმის განვითარების ასპექტებს მოიცავს და მათ შორის ქუთაისის სლოგანსაც:

**„ჩვენ კომპეტენტურ ადამიანებსა და არასამთავრობო სექტორთან ერთად, შევიმუშავეთ ქუთაისის განვითარების სტრატეგიული გეგმა. იქ ბევრ ნიუანსზეა საუბარი. ვიცით, ტურიზმის განვითარებისთვის ბევრი რამაა საჭირო, დოკუმენტმა სრულყოფილი სახე რომ მიიღოს, მუშაობა მე ეტაპზე მიდის. რაც შეეხება ქალაქის სლოგანს, აღნიშნულ დოკუმენტში არის რამდენიმე სლოგანი, რომელიც ქალაქს უნდა მიენიჭოს“.**

საგულისხმოა, რომ ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმა მერის კაბინეტში კარგა ხანია დევს, თუმცა ის არც წინა მერს და არც ამჟამინდელს არ განუხილავს. ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებზე ისაუბრა მერიის ეკონომიკური სამსახურის ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელმა კოტე ჭარხალაშვილმაც, რომლის განმარტებით, ტურიზმი, გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია, თუმცა ამ სფეროს სრულყოფისათვის, რიგი საკითხები ჯერ კიდევ დასაგეგმია:

**„ტურიზმი ეკონომიკის პროდუქტია, რომელიც განსაზღვრავს, როგორია ქვეყნის ეკონომიკა. ქუთაისს ტურისტულ სფეროში მზარდი შესაძლებლობები აქვს, თუმცა ამ კუთხით, აუცილებელია სამომავლო პრიორიტეტების კარგად დაგეგმვა. ბევრი შენიშვნაა შემოსული ტრანსპორტის სფეროსთან დაკავშირებით და ეს საკითხი კრიტიკას ვერ უძლებს. საუბარია მოუწესრიგებელ სამგზავრო ავტობუსებზე, დეფიციტია სასტუმროების მხრივაც — ქალაქში არსებული სასტუმროები შემოსული ტურისტების მისაღებად არასაკმარისია. საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელია საზოგადოების ჩართულობა ყველა იმ საკითხში, რომელიც მას ეხება. დღევანდელი საზოგადოების განვითარების უმთავრესი პირობა საზოგადოებრივი აზროვნების ზრდა, მის მენტალობის გაუმჯობესება, იმ დემოკრატიულ საფუძვლებზე დაქვემდებარებაა, რომლის გარეშე საზოგადოება ალბათ გადაიჩეხება, ამდენად ასეთი დისკუსიები სასიცოცხლოდ აუცილებელია“.**

საპარლამენტო ქალაქის ტურისტულ პოტენციალს ქალაქის ყოფილი მერი და ამჯერად, საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი თევდორაძეც აფასებს:

**„ქალაქის შიდა სტრატეგიული განვითარება მნიშვნელოვანი საკითხია. ქუთაისი საპარლამენტო ქალაქია და კარგი იქნება, ამ კუთხით მოქალაქეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ეს პროცესი დადებითი ძვრების მანიშნებელია. ჩვენ ეს პროექტი დაწყებული გვქონდა ჩემი მერობის პერიოდში, თუმცა მიზეზთა გამო, შეჩერდა. ამ პროცესების გაგრძელება, ახალი ხელისუფლების პრიორიტეტებში, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ნებისმიერი ქალაქის განვითარებისთვის“.**

*მე-13 გვერდიდან*

ასეთ შემთხვევაში ერთადერთი, რითაც მოსკოვი და თეირანი პრობლემებს შეუქმნიან კასპიის გავლით ცენტრალური აზიის გაზის ტრანსპორტირებას, არა ამ ზღვის სტატუსის დაუდგენლობა ან სასაზღვრო დისპუტები, არამედ უკვე სამხედრო ძალის გამოყენების ღია მუქარა იქნება. ეს ვარაუდი იმითაც მყარდება, რომ თუ არ მიიღებს „გაზპრომი“ ცენტრალური აზიიდან საჭირო რაოდენობის გაზს, მაშინ არა მარტო „სამხრეთის ნაკადი“, არამედ უკრაინის გაზსატრანსპორტო ქსელიც ნახევრად შეივსება.

## ევროპის გაზმომარაგებას „გაზპრომი“ 2017 წლამდე ვეღარ გაზრდის

ა/წლის თებერვლის დასაწყისში „გაზპრომმა“ შეამცირა ევროპის უკრაინის „გაზის ქსელით“ (ГТС) მომარაგება. პარალელურად, სხვა რუსული გაზსადენებით გაზის მიწოდება გაიზარდა. მართალია, „გაზპრომმა“ თითქმის სრულად შეასრულა არსებული კონტრაქტები, მაგრამ თვით რუსეთში გაზის მოთხოვნის პიკზე, ენერგო-გიგანტი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ევროპაში მოთხოვნის მეტად ზრდის (კონტრაქტების ზემოთ) შემთხვევაში, გაუჭირდება მომხმარებელთა დაკმაყოფილება.

არსებული ინფორმაციით, ცალკეულ პერიოდებში სლოვაკეთის, ავსტრიის, უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთისა და გერმანიის გაზმომარაგება 6-დან 30%-მდე შემცირდა (დაკონტრაქტებული გაზის მოცულობიდან გამომდინარე). ყველაზე დიდი პრობლემა იტალიას შეექმნა, სადაც გაზის მოხმარების ისტორიული მაქსიმუმის პირობებში, რუსული გაზის მიწოდება, დაკონტრაქტებულ მოცულობასთან შედარებით, 25-30%-მდე დაეცა, თუმცა აპენინებზე სიტუაცია კონტროლიდან არ გამოსულა.

მთლიანობაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ „გაზპრომის“ ევროპელმა კონტრაქტორებმა შეძლეს, რუსული გაზის დეფიციტი შეევსოთ ევროპის სტრატეგიული რეზერვებიდან და სხვა მომწოდებლებიდან მიღებული საწვავით. მაგალითად, რუსული გაზმომარაგების შემცირების გამო, იტალიურმა „ენიმ“ გაზარდა გაზის შესყიდვა ალჟირიდან და ჩრდილოეთ ევროპიდან, ამ დროს, რუსეთმა ჩრდილოეთ ევროპის გაზმომარაგებას მოუმატა.

ამჟამად, რუსული წყაროების ცნობით, ევროპაში გაზის მიწოდება აღდგენილია და თუ 2010 წელს რუსეთი ევროპის გაზის ბაზარზე 23%-ს აკონტროლებდა, 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ გავლენით, აფრიკიდან გაზმომარაგების შემცირების ხარჯზე, მისი წილი 27%-მდე გაიზარდა. 2012/2013 წლის მკაცრი ზამთრის გამო, უკვე 33%-იანი წილით, ევროკავშირის გაზმომარაგებაში კვლავ „გაზპრომი“ ლიდერობს. ეს მაშინ, როდესაც 2000 წლიდან დაწყებული, თვით ევროპული ენერგო-კომპანიების გაზის მოპოვება — 285 მლრდ კუბმეტრი, ადგილობრივი მოხმარების 16%-იანი ზრდის პირობებში, პრაქტიკულად, არ გაზრდილა, თუმცა ბაზრის 33% ის ზღვრული მაჩვენებელია, რომელსაც სავარაუდოდ, რუსეთი 2017 წლამდე ანუ ბარენცის ზღვის ოფშორზე „შტოკმანის“ ახალი საბადოს ათვისების დაწყებამდე, ვეღარ გადალახავს. ნათელია, რომ დაწყებული 2006 და 2009 წლებიდან ძლიერი ყინვების დროს გაზმომარაგების შეფერხებებს, უკვე ტენდენციის სახე აქვს. წლეულს ამ შეფერხებებზე რუსული ოფიციოზის თავდაპირველი რეაქცია ისევე, როგორც 2006 და 2009 წლებში, საკმაოდ წინააღმდეგობრივი იყო. ა/წლის თებერვალშიც, ადრინდელივით, კიევისა და მოსკოვის ურთიერთბრალდებების ფონზე, რუსეთიდან ქაოსური სიგნალები იგზავნებოდა, — გაზმომარაგების რაიმე დონით შემცირების კატეგორიულად უარყოფიდან და უკრაინის მიერ გაზის არასანქცირებულად მოხმარებიდან დაწყებული, გაზის ზედმეტად მიტაცებაში ევროპელების დადანაშაულებით დამთავრებული. რუსეთის მთავრობა და „გაზპრომი“, საწვავის ძალზე მაღალი ფასების პირობებში, ვერ ხსნიან გაზმომარაგების შეწყვეტას თავის ყველაზე მნიშვნელოვან – ევროპულ ბაზარზე. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს რუსეთის ნომერპირველი კომპანიის შიგნით არსებულ საორგანიზაციო პრობლემებზე, მეტყველებს მენეჯმენტის რეაგირების არასაკმარის უნარზე. გარდა ამ სიღრმისეული პრობლემებისა, ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ „გაზპრომიდან“ ევროპის გაზმომარაგების შეფერხებას სხვა მიზეზებიც აქვს.

პირველ მიზეზად მიიჩნევენ ყინვებს ევროპასა და რუსეთში, რამაც მოხმარების სწრაფი ზრდა გამოიწვია. მეორე და უმთავრესია, მომპოვებელი რეგიონებიდან (დასავლეთ ციმბირი) გაზის დამატებითი მოცულობების რუსეთის ევროპულ ნაწილამდე სწრაფი გადამისამართების შეუძლებლობა, რისთვისაც გაზსაცავებია საჭირო, თუმცა „გაზპრომმა“ არ შეასრულა ასეთი საცავების ციმბირში აშენების 2005-2010 წლების გეგმა. ამის ნაცვლად, რუსულმა მონოპოლისტმა „ჩრდილოეთის ნაკადის“ აგება დაიწყო. ამავდროულად, ბოლო ექვს წელიწადში ციმბირში მოპოვება დღეში მაქსიმუმ 200 მლნ კუბმეტრამდე შემცირდა.

აღნიშნული მიზეზებით გამოწვეულმა გაზმომარაგების პრობლემებმა ევროპელთა თვალში კიდევ ერთხელ შეარყია „გაზპრომის“, როგორც საიმედო პარტნიორის რეპუტაცია. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობა ცდილობს, ევროკავშირი დაარწმუნოს, რომ თუ უკრაინა პერიოდულად არ მიითვისებს ტრანზიტულ გაზს, მაშინ „გაზპრომი“ უზრუნველყოფს ევროპის ენერგობაზარს. ამ ზამთრის პრობლემებს პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არგუმენტად იყენებს რუსული „სამხრეთის ნაკადის“ რაც შეიძლება სწრაფად აშენებისა და „ჩრდილოეთის ნაკადის“ მშენებლობის გაგრძელებისთვის. თავის მხრივ, „გაზპრომის“ შეფმა, ალექსეი მილერმა განაცხადა, რომ ვიდრე იარსებებს ევროპის ენერგობაზრის ლიბერალიზაციის ე.წ. მესამე პაკეტის პრობლემა (რაც, ვითომდა ხელს უშლის ევროკავშირში რუსული კომპანიის საქმიანობას), მანამდე რუსეთმა შეიძლება, ვერ შეძლოს ევროპის სრული გაზმომარაგება.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ ევროპაში საწვავის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ევროკავშირმა, რომელიც ახლა სავალო პრობლემების დაძლევითაა დაკავებული, არ გადადოს გაზმომარაგების რუსეთის გვერდის ავლით, კასპიისპირეთიდან დივერსიფიკაციის საკითხი. მკაცრმა ამინდებმა გამოაჩინა „გაზპრომის“ როგორც ტექნიკური, ისე კანონმდებლობასთან თავსებადობის პრობლემები. რუსეთის ხელისუფლება კი ამ პრობლემების თავის სასარგებლოდ ინტერპრეტირებას ცდილობს.

ამასთან, კასპიისპირეთის გაზის მარაგები იამალისა და ციმბირისას არ ჩამოუვარდება. თანაც, კასპიის „შაჰ-დენიზისა“ (აზერბაიჯანი) და „გალკინიშის“ (თურქმენეთი) გაზის მოპოვება და ევროპაში გაგზავნა იაფია. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უახლოეს ორ ათწლეულში, ევროპის მილსადენებით გაზმომარაგების მატება, უმთავრესად, კასპიისპირეთიდან მოხდება. ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში შესაძლებელია არა ერთი, არამედ რამდენიმე გაზსადენის აშენება.

ამრიგად, მოყვანილი არგუმენტები ამტკიცებს, რომ უახლოეს წლებში, „გაზპრომს“ აღარ შეეძლება ევროკავშირის გაზმომარაგების მცირე ოდენობითაც კი გაზრდა, რაც შეარყევს ენერგობაზარზე მის მონოპოლიურ მდგომარეობას. ეს, თავის მხრივ, ადასტურებს ევროპაში კასპიის ჰიდროკარბონების სამხრეთ კავკასიის მარშრუტებით ტრანსპორტირების დროულად დაწყების აუცილებლობას.

# „სამხრეთის ნაკადს“ ყველა პრობლემა არ გადაუჭრია



# რომის პაპს გილიოტინის ეშინია!





ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

**ბავშვობაში ეგონა, რომ მღვდლობა უფლის ვენახში ვაზის მოვლაა... ხშირად წარმოიდგენდა, თითქოს, ვაზებს შორის დადიოდა და ღმერთს ემსახურებოდა. როცა ოცნება აისრულა, მიხვდა, რომ უფლისმსახურება იმაზე მძიმე ტვირთია, ვიდრე — ვენახში სიარული. ამბობენ, იოანე პავლე მეორეს მსგავსი ქარიზმა არ აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, აქვს ლოგიკა, ჭკუა, იუმორი და ტალანტიო... იტალიაში სწამთ, რომ მის უწმინდესობა ბენედიქტ XVI-ზე მაღლა მხოლოდ ღმერთია! მიუხედავად ამისა, ბევრმა გაკიცხა იგი მას შემდეგ, რაც გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება, მიზეზად კი, ასაკი დაასახელა. ასეთი რამ, ბოლო 500 წლის განმავლობაში არ მომხდარა და მაინც, 17 თებერვალს, წმინდა პეტრეს მოედანზე, ბენედიქტ XVI-ს ერთ-ერთ ბოლო საჯარო გამოსვლას ათობით ათასი ადამიანი დაესწრო, ტრანსფარანტებით, „ჩვენ გვიყვარხარ შენ!“. ბენედიქტ XVI-ს პაპის რანგში მცირე ღონისძიებები და შეხვედრები კვლავ აქვს გასამართი. მაგალითად, 23 თებერვალს, იგი იტალიის პრეზიდენტს უნდა შეხვდეს. თვის ბოლო დღეს, 28 თებერვალს კი, ბენედიქტ XVI პაპის მანტიას ოფიციალურად გაიხდის.**

## ბენედიქტ XVI-ის „ნაცისტური“ წარსული და საბედისწერო შეცდომა

### თოვლი აპრილში და „მოცარტული ბავშვობა“

იოზეფ ალიოზ რატცინგერი სამყაროს 1927 წლის 16 აპრილს, დიდ შაბათს, პატარა ქალაქ მარკტლ-ამ-ინნში, ბავარიასთან ახლოს მოევლინა. დაბადებიდან 4 საათის შემდეგ მოწმენდილ, მზიან ამინდში ბარდნა დაიწყო. ეს მღვდელმსახურებმა სასწაულად მიიჩნიეს და გამონაკლისი დაუშვეს — ახალშობილი იმავე დღეს, ღია ცისქვეშ მონათლეს. იოზეფ ალიოზ რატცინგერი პირველი ბავშვი იყო, რომელიც აღდგომის წინა დღეს მოინათლა. საერთოდ, მის ცხოვრებაში სიმბოლურად ბევრი რამ მოხდა. მისი მშობლების სახელებიც სიმბოლური და მრავლისმეტყველია — ჟანდარმერიის თანამშრომელ მამას იოზეფი (იოსები) ერქვა, დედას — მარია (მარიამი). ქალბატონი მარია პეიტნერი გათხოვებამდე თავს სასტუმროებში მზარეულად მუშაობით ირჩენდა, გათხოვების შემდეგ კი, მუშაობას თავი დაანება, რადგან ღარიბი წყვილისთვის სამი შვილის აღზრდა ადვილი არ იყო. იოზეფი, მარიასა (1991 წელს გარდაიცვალა) და გეორგის შემდეგ რატცინგერების ოჯახში ნაბოლარა იყო.

მშობლები ამაყობდნენ, რომ ჰიტლერს არ სცნობდნენ, რომ მამამისის ბიძა გერმანიის პარლამენტ რაიხსტაგის წევრი იყო და გერმანელი მიწათმფლობელების უფლებებს იცავდა.

იოზეფი ორი წლის იყო, როცა პოლიციელი მამა იძულებული გახდა, ოჯახი საცხოვრებლად ავსტრიის საზღვართან, სოფელში გადაეყვანა. 1932 წელს კი რატცინგერები ალპურ ქალაქ აუშაუში გადასახლდნენ, თუმცა დიდხანს არც იქ გაჩერებულან. მერე, პატარა სახლი ქალაქ ტრაუნშტაინში შეიძინეს. მოგვიანებით, კარდინალი იოზეფი იტყვის: **„ალბათ, კარგი იქნებოდა, ბავშვობის წლები ერთ ადგილთან ასოცირდებოდეს, მაგრამ ასე არაა. საცხოვრებელს მუდმივად ვიცვლიდით. მიუხედავად ამისა, კათოლიკე, მოკრძალებულმა მშობლებმა შეძლეს, ჩემთვის „მოცარტული“ გარემო შეექმნათ. მათი მადლობელი ვარ! ძალიან ჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე და, ალბათ, ამიტომ თავს ჩვეულებრივ ადამიანად უფრო ვგრძნობ, ვიდრე — კარდინალად!“**

### კარდინალობაზე მეოცნებე „ნაცისტი“ ტყვე

ერთხელ, 5 წლის იოზეფმა მანქანაში კარდინალი ფაულხაბერი დაინახა და წამოიყვირა: „რომ გავიზრდები, კარდინალი ვიქნები“... მშობლებს მაშინ ამ ფრაზისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. 7 წლის ასაკში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ საეკლესიო პირი უნდა გამხდარიყო. იგივე გეგმები ჰქონდა მის ძმასაც.

1937 წელს „ანტინაცისტმა“ მამამ 10 წლის იოზეფი ტრაუნშტაინის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა. ორ წელიწადში კი, სემინარიის მოსწავლე გახდა და, ფაქტობრივად, მისი საეკლესიო კარიერაც დაიწყო. სემინარიაში შესვლის აღსანიშნავად, მშობლებმა საეკლესიო წიგნები უყიდეს, რომლებსაც იოზეფი ყოველ ღამით, დიდი ინტერესით კითხულობდა. მოგვიანებით, კარდინალი იოზეფი ერთ-ერთ წიგნს წააწერს: **„რელიგია ჩემთვის რაციონალურ თავგადასავლად იქცა...“**

სკოლაში ახალგაზრდულ ფაშისტურ ორგანიზაცია „ჰიტლერიუგენდში“ გააწევრიანეს. მაშინ ეს ვალდებულება იყო. ორგანიზაციის წევრებს სწავლის საფასურზე შეღავათებსაც უწესებდნენ. იოზეფს არასოდეს დაუმალავს, რომ „ჰიტლერიუგენდში“ რამდენჯერმე მივიდა და „სწავლის საფასურის შემცირების მიზნით,



დაფიქსირდა“. მისი ბიოგრაფი ჯონ ალანაც ადასტურებს, რომ იოზეფი „ჰიტლერიუგენტის“ აქტიური წევრი არასოდეს ყოფილა, თუმცა მიუხედავად ამისა, ფაშისტურ ორგანიზაციაში წევრობას ხალხი ცუდად უხსენებს. პაპად არჩევის შემდეგ, გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები მყვირალა სათაურით — „ვატიკანში პაპად ყოფილი ნაცისტი აირჩიეს!“. ამბობენ, ამ ფაქტმა გული ძალიან დასწყვიტა, თუმცა კომენტარი არ გაუკეთებია.

ომის დროს, ახალგაზრდა იოზეფი სამხედრო ავიაციის წევრი გახდა, პარალელურად, მიუნჰენის გიმნაზიაში სწავლობდა. 1944 წელს, 17 წელი შეუსრულდა თუ არა, ავსტრიის ლეგიონში გაიწვიეს. ამბობს, რომ ეს პერიოდი მისი იდეოლოგიური ჩამოყალიბების ხანაა. 1945 წელს მშობლიურ ტრაუნშტაინში დაბრუნდა. სამხედრო ფორმა გაიხადა, სკივრში ჩაკუჭა, ზედ ჩამოჯდა და გადაწყვიტა, ომისა და ჯარისკაცობის წლები აღარასოდეს გაეხსენებინა. ალბათ, ბედის ირონია იყო, მეორე დღესვე ამერიკელებმა შტაბი მის სახლთან გახსნეს, რატცინგერების ოჯახი გაჩხრიკეს და სამხედრო ფორმაც აღმოაჩინეს. გერმანელ ჯარისკაცს ფორმის ჩაცმა უბრძანეს, მერე, ხელები თავზე შემოაწყობინეს და ნოიულმში წაიყვანეს, სადაც 50 000-ზე მეტი სამხედრო ტყვე ღია ცისქვეშ ჰყავდათ. რამდენიმე დღის შემდეგ, ამინდი შეიცვალა, წვიმა დაიწყო და ტყვე-იოზეფის ცხოვრებაც ნამდვილ ტანჯვად იქცა. ყოველ საღამოს, ხის ქვეშ შეიყუჟებოდა და სახლიდან წამოღებულ რვეულში თავის ემოციებს აღწერდა. წერდა, ყოველდღე როგორ ხვრეტდნენ მის თვალწინ ახალგაზრდა სამხედრო ტყვეებს და თავადაც როგორ ელოდა სიკვდილს. თვენახევრის შემდეგ სასწაული მოხდა — მას განუცხადეს, საეჭვო შენში ვერაფერი აღმოვაჩინეთო და შინ გაუშვეს. რატომ? — ამ კითხვაზე პასუხს თავად იოზეფი დღემდე ვერ პოულობს. სამაგიეროდ, მისმა ძმამ განაცხადა: **„ეს იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი გადაწყვეტილება მღვდლობის შესახებ მცდარი არ არის. იოზეფს კი უფალი, თურმე, პაპობისთვის ამზადებდა“.**

### „პაპის როტვეილერი“

მომავალმა პაპმა 1951-1952 წლებში ფილოსოფიის უმაღლესი სკოლა დაასრულა და მიუნჰენის უნივერსიტეტში თეოლოგია შეისწავლა. 1951 წელსვე, ძმასთან ერთად, ფრაიზინგის საკათედრო ტაძარში მღვდლად აკურთხეს.

1952-59 წლებში ფილოსოფიისა და მღვდელმსახურების უმაღლესი სკოლა გაიარა. 31 წლის ასაკში ფრაიზინგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი გახდა და ლექციებს კითხულობდა ბონის, მიუსტერის, ტიუბინგენისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში. პროფესორ იოზეფს ერთხელ მეგობარმა უნივერსიტეტამდე მანქანით წაყვანა შესთავაზა. გზად, ბავარიული ლუდი დალიეს. პოლიციამ გააჩერა, ნასვამი მღვდელი დააჯარიმა და ირონიულად მიუგო: „ახლა წაბრძანდით, ნამდვილად უფლის გზას ადგახართ“. ინფორმაციამ გაჟონა და მალე პრესაში სტატიაც დაიწერა სათაურით, „მთვრალი ბავარიელი მღვდელი“.

1969-1977 წლებში იოზეფი ვატიკანის საერთაშორისო სამღვდელოების კომისიის წევრი გახდა. ვატიკანის II მსოფლიო კრების დროს, კიოლნის კარდინალის იოზეფ ფრინგსის მრჩეველი იყო. 1977 წელს, პაპმა, პავლე VI-მ მიუნჰენისა და ფრაინზინგის არქიეპისკოპოსად დანიშნა. იმავე წელს მიანიჭეს კარდინალის წოდებაც. 1981 წლიდან პაპად არჩევამდე, კათოლიკური ეკლესიის ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ლიბერალიზმის მომძლავრებისგან იცავდა (განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპაში). წინ აღუდგა მღვდელთა პოლიტიკურ (სოციალისტურ) აქტიურობებს ლათინურ ამერიკაში და ეკლესიების „პოლიტიკურ ტრიბუნად“ გამოყენება აკრძალა.

1972 წელს მან, გ.უ. ფონ ბალთაზარსა და ანრი დე ლიუბაკთან ერთად, კათოლიკური სასულიერო ჟურნალი „კომუნიო“ დააფუძნა, რომელიც დღესაც გამოდის.

2002 წელს ვატიკანში ყველაზე გავლენიან ადამიანად ითვლებოდა და „პაპის მარჯვენა ხელსა“ და „პაპის როტვეილერსაც“ უწოდებენ. ფაქტობრივად, ამ პერიოდში, უკვე ყველასთვის ნათელი იყო, რომ იოანე პავლე II მას მემკვიდრედ ამზადებდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „ლიბერალი მღვდლების“ სახით, ბევრი მტერი ჰყავდა და იმის გარანტია, პაპად აირჩევდნენ, არ არსებობდა.

### ვატიკანური გილიოტინა

2005 წლის აპრილის დასაწყისში, იოანე პავლე II-ს გარდაცვალების შემდეგ, ვატიკანში ახალ პაპს ირჩევდნენ. კენჭისყრა სამჯერ ჩატარდა. 78 წლის იოზეფის მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ პაპის წმინდა ტახტზე გაცილებით ახალგაზრდა ადამიანი უნდა ასულიყო. თავად იოზეფიც „ულიმღამო“ კამპანიას აწარმოებდა. არჩევნების წინ უცნაური გამოსვლა ჰქონდა და შეფარვით მიანიშნა, რომ მასზე გაცილებით ახალგაზრდა, ღირსეული კანდიდატები არსებობდნენ. „პაპის როტვეილერი“ უცებ ლმობიერ ფინიად გადაიქცაო, — ითქვა მაშინ ვატიკანში, მაგრამ „ღმერთმა ყველაფერი სხვაგვარად გადაწყვიტა“ და 19 აპრილს, ხმათა უმრავლესობით, იოზეფ რატცინგერი რიგით 265-ე პაპად აირჩიეს.

გამარჯვების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი სახელის არჩევა იყო. როგორც წესი, ახლადარჩეული პაპი იმ წინამორბედის სახელს ირჩევს, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონდა. სახელის არჩევით იმის გათვლაც შეიძლება, როგორი პოლიტიკა ექნება ახალ პაპს. ყველას ეგონა, იოზეფი იოანე პავლე III გახდებოდა, მაგრამ მან ბენედიქტ XVI დაირქვა, ბენედიქტ XV-ის პატივსაცემად, რომელიც ვატიკანში ომის დროს აირჩიეს. ექსპერტებისთვის გასაგები იყო, მისი პოლიტიკა მშვიდობიანი იქნებოდა და მშვიდობისმყოფელ იოანე პავლე II-ს პოლიტიკაც შენარჩუნდებოდა.

ზარების რეკვის ფონზე, ახლადარჩეულმა პაპმა ჯერ „მაგიურ სარკმელში“ გამოიხედა და ხალხს ხელი დაუქნია, შემდეგ კი, აივანზე გამოვიდა და წარმოთქვა სიტყვა, რომელიც წინასწარ მომზადებული არ ჰქონდა. ექსპერტები ამბობენ, რომ ამ სიტყვით მისი პიროვნების შესახებ ყველაფერი ნათქვამია: **„ბავშვობაში მღვდლობა ღმერთის ვენახში ყურძნის მოვლა მეგონა. როცა მღვდლად ვეკურთხე, მივხვდი, ეს მძიმე ტვირთია. ვინც ეკლესიაში კომფორტს ეძებს, მისამართი შეეშალა. მეგონა, დედამიწაზე ჩემი მისია უკვე შევასრულე. მინდოდა, სიბერე მშვიდად გამეტარებინა, ამიტომ ღმერთს მთელი არჩევნების განმავლობაში ვევედრებოდი, ეს არ დაუშვა-მეთქი. ჩანს, უფალმა ამჯერად არ მომისმინა. როცა გავიგე, პაპი გავხდი, „დავინახე“ ვატიკანში უზარმაზარი გილიოტინა, რომელზედაც მოშიშვლებული კისერი მედო. ახლაც ისეთი შეგრძნება მაქვს, გილიოტინას ბასრი პირი ჩემს კისერზე ეშვება და მეშინია, ძალიან მეშინია... მაგრამ გპირდებით, ამ შიშს დავძლევ, რადგან უფალმა ასე ინება!“**

ამბობენ, რომ ბენედიქტ XVI-მ ერთადერთი, უნებლიე შეცდომა 2006 წლის 12 სექტემბერს დაუშვა — რეგენსბურგის უნივერსიტეტში ლექცია ქრისტიანობასა და მუსულმანობაში გონის არსზე წაიკითხა და ახსენა XIV საუკუნის იმპერატორ მანუილა II-ს ფრაზა: **„მუჰამედმა მხოლოდ რაღაც ბოროტი და არაადამიანური მოიტანა“.** რა თქმა უნდა, ამ ფრაზამ მუსულმანები გაანაწყენა და მათ საპროტესტო აქციები დაიწყეს, რომლებიც მთელ დედამიწას მოედო.

*დასასრული მე-16 გვერდზე*



# ჰოროსკოპი 20 თებერვალი

***ვერძი*** — მოულოდნელად მიღებული ცნობა ცოტა გაგანერვიულებთ, მაგრამ ეს მღელვარება სასიამოვნო იქნება, რადგან თქვენთვის ახალი პერსპექტივები იშლება, რაც ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის. ყველაზე მეტად კი ეს პირად ცხოვრებას შეეხება. სიყვარულთან დაკავშირებული პრობლემები დღეს უნდა მოაგვაროთ, ფინანსურ ოპერაციებში წარმატება გელით, იყავით თავდაჯერებული და ჯანმრთელობასაც მიაქციეთ ყურადღება.

***კურო*** — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს შინაური საქმეებით დაკავდეთ. მხიარული ღონისძიებები და სტუმრად სიარული, მოგიწევთ, უფრო შესაფერისი დროისთვის გადადოთ. თუ არ იცით, საიდან დაიწყოთ, რჩევა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს ჰკითხეთ. სიზარმაცე დღეს მისასალმებელი არ არის, ხოლო დილიდანვე სისტემატური, შეუპოვარი მუშაობა შერჩეული მიმართულებით აუცილებელია.

***ტყუპები*** — თქვენი ოცნებები შეიძლება ახდეს. დადგა დრო, შედეგიც მიიღოთ, თქვენ ხომ ამდენი იშრომეთ საკუთარი გეგმების რეალიზაციისთვის, მაგრამ ნუ შეეცდებით ყველაფრის ერთად მიღებას. დასვენების დღეებამდე მიმდინარე საქმეებს მიხედეთ. საღამოს შეგიძლიათ დრო მეგობრების გამჭანიაში გაატაროთ. სადმე გამგზავრებას თუ დააპირებთ, მხოლოდ წარმატება და ბედნიერება შეგხვდებათ.

***კირჩხიბი*** — დღეს ძალისხმევის გარეშე სიტუაციას ისე შემოაბრუნებთ, რომ წარმატება თვითონ ჩაგივარდებათ ხელში, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტად ჯიუტი არ იქნებით და ნებისმიერ ფასად არ დაიწყებთ თქვენი მოსაზრების დაცვას. თუ გიყვართ საქმე და მოგწონთ ყოველდღიური მოვალეობები, საინტერესო ურთიერთობა დაამყარეთ კოლეგებთან.

***ლომი*** — თქვენ დროში მოგზაურობა გელით. რასაკვირველია, ფიზიკურად დროის მანქანით გადაადგილება არ მოგიწევთ, აი, მოგონებების დიდი ტალღა კი საკმაოდ შორს გაგიტაცებთ. კარგი დღეა მიზანმიმართული საქმიანი მგზავრობისთვის, სპორტით დაკავებისთვის. რეალური წარმატების მისაღწევად მეტი მოქმედება და ნაკლები საუბარი მოგიწევთ.

***ქალწული*** — დღეს ვერავითარი სიტუაცია წყობიდან ვერ გამოგიყვანთ. რაც უნდა გიბიძგონ კონფლიქტებზე, გამათზე, რაც უნდა გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ — საკუთარ ემოციებს მაინც მკაცრად გააკონტროლებთ. დღეს მნიშვნელოვანი იქნება უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთის შეძენის საკითხი. ოჯახურ საქმეებში კი მეტი ენერგიულობა გამოიჩინეთ.

***სასწორი*** — მნიშვნელოვანი ამოცანის გასაღების შერჩევა ზოგჯერ ძალიან რთულია, მაგრამ თქვენ დღეს შესანიშნავად გაართმევთ თავს ამ პრობლემას. უნდა შეიარაღდეთ არა მხოლოდ საკუთარი ინტელექტითა და ინტუიციით, არამედ ახლობელი ადამიანის დახმარებაზეც არ უნდა თქვათ უარი.

***ღრიანკალი*** — არ არის გამორიცხული, ამ ნიშნის წარმომადგენლები დღის გმირებად იქცნენ. შესაძლოა, მოულოდნელად ისეთ ადგილზე აღმოჩნდეთ, სადაც უნებლიე მოწმე გახდებით განვითარებული დრამისა ან ექსტრემალური მოვლენებისა. თქვენ მიერ გაწეული დახმარება სასიამოვნოდ გააოცებს გარშემომყოფებს.

***მშვილდოსანი*** — დღეს სასიამოვნო და საინტერესო ღონისძიებაზე დაგპატიჟებენ და წარმოუდგენელი წარმატებაც გელით, ამიტომ უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე. იქ ნახავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს და ცხოვრებაც გაცილებით უკეთესი გახდება.

***თხის რქა*** — დღეს საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნოთ. არის რისკი, მსხვილი თანხა დაკარგოთ ფულის გაუაზრებელი დაბანდებით ან საბუთების არასწორად გაფორმებით. შეეცადეთ, ამ საკითხზე პროფესიონალებისგან გაიაროთ კონსულტაცია. დღის მეორე ნახევარში პოზიტიური ფონი მატულობს და საღამოს განწყობაც შედარებით გამოგიკეთდებათ, მით უმეტეს, თუ მას რომანტიკულ პაემანს მიუძღვნით ან მეგობრების წრეში გაატარებთ.

***მერწყული*** — დღეს ორატორული ნიჭი გაეხსნებათ და მისი გამოვლენის შანსიც აუცილებლად მოგეცემათ. შესაძლოა, ამან პოზიტიური ტენდენციებიც გამოიწვიოს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. შეეცადეთ დაგროვილი რთული პრობლემების მოგვარება ნელ-ნელა დაიწყოთ. ტვირთიც შეგიმსუბუქდებათ და საქმისადმი ინტერესიც დაგიბრუნდებათ.

***თევზები*** — დღეს შემოსავლები გაგახარებთ. თანხა კი, შესაძლოა, რაიმე ძველებური და ძვირფასი ნივთის, ოჯახური რელიქვიის გაყიდვით შემოგივიდეთ, რომელიც თქვენთვის უკვე აღარ არის საინტერესო, თუმცა ის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მყიდველისთვის, მაგრამ ამის გამო ნივთს ძალიან იაფადაც ნუ გადააგდებთ. კარგი დღეა დაწყებული საქმეების მოსაგვარებლად, თუმცა ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერისგან თავი შეიკავეთ.

## ამინდის პროგნოზი

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თბილისი | +8 | +11 |
| ქუთაისი | +15 | +9 |
| ბათუმი | +16 | +12 |
| სოხუმი | +14 | +10 |

| | ოთხშაბათი | ხუთშაბათი |
|---|---|---|
| თელავი | +9 | +11 |
| გუდაური | -4 | -3 |
| ბაკურიანი | -1 | -3 |
| მესტია | +2 | +2 |

# რომის პაპს გილიოტინის ეშინია!

*მე-15 გვერდიდან*

ექსპერტები ამბობენ, რომ „დაწყებული ძალადობის შედეგად, მინიმუმ, ერთი მონაზონი დაიღუპა“. ისლამისტებმა ვატიკანის დაბომბვაც გადაწყვიტეს, ერაყში ამერიკულ სამხედრო ობიექტებზე იერიში მიიტანეს და განაცხადეს, რომ ამ ქმედებებს ბენედიქტ XVI-ს უძღვნიდნენ. მუსულმანებმა პლანეტის სხვადასხვა ქალაქში პაპის ფიტულები და პალესტინაში ორი ქრისტიანული ეკლესია გადაწვეს... მუსულმანებთან დაპირისპირებას წერტილი თავად პაპმა დაუსვა და საჯაროდ განაცხადა: **„როგორც ჩანს, მათ მანუილა II-ს ფრაზა ჩემ ნააზრევად ჩათვალეს. ვწუხვარ, რომ მუსულმანებმა ჩემი ლექციიდან ასეთი დასკვნები გამოიტანეს. მათი სარწმუნოებისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მიცდია“.**



## „პაპის მაღლა მხოლოდ ღმერთია“

ყოველ საღამოს ათ საათზე იძინებს და მაღვიძარას გარეშე, 6 საათზე ეღვიძება. მაშინვე წნევის დამარეგულირებელ აბებს სვამს და დილას ვატიკანის გაზეთების კითხვით იწყებს. ფეხბურთის მატჩების გულშემატკივარი წინამორბედისგან განსხვავებით, ტელევიზორში მხოლოდ ახალ ამბებს უყურებს. უყვარს თავის ბიბლიოთეკაში ყოფნაც. ხშირად, კომპიუტერს მიუჯდება და პირად ფოსტაში შემოსულ წერილებს კითხულობს. რომში ყველამ იცის, რომ პაპს აქვს ელექტრონული მისამართი, სადაც წერილის გაგზავნა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ბოლო წლებში, აქტიურად სარგებლობს „ტვიტერითაც“... წინამორბედებისგან განსხვავებით, ყველა სიტყვას ასისტენტები კი არა, თავად წერს. ამბობენ, წერის დროს შეუძლია, 12-13 საათს არ შეისვენოსო. თეოლოგიასა და ფილოსოფიაში 8 სადოქტორო ხარისხის მფლობელია. მის კალამს ბევრი ნაშრომი ეკუთვნის, მაგალითად: „სამყაროს დასასრული“ „ჭეშმარიტება და მოთმინება“. „ღმერთი ჩვენს შემდეგ“. „ღმერთი და სამყარო“... გამოსულია მისი ავტობიოგრაფიული წიგნი „დედამიწის მარილი“, რომლის ავტორიც ჟურნალისტი პეტრე ზეევალდი გახლავთ. მისი ბიოგრაფია ბავშვებისთვისაც დაიბეჭდა. საკმაოდ უცნაური წიგნია, რადგან ბავშვებს ბენედიქტ XVI-ს ცხოვრების შესახებ კატა ჩიკო უყვება. ამბობენ, პაპს კატები განსაკუთრებით უყვარს. ინტელექტუალია. მშობლიური გერმანულის გარდა, სრულყოფილად ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, პორტუგალიურ, ესპანურ, ლათინურ, ებრაულ, ძველბერძნულ, პოლონურ ენებს. სტრესსა და დაღლილობას ფორტეპიანოზე დაკვრით ებრძვის. უყვარს მოცარტი, ბეთჰოვენი და შოპენი. ამბობენ, კომპიუტერივით მეხსიერება აქვსო. იმასაც ამბობენ „ჩიტივით იკვებებაო“. განსაკუთრებით უყვარს ღორის მწვადი, კისელი და როგორც ყველა ბავარიელს, კარგი ლუდი. მისი არცთუ დიდი და მდიდრული სახლი რეგენსბურგში მდებარეობს. მშობლების საფლავს წელიწადში 4-ჯერ ნახულობს. ამბობს, რომ ბავარია საოცრად ენატრება, მაგრამ ხშირად ხუმრობს, ნოსტალგიისგან საუკეთესო მეგობარმა, ბავარიელმა ბანკირმა ტადეუს იოსეფ კიუნელმა იხსნა. ბავარიიდან წამოსვლისას მას იოზეფისთვის უთქვამს, არ მოიწყინო, გპირდები, ვატიკანში „ბავარიის სულს“ ხშირად ჩამოგიტანო. ბანკირი, თურმე, პირობას დღესაც ასრულებს — წელიწადში რვაჯერ სტუმრობს პაპს და ჩააქვს სააღდგომო სანთლები, ხილის წვენი, მინერალური წყალი „ადელხოლცენერი“, ნაძვის ხეები ან ბავარიული საახალწლო ცოცხები, ბავარიული ორცხობილა, შოკოლადი... პაპის საოცარი იუმორის გრძნობაზე რომში ლეგენდები დადის. მისდამი პატივისცემას ადამიანები სხვადასხვაგვარად გამოხატავენ, თუმცა მათგან ყველაზე ორიგინალური ალბათ, ერთ-ერთი გერმანელი ასტრონავტი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1990 წელს, მარსსა და იუპიტერს შორის მოძრავი ასტეროიდი აღმოაჩინა და მღვდელი იოზეფის პატივსაცემად, მისი სახელი უწოდა. ამბობენ, რომ საუკეთესო მსმენელია. საუბრისას ხელებს გულზე გადაიჯვარედინებს, იღიმის და იატაკზე იყურება. საუბრობს ისე, გეგონება მღერისო. მასთან რჩევისთვის მისულ ადამიანებს კი ხშირად ეუბნება: **„მთავარია, გწამდეთ და ფარ-ხმალი არ დაყაროთ. უქმად არ გაჩერდეთ. ცხოვრებაში ადამიანი მუდმივად უნდა ვითარდებოდეს!“** წლების განმავლობაში ასე იყო: ვატიკანში უამრავი ადამიანი მოიყრიდა თავს, თეთრებში გამოწყობილი მოხუცი, სათნო ბენედიქტ XVI ჯერ „მაგიური სარკმლიდან“ გაიხედავდა, გაიღიმებოდა, ხელს დაუქნევდა და... აივანზე გასვლამდე წამით ისევ გილიოტინა „ელანდებოდა“. იტალიაში უკვე ამბობენ, რომ ბენედიქტ XVI-მ უბრალოდ, ამ „გილიოტინის“ შიში ვერ დაძლია. ბევრი უფრო მკაცრიც აღმოჩნდა და თქვა, გადადგომის გადაწყვეტილებას ვერასოდეს გავუგებ და ვერც ვაპატიებო. ეს მოსალოდნელიც იყო, ვატიკანში ხომ, წლებია საზრდოობენ მისი მაგიური, საინტერესო სიტყვებით, რომელთა ფინალი ყოველთვის უცვლელი იყო: **„რწმენა, უსაზღვრო უფსკრულის შემდეგ, ბიძგია, რომელიც კაცობრიობას გადაარჩენს. ჭეშმარიტი რწმენა და ქრისტეს სიყვარული გვასაზრდოებს და გვაძლევს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარს. ნუ გეშინიათ, გაუღეთ კარი იესო ქრისტეს!“** ამ სიტყვებს, 28 თებერვლის მერე, ბენედიქტ XVI საჯაროდ აღარ წარმოთქვამს. ვატიკანში კი, ახალ პაპს აირჩევენ, რომელსაც მრევლისთვის აუცილებლად მოუწევს იმის „დამტკიცება“, რომ არაფერი შეცვლილა და „პაპის მაღლა მხოლოდ ღმერთია“.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე

მისამართი: ნუცუბიძის №16ა

ტელ.: (5)99 22 98 33

ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 3 | 7 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 1 | 7 | 8 | 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 6 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 7 | 4 | 9 |
| 7 | 9 | 6 | 2 | 4 | 1 | 5 | 8 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 9 | 8 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 5 | 8 | 7 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 1 | 5 | 4 | 6 | 2 | 8 | 7 | 9 | 3 |
| 9 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 8 | 5 | 6 |
| 5 | 8 | 2 | 3 | 4 | 6 | 9 | 1 | 7 |
| 7 | 4 | 1 | 5 | 9 | 2 | 6 | 3 | 8 |
| 6 | 3 | 9 | 8 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 1 | 7 | 2 | 6 | 5 | 3 | 8 | 9 |
| 2 | 9 | 8 | 7 | 3 | 4 | 1 | 6 | 5 |
| 3 | 6 | 5 | 1 | 8 | 9 | 2 | 7 | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 2 | 1 | 4 | 6 | 9 | 7 | 8 |
| 7 | 8 | 4 | 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 6 |
| 9 | 6 | 1 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 3 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 |
| 5 | 9 | 8 | 7 | 2 | 4 | 1 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 7 | 6 | 3 | 9 | 2 | 8 | 5 |
| 1 | 4 | 9 | 3 | 6 | 2 | 8 | 5 | 7 |
| 6 | 2 | 5 | 9 | 8 | 7 | 4 | 3 | 1 |
| 8 | 7 | 3 | 4 | 5 | 1 | 6 | 2 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 2 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 8 | 4 | 1 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 7 | 3 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 | 1 | 6 |
| 6 | 3 | 8 | 7 | 5 | 9 | 1 | 2 | 4 |
| 4 | 1 | 7 | 2 | 8 | 3 | 6 | 5 | 9 |
| 2 | 9 | 5 | 1 | 4 | 6 | 3 | 8 | 7 |



# ჰოროსკოპი
## 21 თებერვალი

***ვერძი*** — დღეს მთელი ძალით ეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს, განსაკუთრებით, საყვარელ ადამიანთან. ნებისმიერმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ, შესაძლოა, თანამოსაუბრის გაბრაზება და წყენა გამოიწვიოს. შეეცადეთ, საუბრის თემა წინასწარ მოიფიქროთ და დასახულ გეგმას მიჰყვეთ. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა შორიდან ჩამოსულ ადამიანთან.

***კურო*** — კუროებს შეუძლიათ, ეს დღე შესანიშნავად გაატარონ — მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაისეირნონ, პიკნიკი მოაწყონ ან ხმაურიან ღონისძიებას დაესწრონ. აქტიური და სასარგებლო დასვენება ძალების აღდგენაში დაგეხმარებათ, ახალი ენერგიით აგავსებთ და შემოქმედებითი პოტენციალით დაგტვირთავთ. რთული საქმეებისგან კი, სჯობს, დღეს თავი შეიკავოთ.

***ტყუპები*** — მოულოდნელმა სატელეფონო ზარმა, შესაძლოა, ცუდ დღეში ჩაგაგდოთ. მოგიწევთ სასწრაფოდ გამგზავრება ან სამსახურში არასამუშაო საათებში გასვლა, რათა ვიღაცის შეცდომები გამოასწოროთ. ალბათ, ეს არ მოგეწონებათ, მაგრამ ბედს ვერსად გაექცევით. საღამოს განწყობა რომ გამოიკეთოთ, საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ ან მეგობრების წრეში გაერთეთ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა ადრიანად უნდა დაიჭირონ თადარიგი სტუმრების მისაღებად. დღეს ბევრი მოისურვებს თქვენთან შეხვედრასა და საუბარს ვიწრო მეგობრულ კამპანიაში. ნუ შეეცდებით ახლობლების გაოცებას კულინარიული შედევრებით — ისინი საჭმელად კი არა, თქვენთან დროის სასიამოვნოდ გასატარებლად მოვიდნენ.

***ლომი*** — დღეს შეხვედრებით დატვირთული დღე გელოდებათ. მოგიწევთ ხელოვნებაზე დისკუსიაში ჩაბმა, ბევრი საუბარი მუსიკაზე, ფილმებსა და სხვა შემოქმედებით ნაწარმოებებზე. შეეცადეთ, თქვენმა უჩვეულო განსჯამ თანამოსაუბრეს თქვენი პერსონის მიმართ ინტერესი არ ჩაუქროს. დღის მეორე ნახევარი საკუთარ თავს მიუძღვენით და სილამაზის სალონში შეიარეთ ან თავს სასიამოვნო საჩუქარი გაუკეთეთ.

***ქალწული*** — თქვენი ჯერ კიდევ გაუხსნელი ნიჭის დრო, როგორც ჩანს, უკვე დადგა, გარშემომყოფები რომ გააოცოთ და გაახაროთ. დღეს ყველას დაანახებთ, რა შეგიძლიათ. არადა, თქვენი შესაძლებლობების შესახებ თავადაც არ გაქვთ სრული წარმოდგენა. კარგი დღეა ფინანსებთან დაკავშირებით. შესაძლოა, ასევე შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

***სასწორი*** — დადგა შესაფერისი დღე, როცა სასწორებს შეუძლიათ საფუძვლიანად შეცვალონ საკუთარი ჩვევები, სტატუსი ან ახალი საინტერესო საქმით დაკავდნენ. ცვლილებები პირად ცხოვრებაში მხოლოდ სიხარულისა და ჰარმონიის მომტანი იქნება. მხოლოდ ამისთვის გაბედული და გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მოგიწევთ.

***ღრიანკალი*** — დღეს მოთმინება და სიმშვიდე დაგჭირდებათ, რადგან მოგიწევთ რამდენიმე ადამიანს კომპიუტერთან მუშაობა ასწავლოთ, რაც იოლი სულაც არ იქნება და ამიტომ, ამ ფაქტს ისე მოეკიდეთ, როგორც ტესტს გამძლეობაზე.

***მშვილდოსანი*** — დღეს ბევრი რამის რამდენჯერმე გაკეთება მოგიწევთ, რამაც შესაძლოა, ფსიქოლოგიური წონასწორობა დაგაკარგვინოთ, ყველაფრის მიტოვება და, უბრალოდ, დასვენება მოგინდებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, დაწყებულ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანთ და საკუთარი ხელით შექმნილი შედევრით დატკბებით. შეეცადეთ, ემოციები ნაკლებად გამოავლინოთ და ამით კოლეგებთან შესაძლო კონფლიქტს აარიდოთ თავი, დღის მეორე ნახევარში კი, უკეთესი იქნება, მშვიდ გარემოში დაისვენოთ.

***თხის რქა*** — დღეს ურთიერთობაში განსაკუთრებით ფრთხილი უნდა იყოთ. თქვენი ძველი ნაცნობებიდან ვიღაცას სურს, გამოგიყენოთ და ავანტიურაში ჩაგითრიოთ. ნურავის მისცემთ საშუალებას, ისარგებლოს თქვენი შემეცნებით, თავი აარიდეთ ნაჩქარევი, წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმას. სჯობს, დღის პირველ ნახევარში წამოწყებული საქმეები დაასრულოთ, საღამოს კი ოჯახურ გარემოში დაისვენოთ.

***მერწყული*** — მერწყულები მოულოდნელად აღმოაჩენენ, რომ შესაძლოა, დანაკარგი და შენაძენი ერთმანეთს შეუხამონ. შეიძლება, დიდი თანხა დახარჯოთ ნივთზე, რომლის შეძენასაც არ აპირებდით და მერე ინანოთ. სამაგიეროდ, ნივთი, რომელსაც იყიდით, თქვენთვის ნამდვილი ბედის საჩუქარი იქნება.

***თევზები*** — დღეს, შესაძლოა, მოულოდნელად, თქვენი ახლობლის ან ნაცნობის ადგილზე აღმოჩნდეთ. ამის გამო, თქვენთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულება მოგიწევთ, თუმცა შეძენილი გამოცდილება სიამოვნებას მოგანიჭებთ და მომავალშიც გამოგადგებათ. დღეს უარს ნუ იტყვით სიახლეებზე. დღის მეორე ნახევარიც, შეგიძლიათ, თამამად დაუთმოთ ახალ ემოციებს და მეგობრებთან ერთად გასართობად წახვიდეთ.

# პარიზელ ქალებს შარვლის ჩაცმის ნება დართეს



საფრანგეთში, როგორც იქნა, გააუქმეს კანონი, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლებს დედაქალაქში შარვლის ტარების უფლებას უკრძალავდა. ეს კანონი 1799 წლის ნოემბერში მიიღეს და თითქმის 214 წელი მოქმედებდა. მანდილოსნებს, ვისაც სურვილი ჰქონდა, პარიზში „კაცის ტანსაცმლით“ გამოჩენილიყო, სპეციალური ნებართვა პოლიციის უფროსისგან უნდა აეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ქალს შეუფერებელ ტანისამოსში გამოწყობილს გამოიჭერდნენ, პატიმრობა ელოდა. 1992 და 1909 წლებში ეს კანონი ცოტათი შეარბილეს და პარიზელ მშვენიერ სქესს ველოსიპედსა და ცხენზე ჯდომისას შარვლის ჩაცმის ნება მისცეს. მას შემდეგ, ამ „იურიდიულ არქეოლოგიად“ ქცეული კანონის გაუქმება რამდენჯერმე სცადეს, მაგრამ გადაიდო, რადგან ჩინოვნიკები მას პრიორიტეტულად არ მიიჩნევდნენ. მისი საბოლოო გაუქმება კი მხოლოდ ახლა, 214 წლის შემდეგ მოხდა. გარდა ამ კანონისა, მსოფლიოში ჯერ კიდევ მრავლადაა ისეთი უცნაური აკრძალვები, რაც დღეს უკვე სასაცილოა, მაგრამ მათ არავინ აუქმებს. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დღემდე, სერიოზულ დანაშაულად ითვლება, ლამის ქვეყნის ღალატად, თუ კონვერტზე საფოსტო მარკას დედოფლის გამოსახულებით თავდაყირა დააკრავთ.

# იაპონელები „დავითის“ ჩაცმას მოითხოვენ



იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე მდებარე პატარა ქალაქ ოკუიძუმოს მცხოვრებლები, რომელთა რაოდენობა 15 ათას კაცს შეადგენს, უკმაყოფილოები არიან მიქელანჯელოს ქმნილების, ხუთმეტრიანი „დავითის“ გამოსახულებით. იაპონელებს არ მოსწონთ, რომ ჭაბუკი დავითი შიშველია. ადგილობრივების თქმით, ქანდაკება ბავშვებს აშინებს და უარყოფით გავლენას ახდენს მომავალი თაობის მორალურ შეხედულებებზე. ქალაქმა „დავითისა“ და „ვენერა მილოსელის“ ქანდაკებების ასლი ადგილობრივი მდიდარი მეცენატისგან მიიღო. ორივე უზარმაზარ პარკში დადგეს, სადაც სხვადასხვა გასართობი და სპორტული ობიექტებია განთავსებული, ასევე სათამაშო ზონაა ბავშვებისთვის. ოკუიძუმოს მუნიციპალიტეტი სავსეა მოსახლეობის განცხადებებით, რომ ქანდაკებას „ჩააცვან“, თუმცა ქალაქის ხელისუფლება არ ჩქარობს, „დავითს“ საცვალი ამოაცვან, იმ იმედით, რომ აქაურები დროთა განმავლობაში მიეჩვევიან მიქელანჯელოს ამ „უჩვეულო“ ქმნილებას და შეწყვეტენ საჩივრებს მის „უწესო“ გარეგნობაზე.

# ადამიანის ორგანოებს პრინტერი „დაბეჭდავს“



შოტლანდიელმა მეცნიერებმა ჰერიოტ-ვატის უნივერსიტეტიდან ახალი 3D-პრინტერი შექმნეს, რომელიც ადამიანის ორგანოებს „დაბეჭდავს“ და მას ტრანსპლანტაციისთვის გამოიყენებენ. „სანერგე მასალა“ ღეროვანი უჯრედები იქნება, რომელთაგან სამგანზომილებიანი გრაფიკის ტექნოლოგიის გამოყენებით, ძვლის ტვინსა და რბილ ქსოვილებს გამოიყვანენ. ბეჭდვის ახალი ტექნოლოგია, რომელიც შოტლანდიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს, საშუალებას იძლევა, ორგანოები „დაიბეჭდოს“, თუკი ღეროვან უჯრედებს განსაზღვრული თანმიმდევრობით დაალაგებენ. ერთ-ერთი სწავლულის თქმით, ამ მომენტისთვის ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული ორგანოების შექმნაში ბეჭდვის ტექნოლოგიის გამოყენებით, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ მომავალში, ეს მეთოდი ფართო გამოყენებას ჰპოვებს.

# ოქროს სანდლები მანდილოსნებისთვის



ბრიტანელმა დიზაინერმა კრისტოფერ მაიკლ შელისმა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის საუკეთესო საჩუქარი დაამზადა. ეს დახვეწილი „ბასანოჟკებია“, რომელიც სუფთა ოქროსგანაა შექმნილი და 2 ათასი ბრილიანტითაა დამშვენებული. ამ საიუველირო შედევრზე მუშაობა სამ წელიწადს გაგრძელდა. ოქროს ფეხსაცმლის ღირებულება 140 ათასი გირვანქა სტერლინგს შეადგენს. დიზაინერი არ აკონკრეტებს, რას იწონის მისი შედევრი და რამდენად მოსახერხებელი იქნება მისი ტარება სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 7 | | | |
| 8 | | 1 | | 6 | | 9 | | 5 |
| | | 6 | | | | 2 | | 8 |
| 5 | 6 | | | | 9 | 7 | 8 | |
| 1 | | | | | | | | 9 |
| | 9 | 2 | 8 | | | | 4 | 3 |
| 6 | | 9 | | | | 8 | | |
| 3 | | 8 | | 9 | | 1 | | 2 |
| | | | 5 | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | 6 | 4 | | |
| 4 | | | | | 2 | | | |
| 7 | | 9 | 3 | 4 | | 2 | | |
| | | 4 | 2 | | | | | 1 |
| | | 2 | 8 | | 1 | 7 | | |
| 1 | | | | | 3 | 9 | | |
| | | 1 | | 2 | 4 | 5 | | 8 |
| | | | 5 | | | | | 2 |
| | | 6 | 1 | | 9 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | | | 6 | | | |
| | | | | | 4 | 7 | | |
| | | 8 | 2 | 7 | | 4 | 3 | |
| | 2 | | | 4 | | 5 | 8 | |
| | | | 5 | | 3 | | | |
| | 5 | 3 | | 1 | | | 2 | |
| | 1 | 4 | | 9 | 2 | 8 | | |
| | | 2 | 7 | | | | | |
| | | | 4 | | | 6 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | | | | | |
| 9 | 3 | | 8 | | 5 | | | 6 |
| 1 | | | | 4 | 2 | | | 3 |
| | | | | | | | | 4 |
| 6 | 4 | | | 2 | | | 9 | 7 |
| 5 | | | | | | | | |
| 4 | | | 3 | 8 | | | | 2 |
| 2 | | | 5 | | 9 | | 3 | 8 |
| | | | | | | | 6 | |



# ყველაზე სასარგებლო ტომატის წვენია

ბერძენი მეცნიერების დასკვნით, ენერგეტიკული სასმელებიდან ყველაზე ეფექტური ტომატის წვენია, რომელიც ადამიანს ვარჯიშის შემდეგ ძალების აღდგენაში ეხმარება. სწავლულების აზრით, ეს სასმელი ორგანიზმს მნიშვნელოვანი მკვებავი ნივთიერებებით უზრუნველყოფს. მკვლევარებმა 15 სპორტსმენის მონაწილეობით, ორთვიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს. მათგან ცხრა მოხალისე, ვარჯიშის შემდეგ ტომატის წვენს იღებდა, დანარჩენები კი — გაზიან ენერგეტიკულ სასმელებს. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ ცხრა სპორტსმენს სისხლში გლუკოზას ნორმა და ენერგია სწრაფად აღუდგა. წვენში არსებული ანტიოქსიდანტები ადამიანის ორგანიზმში სიმსივნის წარმოშობას აფერხებს და გულის დაავადებების განვითარებასაც ეწინააღმდეგება. ტომატის წვენზე გამოკვლევები შვედმა და ჩინელმა მეცნიერებმაც ჩაატარეს. მათი დასკვნით, ამ სასმელის ხშირი მიღება ადამიანს ინსულტისა და დეპრესიისგან იცავს.



# კაფეში დასაძინებლად შედიან

ამომავალი მზის ქვეყანაში იმდენი უჩვეულო რამ ხდება, ალბათ, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. ერთ-ერთი ასეთი უცნაურობა კაფე უსკა გახლავთ ტოკიოში, სადაც სტუმრებს, გემრიელი კერძების მირთმევის შემდეგ, დასვენება და ძილი შეუძლიათ. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ქალბატონები საკმაოდ ბევრს შრომობენ, ლანჩის დროს კაფეში წახემსება და ძილი კი, დასვენების საუკეთესო საშუალებაა. დაწესებულების ადმინისტრაციაში აცხადებენ რომ, ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ძილია და მათი მიზანია, დაძაბული სამუშაო გრაფიკის დროსაც კი, დასაქმებულ ხალხს რელაქსაციის საშუალება მისცენ. კაფეში სხვადასხვა სტილის საწოლებია განთავსებული, ფასი კი დიზაინის მიხედვით იცვლება. ეს დაწესებულება არ არის ერთადერთი, რომელიც „ძილის სალონის“ ფუნქციას ითავსებს, უბრალოდ იმით გამოირჩევა, რომ მხოლოდ ქალბატონებს ემსახურება.

# ფეხსაცმელს შოკოლადისგან ქმნის

ამერიკელმა კონდიტერმა ანდრეა პედრაცამ მშვენიერი სქესის ორი სისუსტე — შოკოლადი და ფეხსაცმელი გააერთიანა და ისეთი პროდუქტი შექმნა, რომელიც სასურველი საჩუქარი იქნება მანდილოსნებისთვის. დალასელი ოსტატი ტკბილი მასალით დეტალურად, ზედმიწევნით ქმნის ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერების მოდელებს. კულინარისთვის ყველაზე „ცხელი პერიოდი“ ვალენტინობის დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე დგება, როცა შეკვეთა შეკვეთაზე მისდის. შოკოლადის ოსტატი მუშაობისას, პლასტმასის ფორმებს იყენებს, თუმცა ყოველ წვრილმანსაც ითვალისწინებს. ასე, მაგალითად, კრისტიან ლუბუტენის ფეხსაცმლის ასლის გაკეთებისას, მის საფირმო წითელ ლანჩასაც არ ივიწყებს და ამავე შეფერილობის შოკოლადის მინანქარს იყენებს, თუმცა შემკვეთის სურვილისამებრ, საკონდიტრო ნაწარმს სხვადასხვა ფორმა შეიძლება დაემატოს. მიუხედავად იმისა, რომ პედრაცას ნამუშევრების ადრესატები ქალები არიან, მის კლიენტთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ.





# დაბალი ინტელექტი ჯანმრთელობისთვის საშიშია

მეცნიერებმა ნისლიანი ალბიონიდან გაარკვიეს, რომ გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების რისკი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის ინტელექტის დონეს. შესაბამისი გამოკვლევა გლაზგოსა და ედინბურგის უნივერსიტეტების სწავლულებმა ჩაატარეს. ამ უნიკალურმა ექსპერიმენტმა, რომელიც დაბალი და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებში გულსისხლძარღვთა დაავადებების გავრცელებას ეხებოდა, ამ პროცესში ინტელექტის მნიშვნელოვანი როლი აღმოაჩინა. ბრიტანელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ინტელექტის მაჩვენებელი ღარიბი და მდიდარი ადამიანების სიკვდილიანობის დონეს შორის განსხვავებას 20%-ით ხსნის ისეთ კლასიკურ ფაქტორებთნ ერთად, როგორიცაა გულის დაავადებები, მოწევა, ზედმეტი წონა. ცნობილია, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები ხშირად კვდებიან გულის შეტევით ან უბედური შემთხვევით. დაბალი შემოსავლები და განათლების დონე გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს 2-7-ჯერ ზრდის, მაგრამ აქედან, ნახევარს ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს. ექსპერიმენტის მონაცემების შედარებისას, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებში დაავადებების განვითარების რისკი, დაბალი მაჩვენებლის მქონეებთან შედარებით, 23%-ით ნაკლებია.



# მწვანე ჩაის ექსტრაქტი ალცჰეიმერის წინააღმდეგ

კარგა ხანია, მეცნიერები ცდილობენ ამ გავრცელებულ დაავადებასთან ბრძოლისთვის ეფექტური მეთოდი გამონახონ. ბრიტანელი სწავლულების ბოლო გამოკვლევებმა დაადგინა, რომ მწვანე ჩაი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ალცჰეიმერის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ. კვლევების საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კატეხინი EGCG გავლენას ახდენს ცილაზე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს თავის ტვინში კოლტების წარმოქმნაში. უფრო ადრინდელი კვლევებით დადგინდა, რომ სწორედ ეს ცილა-ამინოიდები ჯგუფებს ქმნის და ნერვულ უჯრედებზე მაგრდებიან, მერე კი თავის ტვინის ჯანმრთელ უჯრედებს ანადგურებენ. ლაბორატორიული ექსპერიმენტებისას მეცნიერებმა ამ ცილების წინააღმდეგ მწვანე ჩაის ექსტრაქტი გამოიყენეს, რის გამოც, მათ დაჯგუფება ველარ შეძლეს და, შესაბამისად, ვერც ტვინის უჯრედების დაშლა მოახერხეს.



# ლონდონელებს ვალენტინობა კლუნიმ მიულოცა

სიყვარულის დღეს, ლონდონელი ქალბატონები, ვისაც კარნაბი-სტრითზე უნდა გაევლო, სამსახურში აუცილებლად დაიგვიანებდა, მიზეზი კი ის იყო, რომ მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების სახელგანთქმულმა მუზეუმმა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ვალენტინობის აღსანიშნავად საჩუქარი გაუკეთა — მათ ქუჩაში ჰოლივუდელი ვარსკვლავი და ქალთა გულთამპყრობელი ჯორჯ კლუნი დაახვედრა, თუმცა რასაკვირველია, ეს მსახიობის ცვილის ფიგურა იყო, რომელიც მუზეუმის თანამშრომლებმა გარეთ გამოიტანეს და ტყავის დივანზე დასვეს. მთელი პლანეტის მანდილოსნებისთვის საყვარელი მსახიობი, იდეალურ კოსტიუმში გამოწყობილი, იასამნისფერ დივანზე ზის ხელში წითელი ვარდით. კლუნის ფიგურა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ლონდონელი მანდილოსნებიც სიამოვნებით იღებდნენ ფოტოებს ცვილის ფიგურასთან. მუზეუმის მარკეტოლოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქცია საკმაოდ წარმატებული გამოდგა. მათ წინასწარი გამოკითხვა ჩაატარეს სუსტი სქესის წარმომადგენლებში, ვისთან ერთად წავიდოდნენ პაემანზე ვალენტინობას, ხოლო გამარჯვებული ლონდონის ქუჩაში აღმოჩნდა.



# ალკოჰოლი სიბერეს აფერხებს?

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მეცნიერთა ახალი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, ვინც ალკოჰოლურ სასმელს ყოველდღიურად, მცირე დოზით იღებს, გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ სპირტიანი სასმელის ზომიერი მოხმარება დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. გამოკვლევაში მონაწილეობა 50 წელს გადაცილებულმა 14 ათასმა ქალბატონმა მიიღო, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ერთი და იგივე ალკოჰოლურ სასმელს სვამენ, პრაქტიკულად, ყოველდღე, მთელი ცხოვრების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი აღმოჩნდა. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყოველდღიურად, ორჯერ ალკოჰოლის ზომიერი დოზის მიღება 28%-ით ზრდიდა ე.წ. წარმატებული დაბერების შანსს, ხოლო იმ ქალბატონებში, ვინც დღეში ერთხელ სვამდა, ეს ციფრი 50%-მდე იზრდებოდა. სწორედ ეს ქალბატონები ხანდაზმულ ასაკში შესანიშნავი ჯანმრთელობით გამოირჩევიან, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ იღებდა ალკოჰოლს ანდა დღეში ორჯერ მეტად სვამდა.

# მეუღლე ქორწილიდან 10 წლისთავზე იხილა

ბრიტანელმა უსინათლო მამაკაცმა საკუთარი მეუღლე პირველად ქორწინებიდან 10 წლის შემდეგ იხილა, როდესაც მხედველობის დაბრუნება შეძლო. ინგლისელი ჭინჭრებში ჩავარდა და ისე დაისუსხა, მწვავე ალერგია განუვითარდა, რის შედეგადაც, ე.წ. სტივენ-ჯონსის სინდრომი დაემართა. რამდენიმე კვირის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა და მხედველობაც დაკარგა. ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში მამაკაცი აცხადებს, რომ არ ეგონა, ოდესმე სუსტი სქესის რომელიმე წარმომადგენელი მისით თუ დაინტერესდებოდა, თუმცა მოგვიანებით, მომავალი მეორე ნახევარი — გურჯეტი გაიცნო და მათ სრულფასოვანი ოჯახიც შექმნეს. მამაკაცს კომპიუტერების საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა და ოჯახსაც არასოდეს გასჭირვებია. წყვილის ქორწინებიდან 10 წლისთავზე ახალი ტექნოლოგიები გაჩნდა და ოჯახის უფროსს საშუალება მიეცა, ოპერაცია აშშ-ში გაეკეთებინა. სწორედ ბრიჯტონის კლინიკაში დაუბრუნეს მხედველობა და აქვე იხილა პირველად საკუთარი მეუღლეც. ეს მომენტი არასოდეს დამავიწყდება, — აცხადებს ბედნიერი ბრიტანელი.



# ქალებს გამომწვევად ჭამას უკრძალავენ

როგორც ჩანს, ფინელ იურისტებს ძალიან აღელვებთ, როცა მათ თვალწინ მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ესკიმოს ლოკავს ან ბანანს მიირთმევს. აქაური ადვოკატებისა და იურისტ-ექსპერტების ერთი ჯგუფი განიხილავს ისეთი კანონის მიღების შესაძლებლობას, როცა სექსუალურ ძალადობად ჩაითვლება ის შემთხვევები, თუ ქალი, მამაკაცის თანდასწრებით, მიირთმევს ბანანს, კიტრს, მარწყვს, ესკიმოს და სხვა მსგავს პროდუქტს, თუმცა მანდილოსანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება „დამნაშავე“, თუ ამას „გამომწვევად“ აკეთებს. ეტყობა, ფინელი იურისტები ამ კანონის მიღებას საკუთარი თავისთვის ცდილობენ — წარმოგიდგენიათ, „ბრალდებულმა“ ქალმა რამდენჯერ უნდა აჩვენოს ექსპერტს „ეპიზოდი ბანანით“, რომ მან გადაწყვიტოს, გამომწვევად ჭამს ხელს ქალბატონი თუ არა.



# კატის ბეწვის ჭამა ჩვევად ექცა




თუ ახლობლებს ხშირად კიცხავთ ისმის გამო, რომ მიირთმევენ ჩიფსებს, სჯობს დამშვიდდეთ, რადგან მსოფლიოში ამაზე უარესიც არსებობს. 43 წლის ამერიკელი ქალბატონი, უკვე 15 წელია, კატის ბეწვს ჭამს და მას ჭეშმარიტ დელიკატესად მიიჩნევს. დეტროიტელი ლიზა, რომელიც ცოტა ხნის წინ, ამერიკული ტელევიზიის ყურადღების ცენტრში მოექცა, ყოველდღიურად კატის ბეწვისგან გაკეთებულ სამ ბურთულას გეახლებათ, რასაც ქალბატონი თავად იმზადებს და ზოგჯერ შინაურ ცხოველს ენითაც ლოკავს ისე, როგორც კატები ლოკავენ კნუტებს.



გასტროენტეროლოგთან ვიზიტისას ქალმა გაარკვია, რომ ცხოველის ბეწვი კუჭში არ უგროვდება და ისე კი, ცუდი არ იქნებოდა, კონსულტაციისთვის ფსიქიატრსაც თუ მიაკითხავდა...

იკითხეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com